

ბაზეთი ბამოდის 1999 წლიდან

ქართველობის გადასარჩენად

# ილორი



E-mail: r.jalagania@mail.ru

№150 (209) 20-27 დეკემბერი 2011 სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს" ორგანო 30 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა

# მეხუთე კოლონა

2009 წელს სრულიად სომხეთის კათოლიკოსმა გარეგინ მეორემ აშშ-ის პრეზიდენტ ბარაკ ობამას წერილი მისწერა, რომელშიც იგი საქართველოში რელიგიური უმცირესობების მიუღებელ მდგომარეობაზე ყურადღების გამახვილებას სთხოვდა. ამის შესახებ „**WikiLeaks**" სომხეთში აშშ-ის ვიცე-ელჩის – ჯოზეფ პენინგტონის, მოხსენებაზე დაყრდნობით იუწყება.

**„როგორც სომხური ეკლესიის ლიდერმა, უნდა აღვნიშნო, რომ ბოლო 20 წლის წარუმატებელი გამოცდილება იმ დასკვნის გაკეთების საშუალებას მაძლევს, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველოში რელიგიის სფეროში სიტუაცია უცვლელი დარჩა. პირიქით, რელიგიური ცხოვრება საქართველოში, თუ არ ჩავთვლით ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიას, გაცილებით უფრო შეზღუდულია, რელიგიური და ეროვნული უმცირესობები კი ზეწოლას განიცდიან და შეუწყნარებლობის მსხვერპლნი ხდებიან. სომხური ეკლესიის ყოველგვარი მცდელობა, სომხური ეკლესიის სტატუსთან დაკავშირებით საქართველოს ხელისუფლებასთან ეთანამშრომლა, ამაო იყო"**, – წერს გარეგინ მეორე ამერიკის პრეზიდენტისთვის გაგზავნილ წერილში და აქვე ორ პრობლემას ასახელებს – რელიგიური უმცირესობების სტატუსის არარსებობა და საქართველოს ხელისუფლების უარი, სხვა ეკლესიებს მათ დაქვემდებარებაში არსებული უძრავი ქონება გადასცეს.

ამასთან, გარეგინ მეორე ბარაკ ობამას მიმართავს, **„საქართველოს ხელისუფლებას ამ საკითხზე ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულების შესრულება მოსთხოვოს, რათა ყველა ქრისტიანულმა ეკლესიამ და სხვა რელიგიებმა ნორმალურ ატმოსფეროში ფუნქციონირება შესძლონ, ადამიანის უფლებებს კი პატივს სცემდნენ და იცავდნენ".**

**გაზეთ "ილორის" კომენტარი** – *გარეგინას რომ დავუჯეროთ, გამოდის: ქართველებს ისტორიულად სხვა საქმე არ გვქონდა, გარდა იმისა, რომ რელიგიური უმცირესობები ევიწროვებინა. როგორც იტყვიან, მაგ სიმართლისთ იაროს გარეგინამ და მისმა მრევლმა. ეს "წყევლა" მოფერებად მოგეჩვენებათ იმასთან შედარებით, რა სიტყვებითაც მთელი მართლმადიდებლური სამყარო ვყავართ დაწყევლილი მის შორეულ წინაპარს, მონოფიზიტ ოვანეს მეოთხეს.*

*რაც შეეხება ქართველების რელიგიურ შემწყნარებლობას, ჩვენს მოძმე სომხებს და გარეგინასაც შევახსენებდი, რომ თბილისის აღების შემდეგ მეფე დავით აღმაშენებელმა ქალაქის ქრისტიანულ მოსახლეობას მუსულმანურ უბნებში ღორის დაკვლა აუკრძალა, რათა მათი რელიგიური მრწამსი არ შებღალულიყო. თბილისში ერთმანეთის გვერდიგვერდ მოღვაწეობდნენ ქრისტიანული მართლმადიდებლური და სომხური ეკლესიები, ებრაული სინაგოგა, მუსულმანური მეჩეთი, მაგრამ, არასდროს არავის არ ახსოვს, რომ ქართველ ადამიანს რომელიმე უცხო რელიგიური სიწმინდე შეებღალოს. ამიტომ, ღმერთო ნუ მიწყენ და, ამას წინათ ავლაბრის ეჩმიაძინის სურბ-სარქისის ეკლესიაში მომხდარი ვანდალიზმი, რომელიც "ქართულ ენაზე მოლაპარაკე" ორმა ახალგაზრდამ ჩაიდინა, მაინც სომხური ბინძური ხრიკი მგონია, რათა საერთაშორისო საზოგადოება დაარწმუნონ ქართველთა "ბარბაროსობაში", რაც არაერთგზის მომხდარა არაკეთილსინდისიერი სომეხი ნაციონალისტების მიერ. ამის მაგალითად თუნდაც მეოცე საუკუნის დასაწყისში სომხების მიერ გამოცემული ერთი წიგნი შეიძლება მოვიყვანოთ.*

*ჩვეულებრივი სომხური სიბინძურითა და ინსინუაციებით გაჯერებული "წითელი წიგნი" 1920 წელს რუსულ ენაზე გამოიცა და იგი სომხებმა მაშინვე თარგმნეს რამდენიმე ენაზე და გაავრცელეს ევროპაში. მაგრამ, მისი რუსული ან სომხური წიგნად ნაბეჭდი ვერსია არავის უნახავს. ფაქტია, რომ სომხებმა ნაწარმოები სპეციალურად შექმნეს სომხურ ენაზე და თარგმნეს ევროპის წამყვან ქვეყნებთან ქართველებისა და თურქების დასასმენად. ხოლო რამდენიმე ეკზემპლარი რუსულენოვანი წიგნი საიმედოდ გადამალეს და შემდეგ ევროპას უმტკიცებდნენ – ხედავთ, წიგნი გამოვეცით და მასში მოყვანილი ბრალდებები სიმართლეს რომ შეეფერება, ქართველებმა ამიტომ ვერ გაგვცეს პასუხი და თავის მართლება არც კი უცდიათო. ქართველებმა კი მაშინ საერთოდ არაფერი იცოდნენ ამ წიგნის რუსულ ენაზე გამოცემის თაობაზე, მაგრამ, როგორც კი მისი ინგლისური ვერსიის თაობაზე შეიტყვეს, დემოკრატიული საქართველოს პარლამენტის წევრმა ბატონმა პეტრე გელეიშვილმა, რომელსაც ქართველი მკითხველი უფრო "ყარიბის" ფსევდონიმით იცნობს, რუსულ ენაზე საკადრისი პასუხი გასცა სომეხ ცილისმწამებლებს. სამწუხაროა, რომ აღნიშნული საკითხი დღესაც უაღრესად აქტუალურია, რადგან სომხები ვერა და ვერ გამოვიდნენ ისტორიულად მათი პატრონი და გარე მტრების შემოსევებით განადგურებისაგან მხსნელი ქართველების დამცირებისა და მსოფლიო ცივილიზაციის წინაშე საკუთარი "დამსახურებების" განდიდების მანიაკალური მდგომარეობიდან. განა გარეგინის სრულიად უსაფუძვლოდ დასმენა ბარაქ ობამასთან, ამის ნათელი დადასტურება არ გახლავთ?*

**სწორედ გარეგინის ამ წერილის პასუხად ვაქვეყნებთ წერილს სათაურით**

## მეხუთე კოლონა – წინააღმდეგობის ფარული, ვერაგული მოძრაობა!

ეს მცნება მეოცე საუკუნეში შეიქმნა, თუ არ ვცდები – ესპანეთში მეოცე საუკუნის ოცდაათიან წლებში მიმდინარე სამოქალაქო ომის დროს. მაშინ მეხუთე კოლონის ფუნქცია თავის თავზე იტვირთა ესპანეთის კომუნისტურმა პარტიამ, რომელსაც ცნობილი კომუნისტი ქალი დოლორეს იბარური ხელმძღვანელობდა (აღსანიშნავია, რომ ამ ომში დაღუპული მისი უმრწმესი ვაჟი ხოსე დიასი თბილისში, ვერის სასაფლაოზეა დაკრძალული). ეს გახლდათ სოციალური წინააღმდეგობის მიზნით შექმნილი მეხუთე კოლონა, რომელიც ფრანკოს ფაშისტურ რეჟიმს დაუპირისპირდა და იცოდა რა, რომ ვერაფერს გახდებოდა კბილებამდე შეიარაღებულ ფრანკოს ჯართან, საბჭოთა კავშირს მიმართა დახმარებისათვის, მოხალისეების გაგზავნის თხოვნით.

ასე აღმოჩნდნენ საბჭოთა მოხალისეები ესპანეთში 1936 წელს, მაგრამ ამ გაერთიანებულმა ძალებმაც ვერ მოახერხეს ფრანკოს დამარცხება და ესპანეთში დიდი ხნით ფაშიზმმა დაისადგურა.

მოკლედ, ფრაზა **"მეხუთე კოლონა"**, როგორც ფილოსოფიური მცნება მეოცე საუკუნეში ჩამოყალიბდა, თორემ პირველი ფაქტი ალბათ უხსოვარ დროს მოხდა, როცა რომელიმე უცხო ქვეყანას შეკედლებულმა ლტოლვილებმა მის მასპინძელ ქვეყანას ვერაგულად უღალატეს და მტერს შეუძღვნენ მათი მასპინძლების სამშობლოში.

ალბათ მკითხველი მიმიხვდება, თუ საით მიმყავს საუბარი, მაგრამ ვიდრე ამ თემას გავშლიდე, მანამდე მინდა მეხუთე კოლონის რამდენიმე თვალსაჩინო მაგალითზე მოგახსენოთ.

როცა ინგლისის მეფე კარლ მეხუთეს გამოუვალი მდგომარეობა შეექმნა ოლივერ კრომველის რევოლუციური შემოტევების გამო, მას სურდა ქვეყანაში საფრანგეთის ჯარი შეეყვანა და აჯანყებულები დაემარცხებინა. მას ამ გადაწყვეტილების მიღებაზე მაშინ ბრიტანეთში მეხუთე კოლონად ქცეულმა ფრანგებმა უბიძგეს, რაც კარლ მეხუთეს სიცოცხლის ფასად დაუჯდა კიდეც – ეშაფოტზე დაასრულა სიცოცხლე.

საქართველოში მე-5 კოლონა მაშინ ჩამოყალიბდა, როცა აქ პირველმა სომეხმა დაიდო ბინა. შემდეგ შემოთესლებულთა შთამომავალმა რამდენიმე სომეხმა კი უკვე იმის მტკიცება დაიწყო, რომ ქართული საეკლესიო ნაგებობები ჩვენი წინაპრების მიერაა აგებული და ამიტომ სომხებს გვეკუთვნისო.

ჩვენ უკვე ვწერდით იმის თაობაზე, რომ თბილისთან მდებარე შავნაბადას მამათა სამონასტრო კომპლექსის მოძღვრები და მთელი მრევლი დამიდგება იმის მოწმედ, რომ მეოცე საუკუნეში, როცა ეს ძველი მართლმადიდებლური ეკლესია დაცარიელებული იყო, სომხებმა შესასვლელის ორივე მხარეს კედლები გამოტეხეს და შიგ შავი ფერის (ვითომ დროისაგან ჩაშავებული) სომხურწარწერიანი ქვები შეტენეს, რათა შემდეგ ემტკიცებინათ, რომ ეს საყდარი სომხურიაო!

მომხდარა ხოლმე, რომ საქართველოს დაუძინებელ მტრებს არც მთლად როყიოდ უსვრიათ საკმაოდ ვერაგული, ვითომ ქართული საომარი ლოზუნგი **"საქართველო ქართველებისათვის!"**, რასაც დღესაც ურცხვად იმეორებენ სომეხი ვაიპოლიტიკოსები. თავად განსაზღვრეთ, რომელი უფრო მართებული ლოზუნგია: **"საქართველო ქართველებისათვის!"**, სადაც უზრუნველად ცხოვრობს ექვსასი ათასამდე სომეხი და ხუთასი ათასამდე აზერბაიჯანელი, თუ **"სომხეთი სომხებისათვის!"**, სადაც მხოლოდ რამდენიმე ქართული და რუსული ოჯახი თუ ცხოვრობს, და სომხები ყველაფერს აკეთებენ მათი იქიდან გამოსაძევებლად, აზერბაიჯანელს კი, სომხეთში ხომ საერთოდ ვერ იპოვნი.

სწორედ წრესგადასული ეროვნულზნეობრივი და ცრუ გეოპოლიტიკური ამბიცია გახლავთ სომხების მოურჩენელი ავადმყოფობა. მათ დროზე უნდა მიხედონ ამ მძიმე დაავადებას, რადგან არ უნდა დაივიწყონ, რომ ყოველი მოურჩენელი სენის მიღმა უეჭველი სიკვდილი არის ჩასაფრებული.

ახლა, სომხები ასევე სომეხი სააკაშვილის ხელმძღვანელობით ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ საქართველოს დედაქალაქი ქუთაისში გადაიტანონ და აღმოსავლეთ საქართველო სომხების საჯირითო მოედნად აქციონ. ნიადაგიც მომზადებული აქვთ საამისოდ – სააკაშვილის მცდელობით დაჩქარებულად მიმდინარეობს გოდერძის უღელტეხილზე გზატკეცილის მშენებლობა, რათა სომხებმა პირდაპირ შესძლონ საზღვაო ტვირთების ტრანსპორტირება, რუსეთთან მოკლე გზის გასახსნელად კი სწორედ სომხების ინიციატივით იგეგმება ცხინვალის გვერდის ავლითა და კავკასიონში გვირაბის გაჭრით რკინიგზის ხაზის გაყვანა. სწორედ ამიტომ აკეთებს ყველაფერს სააკაშვილი ხელისუფლებაში დასარჩენად, რათა სომხების წინაშე აღებული ეს ვალდებულებები **"პირნათლად"** შეასრულოს, რადგან, წინააღმდეგ შემთხვევაში, მას დიდი საფრთხე შეექმნება. ყველაზე სამწუხარო კი ის არის, რომ ამ ვერაგულ საქმეში სააკაშვილს ხელს უწყობენ არა მხოლოდ გვარგადაკეთებული ქართველები, არამედ თანამდებობრივ სკამებსა და ფულს დახარბებული არაკეთილსინდისიერი ეთნიკური ქართველებიც.

მიშა სააკაშვილმა რომ 2008 წლის აგვისტოს სამდღიან ომში **"სასტიკად დაამარცხა"** რუსები და ტაშფანდურა გააჩაღა რუსთაველის გამზირზე, იმ ქართველების მაგიერ მრცხვენოდა, რომლებიც ამ უმსგავსებას ხბოს აღტაცებით უკრავდნენ ტაშს!

სააკაშვილს მაშინ ტყუილი არ უთქვამს – მან, მართლაც გაიმარჯვა, როგორც სომეხმა, რადგან მაშინ საქართველომ იურიდიულადაც დაჰკარგა აფხაზეთი და სამაჩაბლო. სომეხი რეაქციონერების გამარჯვება ხომ ის არის, რაც უფრო მეტ ტერიტორიას დაჰკარგავს საქართველო და რაც უფრო დასუსტდება იგი.

ვერ გამიგია, ქართველები ნუთუ მართლა ასეთი ბრიყვები არიან, რომ თავად ლესავენ საკუთარი თავის მოსაკვეთ ნაჯახს?

ხეს უთქვამს, ნაჯახს ჩემი ჯიშის რომ არ ეხმარებოდეს, ვერაფერს დამაკლებდაო.

აბა, მითხარით, რას დააკლებდნენ სომხები საქართველოს, მათ რომ სულმდაბალი ქართველი მანქურთები არ ეხმარებოდნენ.

**"ქუთაისის ახალი ისტორია იწყება 21-ე საუკუნეში და სამი ასეული წლის წინანდელი ფუნქციის აღდგენით, ქუთაისი ხდება საქართველოს პოლიტიკური ადმინისტრაციის ცენტრი და მეორე დედაქალაქი"**, – ამის შესახებ სააკაშვილმა ქუთაისის ეთნოგრაფიულ მუზეუმში განაცხადა.

მისი თქმით, ვისაც არ ესმის ქუთაისის ისტორიულ-პოლიტიკური მნიშვნელობა, საერთოდ არ ესმის საქართველოს მომავლის.

**„მე მინდა ვუთხრა ყველა პოლიტიკოსს და არაპოლიტიკოსს, ყოველგვარი მიკიბმოკიბვის გარეშე – ვისაც არ ესმის ქუთაისის ისტორიულ-პოლიტიკური მნიშვნელობა, საერთოდ არ ესმის საქართველო. ვისაც არ ესმის, რატომ გადმოგვაქვს ჩვენ ქუთაისში პარლამენტი, ის ეწინააღმდეგება საქართველოს გაერთიანების, საქართველოს განვითარების, საქართველოს ევროპული არჩევანის და საერთოდ, საქართველოს მომავლის ლოგიკას და არ აქვს გააზრებული ქუთაისის მნიშვნელობა ერთიანი საქართველოსთვის"**,– ჩვეული ომახით განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

აი, ასე შემოგვაპარა საქართველოს დედაქალაქის დასავლეთ საქართველოში გადატანის **"სომხური იდეა"** ამ პირწავარდნილმა სომეხმა, რასაც, სამწუხაროდ, მართლაც მდაბიო და სიხარბემოძალებული ქართველი **"ნაციონალი"** პარლამენტარები ხბოს აღტაცებით უჭერენ მხარს!

იცოდეთ, თქვე უჯიშოებო და ოცდაათ ვერცხლს დახარბებულებო, მომავალი თაობა მკაცრად მოგთხოვთ პასუხს საქართველოს დაშლა-დანაწევრებისათვის!

განა მე-5 კოლონის კლასიკური მაგალითი არ გახლავთ ერასტი კიწმარიშვილის საქციელი, რომელიც თავის **"მამაშამეუღლესთან"** ერთად ბიზნესის საკმაოდ მომგებიან სფეროს აკონტროლებს (საკმაოდ უზნეოდ), რაც ხელისუფლების ხელდასხმის გარეშე წარმოუდგენელია.

ეროსიცა და მისი პარტიული ბოსი ირაკლი ოქრუაშვილიც (ვოსკანიანი) რომ სომხური **"მეხუთე კოლონის"** თვალსაჩინო წარმომადგენლები არიან, ამაში უკვე აღარავის ეპარება ეჭვი. ისინი ისეთივე ოპოზიციონერები არიან, როგორი **"ოპოზიციონერიცაა"** ქრისტიან-დემოკრატები და გიორგი თარგამაძე. ალბათ **"ნაციონალებს"** სურთ რომ მათთვის სასურველი **"ქრისტიან-დემოკრატები"** ახალი ოპოზიციონერებით ჩაანაცვლონ, რათა ქვეყანაში **"დემოკრატიის"** ფონი შექმნან.

ნაციონალთა ლიდერები აცხადებენ, რომ თითქოს **"მაესტროს"** დამფუძნებელსა და ერასტი კიწმარიშვილს შორის წარმოქმნილი დავა მათი პირადი საქმეა და მათ უნდა მოძებნონ ერთმანეთში საერთო ენაო.

თუ ეს ასე, მაშინ რატომ ახლდნენ კიწმარიშვილს გადაცმული პოლიციელები, რატომ არ აღკვეთეს მათ სწორედ ერასტის უკანონო მოქმედებები, რომელიც ქურდულად გადაძვრა მაუწყებლობის ღობეზე და, რაც მთავარია, რა უნდოდა კონფლიქტის ადგილზე **შსს**-ს მაღალჩინოსანს შოთა უტიაშვილს, რომელიც პერსონალური ავტომანქანიდან აკვირდებოდა ადგილზე განვითარებულ მოვლენებს.

არავის ეპარება ეჭვი, რომ **"მაესტროს"** დარბევა და მისი მუშაობის შეფერხება უკავშირდება ამ ტელეარხზე წინადღით ბიძინა ივანიშვილის ინტერვიუს, რომელმაც რეალური შეფასება მისცა საქართველოში შექმნილ სავალალო მდგომარეობას.

მოკლედ, ხელისუფლებას **"მეხუთე კოლონაში"** არასოდეს დაელევა ასეთი (**პედ**ანტი)**ერასტები**, რომლებიც ყოველგვარი ზნეობრივი ნორმების უგულვებელყოფით შეეცდებიან რეალური ოპოზიციისათვის ხელის შეშლას და **"ნაციონალთა"** ხელისუფლებაში დარჩენას, რათა მათ საბოლოოდ დაასრულონ მათდამი შეკვეთილი საქართველოს დაშლა-დანაწევრების დაშნაკურ-სომხური პროგრამა.

ჩვენი გაზეთის მეორე გვერდზე გთავაზობთ საქართველოს დე-ფაქტო მმართველი სომხების, საქართველოს ხელისუფლებაში მოკალათებული გვარგამოცვლილი სომხების და იმ მოღალატე ქართველების სიას, რომლებიც სომხებს ეხმარებიან საქართველოს წინააღმდეგ მიმართული ვერაგული განზრახვების რეალიზაციაში. მათი სახელები ჩამოურეცხავ შავ ლაქად უნდა შერჩეს საქართველოს ისტორიას!


**როლანდ ჯალაღანია,**
**„აიას" და „ფაზისის"**
**აკადემიების ნამდვილი წევრი**

# საქართველოს სომხური მუხრუჭი

დაშნაკ-ცუტიუნის წევრები:
საქართველოს მთავრობის
დე-ფაქტო ხელმძღვანელები:
კერკ კირკორიანი – ამერიკელი მილიარდერი;
სერჟ სარგსიანი – სომხეთის პრეზიდენტი;
გარეგინ II (ქესტიანჩიკი) – სომხური ეკლესიის კათალიკოსი;

საქართველოს ხელისუფლებასა და პოლიტიკურ სფეროში მოკალათებული სომხები და სხვა გავლენიანი პირები

მიშა სააკაშვილი
დავით ბაქრაძე
ნიკოლოზ გილაური
ძმა გილაური
ლადო გურგენიძე
მიხეილ მაჭავარიანი
ვანო მაჭავარიანი
ზურა მელიქიშვილი
გოგა ხაჩიძე
ლადო ვარძელაშვილი
ლევან რამიშვილი
ნიკოლოზ რურუა
გიორგი არველაძე
ლაშა ჟვანია
ხათუნა გოგორიშვილი
პაატა დავითაია
კოტე გაბაშვილი
გოკა გაბაშვილი
მარინა ბერიძე
ვახტანგ კიკაბიძე
დავით ოქიტაშვილი
ვანო თარხნიშვილი
ზურა ჭიაბერაშვილი
დავით კეზერაშვილი
რამაზ ნიკოლეიშვილი
გიორგი ღვინიაშვილი
ვასილ დავითაშვილი
დავით უსუფაშვილი
თინა ხიდაშელი
დათო ბერძენიშვილი
ლევან ბერძენიშვილი
ზურაბ ადეიშვილი
აკაკი მინაშვილი
სიმონ მასხარაშვილი
გელა ბეჟუაშვილი
დათო ბეჟუაშვილი
ლევან ბეჟაშვილი
თემურ ჭყონია
ცეზარ ჩოჩელი
გაჩეჩილაძე გია
გაჩეჩილაძე ლევანი
ირაკლი ოქრუაშვილი (ოსკანიანი)
ზურა ჟვანია
ეროსი კიწმარიშვილი
ია კიწმარიშვილი
ირინა ჭანტურია (პირუმოვა)
დუტა სხირტლაძე
ელდარ კვერნაძე
გიორგი ბარამიძე
ელენე თევდორაძე
ავთო ვარსიმაშვილი
გურამ დონაძე
დავით დარჩიაშვილი
თემურ გიორგაძე
ზურა ხაჩიშვილი
ალექსანდრე ხეთაგური
მაგდა ანიკაშვილი
დიმიტრი შაშკინი
შორენა ბეგაშვილი
თენგიზ შარმანაშვილი
გვინდაძე (ფინანსთა მინისტრი)
ია ფარულავა
გიგი წერეთელი
ზურაბ ადეიშვილი
გიო ხუციშვილი
გიორგი ასანიძე
დიმიტრი ქიტოშვილი

სომხური პროექტის იდეოლოგები

გია თორთლაძე
კაკო ბობოხიძე
პეტრე ცისკარიშვილი
ხათუნა ოჩიაური
ნუგზარ წიკლაური
ეკა ხერხეულიძე
გიორგი თარგამაძე
ლევან ვეფხვაძე
გია ნოდია
გიორგი ახვლედიანი
კაციტაძე მამუკა
ბაჩუკი ქარდავა
ბაჩო ახალაია
დათო ახალაია
კობა დავითაშვილი
დათო გამყრელიძე
ფიქრია ჩიხრაძე
თემურ იაკობაშვილი
მერაბ ჩახვაძე
გიგი უგულავა
გიგა ბოკერია
შოთა მალაშხია

საქართველოს "შადიმანები"

ედუარდ შევარდნაძე
ჯაბა იოსელიანი
თენგიზ კიტოვანი

## პატრიარქი სოფლებში საწარმოების შექმნას ითხოვს და საბანკო კრედიტების უარყოფით მხარეებზე საუბრობს



სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე სოფლებში მცირე საწარმოების შექმნისა და სოფლის მოსახლეობის დასაქმების ინიციატივით გამოვიდა.

როგორც თავისი ერთ-ერთი ქადაგებისას ილია მეორემ ბრძანა, სოფელი თანდათან იცლება, რადგან იქ მიწისა და საქონლის გარდა არაფერია. მისივე თქმით, სოფლის მოსახლეობის ნახევარზე მეტი უცხოეთშია წასულია.

**"ძალიან სამარცხვინო მოვლენაა, რომ უცხოეთში დადიან ქალბატონები და იქ უვლიან ბავშვებს, ალაგებენ, იატაკებს წმენდენ და ეს არის დამამცირებელი. წინათ მამაკაცს შეჰქონდა პური სახლში, ახლა პირიქით, ის ზის სახლში და ქალი როგორ არის, სად არის, ვისთან არის, ღმერთმა იცის. ვფიქრობ, ეს არ არის სწორი",** – ბრძანა პატრიარქმა.

უწმინდესის თქმით, სახელმწიფომ უნდა იფიქროს სოფელზე, რადგან ახალგაზრდობა მიდის სოფლიდან, სოფელი რჩება უკაცრიელი და ხშირ შემთხვევაში სოფლებს უცხო ტომის ხალხი იკავებს.

პატრიარქის განცხადებით, წინათ არსებობდა ადამიანების ჩაწერის სისტემა და ეს იყო ერთ-ერთი მიზეზი, რომ სოფლებში ხალხი სტაბილურად ცხოვრობდა, თუმცა, ჩაწერის სისტემის არარსებობის შემდეგ ხალხი ძირითადად ქალაქში და უცხოეთში გავიდა.

**"თუმცა, მხოლოდ ჩაწერის სისტემით ვერ დავაკავებთ ხალხს სოფელში. აუცილებელია იყოს საქმე, საქმე უნდა გავაჩინოთ სოფელში, სოფლელ ხალხს უნდა შევუქმნათ პირობები",** – ბრძანა პატრიარქმა.

ილია მეორე ასევე გამოვიდა ინიციატივით, რომ სახელმწიფომ ან რომელიმე ჯგუფმა გამოყოს კრედიტი და სოფლებში აშენდეს მცირე საწარმოები, სადაც დასაქმდება ადგილობრივი მოსახლეობა. **"დავუშვათ 100-კომლიან ოჯახში თითო ოჯახს რომ გამოუყოთ 10 ათასი ლარი, 100 ოჯახზე გამოვა მილიონი, მაგრამ ეს ფული არ უნდა მივცეთ, რადგან გაჭირვებულია და უცბად დაეხარჯება. ამ ფულით ისევ სახელმწიფომ ან ვიღაც ჯგუფმა უნდა ააშენოს ისეთი წარმოება, სადაც დასაქმდება მთელი სოფელი. მაგალითად, ჩვენს სოფელში, ყაზბეგის რაიონის სოფელ სნოში შესანიშნავი წამოწყებაა მეთევზეობა",** – ბრძანა პატრიარქმა.

მისივე თქმით, ის რამდენიმე წლის წინ იმყოფებოდა ჰოლანდიაში, მაისის თვეში და მან მოითხოვა წასულიყო ტიტების პლანტაციებში. **"მიდიოდა მანქანა, ჭრიდა ტიტებს და მე ვუთხარი, რომ ხომ არ შეიძლება სადმე უცხოეთში გაეყიდათ ტიტები, თუმცა, როგორც მათ მითხრეს, ვიდრე ჩვენ ამ ტიტებს საზღვარგარეთ გავიტანთ, მანამდე დაჭკნებაო. მიწაში რაც არის ბოლქვი, ის არის ძვირფასიო. მათ მითხრეს, რომ საქართველოდან იქ მრავალი მინისტრი ჩასულა და თქვენ პირველმა მოითხოვეთ პლანტაციების მონახულება, მათ არ აინტერესებთ პლანტაციებიო. ამას არც კოსმიური თანხა სჭირდება, ის არ იციან, პირველი ნაბიჯი როგორ უნდა გადადგან, რა უნდა გააკეთონ. მათ მითხრეს, რომ ჰოლანდია გამდიდრდა ყვავილებით. მეყვავილეობას მიხედეთო, თქვენ მეზობელი გყავთ დიდი (რუსეთს გულისხმობდა) და იქ ბაზარი გექნებათო",** – ბრძანა პატრიარქმა. მისივე თქმით, შესაძლოა მოსახლეობაზე გაიცეს ასევე გრძელვადიანი კრედიტი, რომელსაც სოფლის მცხოვრები დაახლოებით ათი წლის განმავლობაში გადაიხდის.

ილია მეორემ დღევანდელ საკვირაო ქადაგებაში საბანკო კრედიტების უარყოფით მხარეებზე ისაუბრა.

როგორც უწმინდესმა ბრძანა, საბანკო კრედიტები ძალიან უარყოფითად მოქმედებს მოსახლეობაზე. მისი თქმით, არის ისეთი მრავალი შემთხვევა, როდესაც ბანკი ფულს აძლევს მოსახლეობას და ადამიანი კრედიტის სანაცვლოდ თავის სახლს დებს, შემდეგ ამ კრედიტს პროცენტები ემატება და ბანკები მას ბინას უყიდიან.

**"მინდა მივმართო ჩვენი ბანკის მფლობელებს, რომ ასეთი დამოკიდებულება არ უნდა გქონდეთ ჩვენი მოსახლეობის მიმართ. არ კმარა მხოლოდ კანონი, არის სხვა კანონი – გულის კანონი. შენ რომ გამოგასახლონ სახლიდან და დაგატოვებინონ სახლი, გესიამოვნება? რა უნდა გააკეთო?",** – ბრძანა პატრიარქმა.

უწმინდესის თქმით, ბანკს უნდა ჰქონდეს სპეციალური ფონდი მსგავსი შემთხვევების თავიდან ასაცილებლად. **"უნდა არსებობდეს ასეთი ფონდი, როდესაც ადამიანს, ამა თუ იმ ოჯახს ასეთი გამოუვალი მდგომარეობა აქვს, დაეხმაროს, შეღავათი მისცეს და გადაარჩინოს",** – ბრძანა პატრიარქმა.

## ნაციონალთა საახალწლო საჩუქარი – ფოთში 600 უმუშევარი

ფოთის ნავსადგურის ხელმძღვანელობამ უკანასკნელ დღეებში სამსახურიდან ასობით ადამიანი გაათავისუფლა და რამდენიმე სამსახურიც სავსებით გააუქმა. გასათავისუფლებელ თანამშრომლებს ტელეფონით უკავშირდებიან და ცალ-ცალკე იბარებენ, რათა ხალხმრავლობისა და დაძაბულობისათვის თავი აერიდებინათ. განთავისუფლებულ პირებთან შეხვედრებში მხოლოდ ფირმის უცხოელი წარმომადგენელი და თარჯიმანი მონაწილეობდნენ. აღნიშნული ინფორმაცია სააგენტო **tspress.ge**-მ გაავრცელა.

ინფორმაციის თანახმად, ფოთის ნავსადგურის ხელმძღვანელობისაგან დაპირებული კომპენსაციის მიზეზით, სამუშაოდან დათხოვნილი ადამიანები ჟურნალისტებთან ღიად ურთიერთობაზე უარს აცხადებენ. კომენტარზე უარს ამბობს ნავსადგურის ხელმძღვანელიც. **„წლების განმავლობაში შენიშვნაც არ მიმიღია. ვიკითხე, რა გახდა ჩემი სამსახურიდან დათხოვნის საფუძველი, ობიექტური პასუხი ვერავისგან ვერ მივიღე. დაგვპირდნენ, ერთი წელი კომპენსაციას მოგვცემთო",** – ტირილით განაცხადა სამსახურიდან განთავისუფლებულმა ერთ-ერთმა ასაკოვანმა ქალბატონმა.

ნავსადგურის მეპატრონეთა ამ გადაწყვეტილებით განსაკუთრებით რთულ მდგომარეობაში საპენსიო ასაკს მიღწეულნი არიან: **„მე ახალ სამსახურში აღარავინ მიმიღებს, ერთ წელიწადში ეს კომპენსაცია რომ დამთავრდება, რითი მივიტანო სული პენსიის დანიშვნამდე?"** – აღნიშნავს შუახნის მამაკაცი.

ფოთის ნავსადგურის თანამშრომელთა შემცირება ამ დრომდე გრძელდება.

ნავსადგურის ხელმძღვანელობა თანამშრომლებს დღის განმავლობაში ნავსადგურის სამმართველოსა და გაფორმების ეკონომიკური ზონის ტერიტორიაზე განთავსებულ კომერციულ განყოფილებაში ხვდება.

თანამშრომელთა ვარაუდით, ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, ახალ წელს უმუშევრის სტატუსით 600-მდე ადამიანი შეხვდება.

საქინფორმი



## პოეზიის კუთხე

### აფხაზეთიშ ტრაგედია

ჩქინი ოზე, დიხა ვარე
ორტვინ გიოთასალო,
ჩქინი სკვამი აფხაზეთშა
ვამტენანო, მართალო?..
მონატრ ჩქიმი ოცხიმურონ,
ოწიფურონ, ოჭყონე,
თეზმა ხანიშ ლტოლვილობათ
დუდშა მიჩქუ ონჯღორე.
გიმაშინე ოზე-კარი,
ორტვინ, ომანდარინე,
ირფელ ართო ქიგიბშინდა,
დასრო ქიმანგარინე.
ჩქინი ინჭაშ წკონდა წყარი,
ჩქიმი მუმაშ ნანთხორა,
მუში დინანჭყაფი ორე,
ადგილ მუშ გიშნაგორა.
ნოტე ხოლოს ქო უან
ვარა ჯიმა, ვარა და,
ართშა ქიგმოგონუას
ვოისა რადაშ ვარადა.
გინოჭვილი გაგრა, სოხუმ,
ოჩამჩირე, გალი რე,
ილორიშა გეგნუჩამდან
თენა მიდგაშ ბრალი რენ.
ჩქინ სოფელი ოხურეი
ნოტე ქიმოძირასი,
გინვოჯინედ ჩილამორით
დო დიბჭყანდი ბირასი.
ბრელს ფიფქრენქ დო ვობცნებენქ,
თეშ უჯგუში მუ მაში,
მა მონატრუ ჯვეშ სასაფლა
ჩქიმ დიდაშ დო მუმაში.
უნგარუო ვერაგადე,
გურ გიღუდას რკინაში,
ტერიშ ტყვიათი ვილილი
ამბე ჩქიმი ჯიმაში.
ტანს ბუძგური გიმორზანსუ,
ქიგიფშინანქ ათენას,
ჯიმასქუაშ ჭიჭე ცირას,
შქვითი წანერ ხათუნას.
ბრელ ოზეებს ისიმედუ
ბაღანეფიშ ტიტინი.
ქიმშმაკათეს შხვაში თურეფქ,
ვედიტუეს მითინი,
მუჭო მონატრ ჩქიმი ფაცხა,
დაჩხირ ეკორზაფილი.
ადესაში უჩა ღვინი,
ღორონთიში ხვამილი.
მართალს მითინ ვაიწინს,
ვართ რადიო, ვართ გაზეთი,
მუჟამისი მაჭარუნა
ჩქინი სკვამი აფხაზეთი.

არდევან ჯახაია

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჭეშმარიტება და მხოლოდ ჭეშმარიტება

## ცალკეული სპეციალისტების მიერ ქართველური ენების უგულებელყოფის ცდის — როგორც არამეცნიერული, ანტიეროვნული აქტის — აღკვეთისა და ევროსაბჭოს კონვენციის მოთხოვნათა შესაბამისად ამ ენების დაცვის უზრუნველყოფის აუცილებლობის შესახებ

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. №146, 147, 148, 149)

სათაურქვეშ „უმაგრებენ თუ არა ილია, აკაკი, იაკობი „სამეულს" ზურგს?", სათანადო მასალების მოხმობა-განხილვის შემდეგ ავტორი წერს: „არასერიოზულია, რბილად რომ ვთქვათ, ილიას, აკაკის და იაკობის ნააზრევის საკუთარი მიზნებისათვის ისე გამოყენება, როგორც ამას „სამეული" იყენებს". (გვ.3).

ავტორი (გ. გ.) გაოცებას გამოხატავს **თ. გვანცელაძის** ერთ ასეთ გამონათქვამზე: „თ. გვანცელაძე წერს: **„როგორც არაერთხელ საჯაროდ განუცხადებია თ. გამყრელიძეს, გ. წერეთელი არნ. ჩიქობავას სთავაზობდა, მეგრულს, ლაზურს ენებად ნუ მოვიხსენიებთ და დიალექტთა სტატუსი მივანიჭოთო"** (თ. გამყრელიძე, 2006, გვ. 20). ამიტომ გ. წერეთელი შეიყვანეს თავიანთ წინამორბედ მეცნიერთა ჯგუფში მეოთხე ნომრად!.

სათაურქვეშ **„მოწაფეობა მძიმე ტვირთია"**, ავტორი აღნიშნავს: **„თ. გვანცელაძე წერს: „პირადად მე მადლობელი ვარ უფლისა, რომ მაქვს პატივი ვიყო არნოლდ ჩიქობავას, ქეთევან ლომთათიძის და გიორგი როგავას მოწაფე" (თ. გვანცელაძე. 2006, 29). „თ. გვანცელაძე ასევე მიიჩნევს, რომ ფუტკარაძე არის ბ. ჯორბენაძის მოწაფე".** (იქვე, გვ. 35).

შემდგომ ამისა, ავტორი (გ. გ.) წერს, **რომ მოწაფეობა არ ნიშნავს იმას, რომ ვინმეს ლექციები გქონდეს მოსმენილი. მოწაფეობა მეცნიერებაში ნიშნავს იმას, რომ იზიარებდეს და პატივს სცემდეს მასწავლებლის პოზიციას, იდეებს, აგრძელებდეს მის გზას; მოწაფე არ უნდა ლანძღავდეს და ცილს არ უნდა სწამებდეს მასწავლებელს. ამასთან, მოწაფეობა საკუთარი განცხადებით კი არ ენიჭება ვინმეს. მოწაფედ მასწავლებელმა ან სამეცნიერო საზოგადოებამ უნდა აღიაროს თავისი პოზიციისა და ღვაწლის გამო!.. (გვ. 120). „მოწაფეობა მძიმე ტვირთია და ყველას არ შესწევს ძალა მისი ზიდვისა". „და ბოლოს, გახსოვთ ალბათ, თ. გვანცელაძის გამონათქვამი: „ჩვენ სხვა ზნეობრივ-ეთიკური პრინციპები გვაქვს"-ო, „–მართალი უთქვამს",– ასკვნის გ. გოგოლაშვილი.**

ასეთია, მოკლედ, არნოლდ ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტის კრებულის **„ქართველური ენები და დიალექტები (ერთი „სამეცნიერო პოლემიკის" გამო)"** შინაარსი. მასში ის აზრიცაა გამოთქმული, რომ **„არავინ იცის როდემდე გაგრძელდება „სამეულის" „პროვოკაციული აურზაური", სხვათა „ბეზღობა და ცილისწამებანი", „როდის დაედება საზღვარი მათ დაუოკებელ სურვილს პირველკაცობისა, ორიგინალობისაკენ სწრაფვას", და, გულისტკივილით არის აღნიშნული, რომ „ქაღალდი თურმე ყველაფერს იტანს"...**

მართლაც, ახალი **„თეორიის"** ავტორებს დღემდე არ შეუწყვეტიათ ამგვარი საქმიანობა; პირიქით, მეტის აგრესიულობით აგრძელებენ მას. საამისოდ იყენებენ პრესას, ტელევიზიას, ინტერნეტს... ცდილობენ სამთავრობო ხელისუფლებისა და საპატრიარქოს გამოყენებას... (ასე რომ არ იყოს, ამ საკითხს აქ სულაც არ შევეხებოდით).

ამას წინათ ინტერნეტში გამოჩნდა ტ. ფუტკარაძის 19-გვერდიანი **„ნაღვაწი"** დასათაურებით: „ჟურნალ „ცხელი შოკოლადი-ლიტერატურის" რედაქტორს ბატონ **მალხაზ ხარბედიას;** გაზეთ პოსტკრიპტუმის (**P.S**.) მთავარ რედაქტორს ქალბატონ **ნატო გუბელაძეს**".

როგორც წერილის შესავალშია ნათქვამი, იგი დაწერილია აღნიშნული გაზეთების 2010 წლის აპრილის ნომრებში დაბეჭდილი **ნინო დობორჯგინაძის** წერილის **„ორიოდე სიტყვა მეცნიერების მართვისა და განკარგვის საკითხზე"**, ასევე 2009 წელს **„საქართველოს რესპუბლიკაში"** გამოქვეყნებულ **გ. გოგოლაშვილის** საგაზეთო მასალის პასუხად.

რასაკვირველია, ტ. ფუტკარაძე მისთვის ჩვეული სტილითა და მონდომებით **„ამტკიცებს"** აღნიშნული წერილების **„აბსურდულობას"** და საკუთარი (**„სამეულის"**) ახალი **„თეორიის" „ჭეშმარიტებას"**. ამასთან, ახალ-ახალი საკბილოებიც ჰყავს გამონახული. იგი წერს: **„მეგრული და ლაზური ანბანების შექმნის პარალელურად განახლდა კუთხური მეტყველების მიხედვით ბიბლიის თარგმნის თუ მხატვრული ლიტერატურის შექმნის მცდელობები (იხ. მაგ., გური ოტობაიას, ვახტანგ ხარჩილავას, გიორგი სიჭინავას, მამანტი ძაძამიას, კლიმენტი შელიას მურთაზ ჯანჯღავას და სხვათა კონცეფციები"); „აკადემიური პოლემიკის ნაცვლად, საბჭოური „წესით" ილანძღებიან და არაიშვიათად მოითხოვენ ჩვენი თვალსაზრისების აკრძალვას (იხ. მაგ., გიორგი გოგოლაშვილის, ჭაბუკა ქირიას, დავით რაფავას, ზაქარია ფურცხვანიძის, იურა ღვინჯილიას, მამანტი ძაძამიას და სხვათა ცილისწამებები (იხ. კრებული: ქართველური ენები და დიალექტები, თბ., 2007; ჟურნ „აიასა" და გაზეთ „ილორის" სხვადასხვა ნომრები). (ცნობისათვის: გ. გოგოლაშვილი, ჭ. ქირია და ზოგი სხვა „ოპონენტიც" გიპერტ-თანდიშვილის ბოლოდროინდელი პროექტების მონაწილენი არიან, კ. შელია დ. რაფავა, ი. ღვინჯილია და მსგავსნი კი არიან ისაკ ჟვანიას მიმდევრები)".**

ამგვარზეა ნათქვამი: **„ჩემი შენ გითხარიო..."** ამიტომაც პირდაპირ უნდა ითქვას:

სრული ამორალურობისა და უზნეობის გამოხატულებაა ეს დემაგოგიური წერილი. იგი თავიდან ბოლომდე ბოროტი სიყალბის, ცილისწამებებისა და ინსინუაციის გამაოგნებელი მაგალითია. იგი შეუდარებელი ნიმუშია იმისა, თუ როგორ შეუძლია პასუხისმგებლობის ელემენტარულად გრძნობადაკარგულ გაბოროტებულ ადამიანს: ჭეშმარიტი შეაფასოს არაჭეშმარიტად, მეცნიერული – არამეცნიერულად, ადამიანური – არაადამიანურად, მორალური – ამორალურად; სრულიად უსაფუძვლოდ დასწამოს განუსაზღვრელი ცილი და ურცხვად ლანძღოს არა მხოლოდ ერთეული ადამიანები, არამედ საერთაშორისო ორგანიზაციები, სხვადასხვა ქვეყნის სამეცნიერო დაწესებულებები, მეცნიერული მიმართულებები; გააბიაბრუოს საყოველთაოდ აღიარებული ჭეშმარიტი მეცნიერული ღირებულებანი; ყოველგვარი ბინძური ხერხის გამოყენებით ეცადოს, თავს მოახვიოს საზოგადოებას საკუთარი კვაზიმეცნიერული მოსაზრებები; თავგამეტებით ებრძოლოს იმათ, ვინც მას არ და ვერც დაუჭერენ მხარს თავის პროვოკაციულ ქმედებაში; დააშანტაჟოს და დააშინოს ისინი, ვინც დადებით მოვლენად არ აღიარებენ მის აშკარად ანტიმეცნიერულ, ანტისახელმწიფოებრივ, ანტისაზოგადოებრივ, დიახ იმპერიულ, შოვინისტურ და ფაშისტურ თეორიასა და ქმედებას.

დაისმის კითხვა: როდის აქეთ, კონკრეტულად, და რა მიზეზებითა და მიზნებით დაიწყო თავისი ახირებული არამეცნიერული თეორიის შექმნა იმერეთელმა (თუ რატომ, ხაზგასმა: **„იმერეთელმა"**, – ქვემოთ.) ტ. ფუტკარაძემ? ამ კითხვის პასუხი თითქოსდა მოცემულია ზემოთ წარმოდგენილ მასალაში, მაგრამ მასში არ არის ნათქვამი მთელი სიმართლე, უფრო ზუსტად, თითქმის არაფერია ნათქვამი ტ ფუტკარაძისა და მისი თანამზრახველების მთავარი მიზნის შესახებ. უამისოდ კი, ფუტკარაძე და მისი თანამზრახველები, ანდა შემცვლელები მომავალში, არ გამოილევიან და არც დაცხრებიან, ვიდრე საქართველოს ბოლომდე არ დაშლიან და არ გაანადგურებენ. ამიტომ, სანამ ძალიან გვიანი არ იქნება, უნდა ითქვას სრული სიმართლე და უნდა გატარდეს სათანადო ღონისძიებები ასეთი უბედურების თავიდან ასაცილებლად.

ცნობილია, რომ კაცობრიობის ისტორია ერებსა, ხალხებსა, ტომებსა და სხვათა შორის სამარცხვინო ბრძოლის ისტორიაცაა, რაც ერთმანეთის მიმართ აღზევების ჟინით იყო პირობადებული. ამ მხრივ გამონაკლისი არც საქართველო ყოფილა.

**იმაზე, თუ რა იყო და რა ხდებოდა შორეულ წარსულში ჩვენში, დღეს პასუხს ვერავის მოვთხოვთ. მაგრამ დღევანდელობისათვის, და იმისთვისაც, თუ რა შეიძლება მოხდეს მომავალში, პასუხისმგებლობა დიახაც გვეკისრება. ეს კი, წარსულისა და მიმდინარე დროის შეცდომების დაუნახაობისა და მიჩქმალვა-განუსჯელობის პირობებში, შეუძლებელია.**

**„ქართლის ცხოვრებაში"** შავით თეთრზე წერია, რომ კოლხეთის მეფე ქუჯიმ საკუთარი ნებით დათმო მეფობაც და სახელმწიფოც, იგი ქართლის მომავალ მეფეს ფარნაოზს გადაულოცა, დაეხმარა გამეფებაშიც და ამით უზრუნველყოფილ იქნა ერთიანი ძლიერი საქართველოს შექმნა. **„ქართლის ცხოვრებაში"** ისიც ცალსახად წერია, რომ მას შემდეგ ფარნაოზმა შექმნა მწიგნობრობა ქართული, განავრცო ქართული ენა დასავლეთ საქართველოშიც და **„ქართლსა შინა არა იზრახებოდა სხუა ენა გარნა ქართულისა"**.

რამდენიც არ უნდა შევალამაზოთ ეს სიტყვები, ფაქტი ფაქტად რჩება: საქართველოში, გარდა ქართულისა, სხვა ენები აკრძალულ იქნა. გამორიცხული (და, ალბათ, სათუოც) არ არის, ასევე აკრძალულიყო **„მამათაგან ნაწერი კვირბები"**, ანუ კოლხური დამწერლობა.

კოლხებმა, მეგრელ-ლაზებმა (ჭანებმა) და სვანებმა, ნებით თუ უნებურად, გაიღეს ასეთი მსხვერპლი. მათ სხვა მსხვეპლიც გაიღეს. ამაზე მეტყველებენ ისტორიულ წყაროებზე, ტოპონიმიკაზე და სხვაზე დამყარებით მიღებული მეცნიერული დოკუმენტური მასალები. აი, ზოგიერთი მათგანი:

**„არქეოლოგიური და ისტორიულ-ტოპონიმიკური მონაცემები და წერილობითი ცნობები... თითქმის თანხმობით მოწმობენ, რომ შუა და ბრინჯაოს ხანაში... აწინდელი ტაო-კლარჯეთის, სამცხის და თვით შიდა ქართლის დიდი (დასავლეთი ნაწილი) მეგრულ-ჭანური ტომების საცხოვრისს წარმოადგენდა აღმოსავლეთ-ქართული ტომების გვერდით" (ნ. ბერძენიშვილი).**

**„ერთ დროს ეგრისი მთელს დასავლეთ საქართველოს ერქვა და საზღვრებიც შესაბამისად იყო გაფართოებული". „ჩვენი წელთაღრიცხვის დასაწყისში ლაზმეგრელებს ჯერ კიდევ ჰქონდათ შენარჩუნებული ტერიტორიული მთლიანობა... შემდეგ ერთი ქართველი ტომთაგანი შეიჭრა შიგ შუაგულში, რასაც მოჰყვა მეგრელებისა და ლაზების დაცილება".**

**„გურულები და იმერლები მეგრელლაზების მიწა-წყლის შიგ შუაგულში არიან შეჭრილნი და მეგრელებსა და ლაზებს ერთმანეთისაგან აშორებენ. ამის მიუხედავად, – დასკვნა იმის შესახებ, რომ თავდაპირველად ის მიწა-წყალი მეგრელებს ეკუთვნოდათ, მაინც შეურყეველი რჩება" (ივ. ჯავახიშვილი).**

**„ჭანები ძმები არიან მეგრელებისა. ძველისძველად ჭანები და მეგრელები შეადგენდნენ ერთ დიდ ერსა და გაბმით ეჭირათ აღმოსავლეთი ნაპირი შავი ზღვისა და სამხრეთ ნაპირი ნახევრობით. შემდეგ ქართველები აღმოსავლეთით მიაწვნენ შავი ზღვის პირას, შუა გააპეს მეგრელჭანების ტომი, დასახლდნენ ახლანდელი საცხოვრებელს ადგილზედ და გააცალკევეს დიდი ხნის ერთად მცხოვრები ძმები. ჩვენის პატივცემულის ისტორიკოსის დიმიტრი ბაქრაძის აზრით კი ახლანდელი გურულები მეგრელები არიან, მხოლოდ დროთა ვითარებაში სრულად გაქართველებულნი" (ი. გოგებაშვილი, ბუნების კარი, გვ. 528).**

ჩვენი ბოლოდროინდელი გამოკვლევებით დადგინდა, რომ:

**ძველი და ახალი დროის 500-მდე უცხოელი და ქართველი სწავლულისა და მეცნიერის მონაცემებით, პრეისტორიულ ხანაში ქართულ-ქართველური ეთნოსის ხალხები, და კერძოდ, კოლხები განსახლებული ყოფილან: ევროპის თითქმის მთელ ტერიტორიაზე, აზიის ვეებერთელა ტერიტორიაზე, კერძოდ, თითქმის მთელ კავკასიაში და დღევანდელი ინდოეთის თითქმის მთელ ტერიტორიაზე, აფრიკის უუვრცელეს ტერიტორიაზე და ცენტრალური ამერიკის, კერძოდ, დღევანდელი მექსიკის თითქმის მთელ ტერიტორიაზე... წყაროებისავე მონაცემებით, ესენი იყვნენ ერთმანეთის ნაშიერი ხალხები: – კოლხ-იბერების, შუმერების, პელაზგების, ეტრუსკების, ბასკების, აცტეკების და სხვათა სახით (აღნიშნულთა შესახებ იხ. აკად. კლიმენტი შელიას მონოგრაფიები და საგაზეთო პუბლიკაციები).**

ასე, რომ, ძველ წყაროებში (ჰეროდოტესთან და სხვებთან) მოცემული შეფასება, რომ **„აია", „აიონი" „მთელ მსოფლიოს უტოლდებოდა", ჭეშმარიტებას წარმოადგენს.** მაგრამ ისტორიის ქარტეხილების წყალობით, საბოლოოდ, მივიღეთ კავკასიის მთაზე, უფრო სწორად, მის ერთ მონაკვეთზე **„მიჯაჭვული ამირანი"**. კიდევ უფრო უარესი: თუ გუშინ დასავლეთი საქართველოს საკუთრივ სამეგრელოს ტერიტორიაზე მეგრულენოვანი მოსახლეობა 8 რაიონს მოიცავდა, დღეს იგი 7 რაიონშიღა დარჩა.

**აი, როგორ დაიმცრო კოლხურენოვანი, და კერძოდ, მეგრულენოვანი მოსახლეობა მითოსაჟამიდან დღემდე!**

**ასეთ პირობებში, თუ არა კოლხურს, კერძოდ, მეგრულ და ლაზურ (ჭანურ) ენებს, ასევე სვანურ ენას, სხვა რომელ ენას შეიძლება უფრო სჭირდებოდეს დაცვა, მოვლა-შენახვა?**

მაგრამ, სწორედ ასეთ პირობებში ესწრაფის, – უყელოს მეგრულ ენას და მეგრულენოვან ხალხს, იმერეთელი ტარიელ ფუტკარაძე, ანუ ერთ-ერთი აშკარად მეგრელთმოძულე ნაშიერი (სხვათაგან განსხვავებით) იმ **„ერთ-ერთი ქართველი ტომთაგანისა, რომელიც თავის დროზე შემოიჭრა მეგრელებისა და ჭანების შიგ შუა გულში, რასაც მოჰყვა მათი ერთმანეთისაგან დაშორება"**, და საბოლოოდ, თურქეთის მიერ მთელი ლაზეთის, ანუ თითქმის ნახევარი საქართველოს, მიტაცება (ანალოგიურ ფაქტს უკვე ჩვენს დროში, ანუ ე. წ. **„მხედრიონელების"** მიერ სამეგრელოს ხუთგზის დალაშქვრა-გაძარცვა-განადგურებასა და დაუძლურებას, სხვა მიზეზებთან ერთად, მოჰყვა, – საბოლოოდ, – აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დაკარგვა).

ტ. ფუტკარაძისნაირი მისწრაფების ადამიანებმა შეთითხნეს, თავის დროზე, არარსებული ბრალდება **„მეგრული სეპარატიზმის"** შესახებ, ე. წ. **„მეგრელთა საქმის"** სახელით, რასაც საშინელი ტერორი და ლამის მეგრელთა გაციმბირება მოჰყვა.

ტ. ფუტკარაძეს, ჩანს, არ სურდა **„მეგრელთა საქმესა"** და **„მხედრიონელთა"** შემოსევებს ძლივს გადარჩენილი სამეგრელოსთვის მოსვენება მიეცა. მისი აზრით, დროც არ ითმენდა. ვიდრე სამეგრელო სულს ღაფავდა და საქართველოს მთავრობაც ევროსაბჭოს კონვენციის რატიფიკაციას მოახდენდა, უნდა მოესწრო **„დაემტკიცებინა"**, რომ მეგრული, ჭანური და სვანური დიალექტებია და არა ენები. ასეთ შემთხვევაში საქართველოს მთავრობა ვალდებული არ იქნება დაიცვას ეს **„დიალექტები"**, ვინაიდან დიალექტების დაცვას ევროსაბჭოს კონვენცია არ ითვალისწინებს (თუმცა, სომხეთის მთავრობამ სომხური ენის დიალექტების დაცვაც ივალდებულა). ამით მეგრული, ჭანური და სვანური ენები, ყოველგვარი დაცვის მექანიზმების გარეშე, პირდაპირ სიკვდილის წინაშე აღმოჩნდებიან.

ამიტომაც ტ. ფუტკარაძემ და მისმა თანამზრახველებმა ამ ენების წინააღმდეგ აშკარად დაუნდობელი ბრძოლა გამართეს 1999 წლის აპრილიდანვე, ანუ ევროსაბჭოში საქართველოს შესვლისთანავე, რათა დაეშანტაჟებინათ საქართველოს მთავრობა და არ მომხდარიყო ევროსაბჭოს კონვენციების **რატიფიკაცია**. ისინი ამ ბრძოლას თავგამეტებით აგრძელებენ დღემდე, რაზეც ნათლად მეტყველებს ყოველივე ზემოღნიშნული.

ცხადია, ტ. ფუტკარაძესა და მისი თანამზრახველებისათვის კარგად არის ცნობილი, თუ რასაც მოასწავებს ენის წართმევა მისი მატარებელი ადამიანებისათვის (ამაზე ზემოთ ითქვა).

მათ კარგად იციან, რომ **„ენა საღვთო რამ არის, საზოგადო საკუთრებაა. მაგას კაცი თავისი ცოდვილის ხელით არ უნდა შეეხოს" (ილია ჭავჭავაძე).**

მათ კარგად იციან, რომ, როგორც ამას ენათმეცნიერება გვასწავლის, **დიდი ენა ანუ დედა ენა დიდ მდინარესა ჰგავს: დიდი მდინარე შენაკადებით იკვებება და ცოცხლობს. როცა ეს შენაკადები დაშრებიან, დიდი მდინარეც შრება და ქრება; დიდი ენაც მონათესავე ენებითა და დიალექტებით საზრდოობს და როცა ესენი მოკვდებიან, წყდება განვითარება დიდი ენისა, იწყება მისი კვდომა და საბოლოოდ კვდება ეს ენაც.**

მათ კარგად იციან შემდეგი ჭეშმარიტებაც: **კოლხეთი, როგორც ქვეყანა, მოიხსენიება ჯერ კიდევ ჰომეროსის „ილიადა და ოდისეაში" (XI ს. ძვ. წ.). კოლხური ენა არაერთგან მოიხსენიება აპოლონიოს როდოსელის (IV ს. ძვ. წ.) „არგონავტიკაში"; სახელი „მეგრელი" დოკუმენტურად მოცემულია ატენის 835 წლის წარწერაში („აღესრულა კურთხეული მამფალი სტეფანოზ, ღმრთისა მიერ ქართველთა და მეგრელთა ერისთავ-ერისთავთა უფალი"); მეგრული „ენად" მოხსენიებულია არჩილ მეფის „არჩილიანში"; მეფე-პოეტი ასევე მეფე-პოეტ თეიმურაზს შოთა რუსთაველთან გაბაასებაში ათქმევინებს: „მოგიხმია ყველა ენა, სომხურიც და მეგრულიცა"-ო, და ა. შ.**

მამანტი ძაძამია,
პროფესორი, აკადემიკოსი.



სერგეი კრემლიოვი

# ბერია XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი

თარგმანი როლანდ ჯალაღანიასი

## ასთორმეტი დღე...

სტალინი მოკვდა...

ახლა სახელმწიფოს მის გარეშე უნდა ეარსება.

მაგრამ, როგორ უნდა ეარსება?

ამ შეკითხვაზე ნაწილობრივ პასუხი გასცა სსრკ კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრკ მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 6 მარტის გაერთიანებულმა სხდომამ. თავისთავად, ასეთი გაერთიანებული სხდომის ჩატარება ექსტრაორდინალური მოვლენა გახლდათ და მისი ჩატარების მიზეზიც სწორედ ამგვარი იყო. გაერთიანებული სხდომა ჩატარდა სტალინის გარდაცვალების ოფიციალურად გამოცხადების მეორე დღესვე და სანქცია მისცა **"სსრკ კომპარტიისა და ხელისუფლების სათავეში რიგი ღონისძიებების გატარებას..."**

1953 წლის 15 მარტს კი გაიხსნა სსრკ უმაღლესი საბჭოს მე-4 სესია, რომელმაც მოიწონა 6 მარტს მიღებული დადგენილებები და კანონის ძალა მიანიჭა მას.

სსრკ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის პოსტზე ნიკოლოზ შვერნიკი კლიმენტი ვოროშილოვმა შეცვალა, შვერნიკი კი სსრკ პროფკავშირების ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარედ დაინიშნა.

სსრკ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გახდა გიორგი მალენკოვი, მის პირველ მოადგილეებად კი დაინიშნენ ბერია, მოლოტოვი, ბულგანინი და კაგანოვიჩი.

იმ პერიოდის მრავალი **"ისტორიკოსი"** ახლა გარკვეულ **"მზაკვრულ"** გათვლას ხედავს ლავრენტი ბერიას მოქმედებაში, როცა მან სსრკ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პოსტზე დაასახელა გიორგი მალენკოვის კანდიდატურა. ამ უკანასკნელმა კი, იგივე **"ისტორიკოსთა"** აზრით, დიდი მადლიერების ნიშნად, პირველი მოადგილის პოსტზე დაასახელა ლავრენტი ბერიას კანდიდატურა. სწორედ ამ სვლით გაინაღდაო ბერიამ ადგილი ამა ქვეყნის ძლიერთა შორის.

მაგრამ, აშკარად იგრძნობა, რომ ყოველი მინიშნება ამგვარ ეშმაკობებზე, ავტორების მიერ მხოლოდ თითიდანაა გამოწოვილი. ამის დასადასტურებლად მე დამჭირდა, რომ ერთი ღამე მემუშავა გაზეთ **"პრავდის"** არქივზე, რომელიც 1953 წლითაა დათარიღებული. და ამ გაზეთებიდან ნათელი ხდება, რომ უმაღლესი საბჭოს მე-4 სესია გახსნა მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა იასნოვმა, შემდეგ კი სიტყვით პირველი გამოვიდა ნიკიტა ხრუშჩოვი, რომელმაც წამოაყენა წინადადება რომ სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ დაენიშნათ ამხანაგი კლიმენტი ვოროშილოვი. და ეს გახლდათ წმინდა წყლის **"ტექნიკური"** გამოსვლა. შემდგომი გამომსვლელის, ლავრენტი ბერიას მოკლე მოხსენება და წინადადებაც – დაენიშნათ გიორგი მალენკოვი სსრკ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ, იგივე, **"ტექნიკური"** ხასიათისა იყო.

ვვარაუდობ, რომ უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესიამდე ერთი კვირით ადრე – 1953 წლის 6 მარტს – ბერიას მიერ წამოყენებული თვალსაზრისი მალენკოვის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ დანიშვნაზე, რომელიც მან ქვეყნის უმაღლეს ხელისუფალთა წრეში გამოთქვა, ნამდვილად **"ტექნიკური"** ხასიათისა იყო, ყოველგვარი ინტრიგებისა და დაფარული აზრების გარეშე.

მართლაც, ვის შეეძლო მაშინ სათავეში ჩადგომოდა სსრკ მინისტრთა საბჭოს, გარდა მალენკოვისა ან ბერიასი? და სხვა რომელი **"გამწევი ძალის"** შემოთავაზება შეეძლო მალენკოვს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის პოსტზე, თუ არა ლავრენტი ბერიასი, რომელიც სტალინის მმართველობის ჟამსაც უკონკურენტო **"გამწევ ძალად"** ითვლებოდა ხელისუფლებაში? სხვა საქმეა ის, რომ მალენკოვს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პოსტზე შემოეთავაზებინა ლავრენტი ბერიას კანდიდატურა, მაგრამ ეს მის პრეტენზიებს და აშკარად აღემატებოდა და ვერავითარ შემთხვევაში ვერ დათრგუნავდა შინაგან პრეტენზიებს. ინტრიგებს თავი რომ გავანებოთ, სტალინის სიკვდილის შემდგომ გიორგი მალენკოვშიც იმძლავრეს ამბიციებმა.

და არა მხოლოდ მასში...

რაც შეეხება ლავრენტი ბერიას, მას ამბიციები ნამდვილად არ ჰქონდა – მას ჰქონდა მხოლოდ იდეები და ინიციატივები. მაგრამ, ამის თაობაზე მოგვიანებით მოგახსენებთ, ახლა კი გავიმეორებ, რომ სტალინის მმართველობის ჟამს მისი ახლო გარემოცვა არ იყო დაჩვეული ინტრიგებით ძალაუფლების დაუფლებას, იმიტომ, რომ მაშინ ძალაუფლება არ იყო გაიგივებული მშვიდ ცხოვრებასა და მსუყე ლუკმასთან, ძალაუფლებისაგან მაშინ მხოლოდ მუჯლუგუნებს თუ მიიღებდი და ჩალურჯებული ადგილები თუ შეგრჩებოდა. სიცოცხლის უკანასკნელ წლებშიც კი, **"პოლიტოლოგების"** ცრუ მტკიცებულებების საპირისპიროდ შემიძლია ვთქვა, რომ სტალინი თავის თანამებრძოლებს ერთმანეთთან არასოდეს არ აძიძგილავებდა და ამგვარი საძრახისი მეთოდებით არ ცდილობდა, რომ საკუთარი უმაღლესი მდგომარეობა შეენარჩუნებინა. ეს არც იოსებ სტალინის ხასიათიდან და მართვის სტილიდან მომდინარეობდა და არც მაშინდელი ხელისუფლების სულისკვეთებაში გამოსჭვივოდა. გარდა ამისა, იმ პერიოდში იოსებ სტალინის უპირობო ლიდერობა იმდენად დამაჯერებელი და ურყევი იყო, რომ...

მოკლედ, გასაგებია, რომ...

მკითხველს კარგად უნდა ახსოვდეს მოსკოველი ისტორიკოსი, წიგნ **"სხვა სტალინის"** ავტორი იური ჟუკოვი. 2007 წელს მკითხველის სამსჯავროზე გამოვიდა მისი შემდგომი წიგნი, რომელიც ფაქტიურად ამ პირველი წიგნის ლოგიკური გაგრძელება გახლდათ. და, ისევე როგორც მისი პირველი წიგნი, მეორეც სტოვებს წარუშლელ შთაბეჭდილებას. მოიცავს რა პერიოდს 1939 წლიდან 1954 წლამდე, ჟუკოვი გვაწვდის უამრავ საინტერესო ცნობებსა და ახალ მოსაზრებებს, რომელიც **"საიმედოდ"** დახურულ არქივებში ხანგრძლივი ძიებით აქვს მოპოვებული. ამასთან, იგი მკაცრად ემხრობა საკუთარ ძველ თეზისს: ყოველივე მიუღებელი, ჩამპალი და საბჭოთა კავშირის დამშლელი სხვა სიბინძურე გახლავთ ასევე ძირგამომპალი ანგარებით შეპყრობილი პარტოკრატიის შემოქმედების პროდუქტი, რომელსაც ვერ გაუმკლავდა ვერ იოსებ სტალინი და... ვერც გიორგი მალენკოვი, სტალინის სიკვდილის შემდეგ.

ასე რომ, ამ თეზისთან ბრძოლის არც დიდ სურვილი გამაჩნია და ამის აუცილებლობასაც ვერ ვხედავ – ამაში, დიდი ხანია, მეც თავად დარწმუნებული ვარ. მაგრამ ჟუკოვი, შესაშური გულმოდგინებითა და თანმიმდევრობით ხსნის, რომ ეს ყველაფერი იყო მხოლოდ უმაღლეს ხელისუფლებაში წარმოქმნილი კლანების დაპირისპირება, რასაც მე ვერასგზით ვერ დავეთანხმები, თუ მხედველობაში მივიღებთ სტალინის უახლოეს გარემოცვას და, უპირველეს ყოვლისა, ლავრენტი ბერიას!

ამასთან, გაოცებას იწვევს უამრავი კერძო გარემოება... სამწუხაროდ, ჟუკოვის წიგნში აწყდები წყაროებთან მიდგომის პრინციპების განუწყვეტელ მონაცვლეობას. საზოგადოებრივ მეცნიერებათა დოქტორი ჟუკოვი ხან არქივის **"რკინისებრ"** მონაცემებს ეყრდნობა, ხან კი ხალხში მოარულ ხმებს. განსაკუთრებით უცნაურად გამოიყურება ჟუკოვის მიერ აღწერილი ომისწინა პერიოდის უკანასკნელი, და 1941 წლის ომის წინა დღეების სიტუაციური ანალიზი. ავტორმა, უმაღლესი ხელისუფლების სამობილიზაციო ყველა ამოსავალი იმპულსი – მათ შორის თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის შექმნაც, მიაწერა მოლოტოვს, რომელმაც თითქოს ამ საქმის დასაგვირგვინებლად დაიხმარა მალენკოვი და ბერია. ამასთან, ავტორის მტკიცებით, ბერია თითქოს 1941 წლის 30 ივნისს ხელმძღვანელობდა სსრკ უშიშროების სამინისტროს, მაშინ, როცა ამ პოსტზე უკვე დიდი ხანია მუშაობდა ვსევოლოდ მერკულოვი.

რაც შეეხება მოკავშირეებს, ჟუკოვის მტკიცებით იგი თითქოს დასჭირდა მოლოტოვს იმისათვის, რომ ხელისუფლებიდან ჩამოეშორებინა (ზუსტად ასე უწერია ავტორს), ან მნიშვნელოვნად შეეზღუდა თავის საქმიანობაში არა მხოლოდ ვოზნესენსკი და ჟდანოვი, არამედ თვით სტალინიც. ამასთან, მოლოტოვმა თითქოს იცოდა, თუ რაოდენ დიდ საფრთხეს შეუქმნიდა მას ამ მიმართულებით მარტოსულად მუშაობა, და სწორედ ამიტომაც მოუხმო მან, თითქოს, თავისთან მალენკოვსა და ბერიას.

მოლოტოვი, მალენკოვი და ბერია ჟუკოვს გამოყვანილი ჰყავს თავისებურ ტრიუმვირატად, რომელთაც თითქოს ომის წინა წლებში სტალინზე მოახდინეს ისეთივე გავლენა, როგორსაც კაზაკთა რაზმების (**"კოშების"**) **"სტარშინები"** ახდენდნენ ახლად არჩეულ ატამანზე: **"აიღე, შე ძაღლისშვილო ძალაუფლება ხელში, ვიდრე მას გაწვდიან!"** ჟუკოვი ამტკიცებს: თითქოს **"სწორედ იმან, რომ, იმ მძიმე ჟამს, იოსებ სტალინის გარემოცვაში აღმოჩნდნენ თავზეხელაღებული ადამიანები, აიძულა ბელადი, რომ ბოლოს და ბოლოს, გამოსულიყო პროსტრაციიდან"** (ხომ წარმოგიდგენიათ?! – ს.კ.).

ვფიქრობ, რომ შესაძლებლობისდაგვარად შევძელი გამეცნო მკითხველისათვის სტალინის სამუშაო გრაფიკი სამამულო ომის დასაწყისის პირველ დღეებში, და ის ქრონოლოგიაც, სადაც თვალნათელია ჟუკოვის მიერ მოწოდებული მცდარი მოსაზრებები. შეგახსენებთ, რომ ომის დაწყების პირველივე კვირას, სტალინის მხოლოდ სამუშაო დრო, რომელიც **"შერჩევით"** აქვს წარმოდგენილი გენერალ გორკოვს, საერთო ჯამში შეადგენდა 55 სამუშაო საათს, რა დროის განმავლობაშიც მან მიიღო ათეულობით ადამიანი... ესეც შენი პროსტრაცია! შეიძლება, ამ დროისათვის იოსებ სტალინი მართლაც ჩანდა გადაღლილი და დათრგუნული, მაგრამ ეს გამოწვეული იყო მხოლოდ მისი გადატვირთვით. მაგრამ ეს იყო გამოწვეული მხოლოდ ფიზიკური გადაღლით, რომ არაფერი ვთქვათ ფსიქოლოგიურ ტვირთზე.

მე იმიტომ გავჩერდი ასე დაწვრილებით ომის დაწყების პირველი დღეების ჟუკოვისეულ ვერსიაზე, რომ კიდევ ერთხელ მინდა აღვნიშნო შემდეგი: ავტორის ამგვარი უმართებულო ახსნა სტალინის სიკვდილისწინა პერიოდზე მიმართული იყო იქით, რომ ბელადის სიკვდილი და შემდეგ დატრიალებული უბედურებები მიეწერა სხვადასხვა **"დაჯგუფებათა ინტრიგებისათვის"**. მხოლოდ მრავალსვლიან კარიერისტულ ინტრიგებს და ხელისუფლებისადმი ბრმა და დაუძლეველ წყურვილს მიაწერს ჟუკოვი ბერიას მოქმედებებს და არა ლავრენტი პავლეს ძის პრინციპულ პოზიციებს.

მაგრამ, მხედველობაში მყავს რა არა მხოლოდ ჟუკოვი, უნდა აღვნიშნო, რომ სხვა ავტორებიც ხაზს უსვამენ, რომ ინტრიგებს სტალინის გარდაცვალების შემდეგ მართლაც ჰქონდა ადგილი, მაგრამ ისინი ზედმეტად ბოროტად ბერავენ ამ ინტრიგათა მასშტაბებს. რა თქმა უნდა, 1953 წლის 6 ოქტომბრის პლენუმზე გარკვეული როლი ითამაშეს პირადმა ანტიპატიებმა და სიმპატიებმაც. ნებით თუ უნებლიეთ, გადაიხლართა რა ერთმანეთში სუბიექტური და ობიექტური გარემოებები, სწორედ ამან განაპირობა საკავშირო ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებში **"საქმოსანთა"** რამდენიმე ჯგუფის ჩამოყალიბება.

ამგვარად, სავსებით ლოგიკური იყო, რომ საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა და უშიშროების სამინისტროები კვლავ გაერთიანდნენ და მათ სათავეში ლავრენტი ბერია მოექცა. მაგრამ, აი, ვიაჩესლავ მოლოტოვი კვლავ გახდა სსრკ საგარეო საქმეთა მინისტრი, რომელ თანამდებობაზეც იგი ვიშინსკიმ შეცვალა 1953 წლის მარტში. მაგრამ ის, რომ ვიშინსკი ჩამოქვეითებულ იქნა საგარეო საქმეთა მინისტრის პირველ მოადგილედ და მეორე ფეხით კი **"მოუსავლეთში"** გააგზავნეს (საბჭოთა კავშირის მუდმივ წარმომადგენლად გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში), ეს უკვე მხოლოდ პირადი ანტიპატიის შედეგი გახლდათ. სიტყვისათვის, მოლოტოვი, რომელიც საერთოდ არ იჩენდა არავითარ მიდრეკილებებს ინტრიგისადმი, შეიძლებოდა სწორედ ერთ-ერთი პირველთაგანი ჩაეთრიათ ინტრიგებში.

ბულგანინმა შეცვალა სსრკ სამხედრო მინისტრი მარშალი ვასილევსკი, რომელიც ასევე **"ჩამოალაბორანტეს"** მინისტრის პირველ მოადგილედ, მეორე მოადგილედ კი ურალის სამხედრო ოლქიდან ახლადდაბრუნებული მარშალი გიორგი ჟუკოვი დაინიშნა.

ვაჭრობისა და საგარეო ვაჭრობის სამინისტროები კვლავ გაერთიანდა და მას სათავეში ჩაუდგა იმ დროისათვის საქმეებს ფაქტიურად ჩამოცილებული ანასტას მიქოიანი. იოსებ სტალინის სიკვდილი მისთვისაც აღორძინების ფაქტორი აღმოჩნდა, მაგრამ, სამწუხაროდ, პოლიტიკანური აღორძინებისა.

ეკონომიკის ღრმად მცოდნე საბუროვი გაათავისუფლეს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობისაგან და დანიშნეს სსრკ განათლების მინისტრად, რომელსაც ამავე დროს შეუერთეს მანქანათმშენებლობის სუპერსამინისტროს შემადგენლობაში მყოფი რამდენიმე სამინისტრო, მისი ადგილი საგეგმო კომიტეტში კი დაიკავა გრიგორი კოსიაჩენკომ, რომელიც არც მანამდე და არც შემდეგ არაფრით ყოფილა გამორჩეული. ჩვენთვის კარგად ცნობილი სკკპ ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელი საგეგმო კომიტეტში ანდრეევი, 1950 წელს, ცეკას სახელზე შედგენილ ოფიციალურ მოხსენებით ბარათში კოსიაჩენკოს თაობაზე ასე წერდა: ***"ამხ. კოსიაჩენკო... პოლიტიკურ პლანში... არ გახლავთ საკმაოდ აქტიური, სახელმწიფო საგეგმო კომიტეტში არსებული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად სანადო მონდომებით არ იბრძვის, როგორც ორგანიზატორი, იგი სრულიად უვარგისია... არ გააჩნია ავტორიტეტი საგეგმო კომიტეტის თანამშრომლებსა და ხელმძღვანელებს შორის, მას მეტად მკაცრად აკრიტიკებენ ხოლმე თითქმის ყოველ პარტიულ კრებაზე"*** (დააკვირდით, დღევანდელი **"დემოკრატების"** მტკიცებით ყოველივე ეს ხდება სწორედ **"პირწავარდნილი ტოტალიტარიზმის"** ეპოქაში – ს.კ.).

რაც შეეხება ქვეყნის პარტიულ ხელმძღვანელობას, გაუქმდა ცეკას პრეზიდიუმის ბიურო, მაგრამ... გაუქმდა თვით პრეზიდიუმიც. როგორც უკვე ვთქვი, პრეზიდიუმი **"ჩამოხმა"** და შედგებოდა მხოლოდ შემდეგი წევრებისაგან: მალენკოვი, ბერია, მოლოტოვი, ვოროშილოვი, ხრუშჩოვი, ბულგანინი, კაგანოვიჩი, მიქოიანი, საბუროვი, პერვუხინი და კანდიდატებისაგან: შვერნიკი, პონომარენკო, მელნიკოვი, ბაგიროვი.

ცენტრალური კომიტეტის სამდივნოც შესამჩნევად **"ჩამოხმა"** და **"რუხი"** გახდა, რომელშიც შევიდნენ:

იგნატიევი (სახელმწიფო უშიშროების ყოფილი მინისტრი, **"მავრი"**, რომელმაც თავისი საქმე გააკეთა, უკვე 1953 წლის 28 აპრილს იქნა გამოყვანილი ცეკადან);

**"თეორეტიკოსი"** პოსპელოვი და შატალინი (ჩვენ მას კიდევ შევხვდებით).

რაც შეეხება ხრუშჩოვს, დადგენილებაში მის შესახებ აღნიშნული იყო:

**"მხედველობაში ვიღებთ რა იმ გარემოებას, რომ ამხ. ხრუშჩოვმა მთელი თავისი გულისყური გადაიტანა სკკპ ცენტრალურ კომიტეტზე, აუცილებლად მიგვაჩნია მისი განთავისუფლება სკკპ მოსკოვის ქალაქკომის პირველი მდივნის მოვალეობისაგან".**

ამრიგად, ხრუშჩოვი ხდებოდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი, ჯერჯერობით **"უბრალო"** მდივანი, მერე კი, ვნახოთ, რა მოხდება...

მოკლედ, ამგვარად იქნა გადანაწილებული თანამდებობები, მაგრამ როგორი იყო **"ძალთა ბალანსი"**?

***(გაგრძელება შემდეგ ნომერში)***

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ეროვნული

# კოლხეთი სამი ათასი წლის წინათ, აიეტის მეფობის ჟამს

## კოლხები შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე

რამდენიმე მილიონი წლის უკან კავკასიის ტერიტორია წყლით ყოფილა დაფარული. დღევანდელი შავი, კასპიის და არალის ზღვები ერთი მთლიანი ზღვა ყოფილა. მათ შორის ხმელეთი არ სჩანდა, ფიქრობენ მეცნიერები, რომ ეს ზღვა ჩრდილოეთით თეთრი და ბალტიის ზღვებთან იყო შეერთებული. დიდ სტიქიურ უბედურებას, რომელიც პლანეტა დედამიწას განუცდია, როგორც ეტობა, ამ დიდი ზღვის დონე მაღლა აუწევია. ამ მიზეზების გამო წყალს გადაულახავს მიწის ზედაპირი სამხრეთისაკენ, გაუთხრია ბოსფორის, დარდანელის და გიბრალტარის სრუტეები და ატლანტის ოკეანეში დიდი სისწრაფით დაუწყია დენა. როცა ზღვის დონე თანდათან დაბლა დაწეულა, გამოჩენილა ერთმანეთს დაცილებული სამი ზღვა, რომლისთვისაც არალის, კასპიის და პონტოს (შავი) ზღვა უწოდებიათ. ამ ზღვებს შორის მოქცეული ხმელეთისათვის კი კავკასია შეურქმევიათ. არ არის დადგენილი საიდან წარმოიშვა ეს სახელი. ვარაუდობენ, რომ სიტვა **"კავკასია"** (დიდი საბჭოთა ენციკლოპედია, ტომი II, გვ. 11) უნდა იყოს შავი ზღვის სამხრეთით მოსახლე ხეთებთან დაკავშირებული, რომლებმაც კავკასიას **"კაზ-კზი"** უწოდეს.

კავკასიას უჭირავს ტერიტორია შავი, აზოვის და კასპიის ზღვებს შორის. სამხრეთით კი ირანისა და თურქეთის საზღვრებამდეა გადაჭიმული. მისი ფართობი 440 ათას კვადრატულ კილომეტრს შეადგენს.

კავკასია დიდი კავკასიონის ქედით ორ ნაწილადაა გაყოფილი, ჩრდილო კავკასია და კავკასიის იქითა მხარე, ანუ ამიერკავკასია. მათ შორის საზღვარი წყალგამყოფი ზოლია. მცირე კავკასიონის ქედი ამიერკავკასიაში შემავალ საქართველოს განივად ჰკვეთს და ქმნის აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს.

დასავლეთ საქართველო მდიდარია მდინარეებით, რომლებიც კავკასიონის ქედის მთებიდან გამოედინებიან და ერთვიან შავ ზღვას. შავი ზღვის ფართი შეადგენს 425.540 კვადრატულ კილომეტრს. სიგანე დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ 1.150 კილომეტრია, ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ – 580 კილომეტრი. სამხრეთ-აღმოსავლეთით მის დიდ ფართობს ზაფხულობით მზე უხვად აფენს თავის მაცოცხლებელ სხივებს, რის გამოც მასში გროვდება მზის სითბოს უზარმაზარი მარაგი.

როგორც კი დაიწყება გარემოსა და ზღვის მასას შორის ტემპერატურის სხვაობა, აკუმულირებული სითბოს მარაგს ზღვა უკან, ატმოსფეროში აბრუნებს და ამ მიზეზის გამო შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაპირზე ჰაერი ზამთარ-ზაფხულ ზომიერია და საუკეთესო პირობებს ქმნის ადამიანის ნორმალური ყოფა-ცხოვრებისათვის. მიუხედავად ასეთი კარგი პირობებისა, შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაპირი კოლხების, მეგრელთა და ჭანთა გამოჩენამდე უკაცრიელი, დაუსახლებელი, გაუვალი ტყითა და ჭაობით დაფარული ადგილი ყოფილა. ამის დამადასტურებელია ის, რომ პელასგი კოლხები, მეგრელები და ჭანები ბერძნების მიერ დარბეულნი და დევნილნი ეგეოსის ზღვის კუნძულებიდან აყრილან და მუდმივად საცხოვრებლად ამ დაუსახლებელ ადგილას დაუდვიათ ბინა. აქ რომ მათ დასახლებული ტომი დახვედროდათ, ისინი უომრად ტერიტორიას არ დათმობდნენ. კოლხებს კი იმ დროისათვის ომისა და ბრძოლის თავი და საშუალება არ ექნებოდათ და მათ მიეცათ საშუალება დაეკავებინათ ეს თავისუფალი ტერიტორია ტრაპიზონიდან ბიჭვინთამდე.

ეგეოსის ზღვის კუნძულებიდან დარბეულმა და ლტოლვილმა კოლხებმა, მეგრელებმა და ჭანებმა დაიკავეს რა შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ ტერიტორია, შეუდგნენ საარსებო საშუალების, საცხოვრებელი ბინებისა და კვების პროდუქტების მოპოვებისა და შეგროვების საქმეს. ამისთვის კი სანაპიროზე არსებული ტყის მასივი და უხვმოსავლიანი მიწები საკმარისი იქნებოდა, რისი საშუალებითაც შესაძლებლობა ექნებოდათ საკვები მარაგის დამზადებისა. ადამიანი მუდამ ეძებს და გამოსავალს ყოველთვის პოულობს. ამ შემთხვევაში მოუფიქრებიათ საცხოვრებელი ბინის უმოკლეს ვადაში აშენების უმარტივესი ფორმა, ასეთ ბინას მეგრელებმა ფაცხა უწოდეს. ასეთმა ფაცხებმა მეგრელებს თითქმის ოთხი ათას წელიწადს გაუწიეს სამსახური და გამოიყენებოდა მე-20 საუკუნის ოციან წლებამდე.

ფაცხებს აკეთებდნენ მაგარი ჯიშის ხის ნახეთქი სარებისაგან, რომლის წამახვილებულ ბოლოს დაახლოებით 300 მილიმეტრის სიღრმეზე ჩაასობდნენ მიწაში, ისე, რომ დიდი სისწრაფის და სიძლიერის ქარის ძალას არ წაექცია და საკმაო სიმტკიცე ჰქონოდა, სარებს შორის მანძილი 350 მილიმეტრი იყო. ფაცხას აკეთებდნენ როგორც წრიულს, ისე ოთხკუთხედს. ხის წვრილი მოქნილი ტოტებისაგან სარებზე აკეთებდნენ მჭიდროდ დაქსელილ ღობეს ორი მეტრის სიმაღლემდე. ზემოდან ღობეს გაამაგრებდნენ. სიმაგრისათვის სხვადასხვა ხერხებს მიმართავდნენ, რომელსაც სარტყელს უწოდებდნენ. სარტყლით საიმედოდ შეკრულ ზედა ნაწილზე სახურავისთვის ჩონჩხს ააგებდნენ და გადახურავდნენ ერთგვარი ჯიშის ბალახისაგან, რომელსაც სამეგრელოში ისლს უწოდებდნენ. სახურავის კენწეროზე სავენტილაციოდ და შუქის შესაღწევად ორ ადგილას საკმაოდ დიდ ღრიჭოს დაუტოვებდნენ. ღრიჭოს ისე ოსტატურად აკეთებდნენ, რომ შიგ წვიმას ვერ შეეღწია, შემდეგ წნელისაგან დაღობილ კარებს ჩამოკიდებდნენ. შიგნით და გარეთ თიხის ხსნარით შელესავდნენ, იატაკს თიხნარი მიწისგან მოაგებდნენ, გაამზადებდნენ ცეცხლის დასანთებ ადგილს და ფაცხა მზად იყო საცხოვრებლად. საწოლებსაც ხის დაღობილი ჩელტებისაგან აკეთებდნენ, რომელსაც ხის საყრდენ ფეხებზე დაამაგრებდნენ, ზედ თივის ბულულებს დააფენდნენ და გემრიელად იძინებდნენ. ზამთრობით ფაცხა მშრალი და თბილი იყო, ზაფხულობით კი გრილი. ფაცხის ფართი 30 კვადრატულ მეტრს არ აღემატებოდა. აგებდნენ აგრეთვე მრგვალი ხის სახლებს, რომელსაც ჯარგვალებს უწოდებდნენ. სინესტისაგან თავის დასაღწევად ჯარგვალებს ხის ბოძებზე შეაყენებდნენ.

ამრიგად, შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ ტერიტორიაზე, ტრაპიზონიდან ვიდრე ბიჭვინთამდე, გაჩნდნენ მეგრელებისა და ჭანების დასახლებული პუნქტები. ახლად დასახლებულ კოლხებს, მსგავსად მათი თავდაპირველი საცხოვრისისა, დასახლებული პუნქტების ურთიერთ შესაკავშირებლად და ერთიანი ძალების შესაქმნელად, მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად და თავდასაცავად აუგიათ ქალაქ-სახელმწიფო შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე მდინარე რიონის გასწვრივ, ისეთი, როგორიც ჰქონდათ ეგეოსის ზღვის კუნძულ ევბეაზე და გაუმეფებიათ ევბეადან გადმოსახლებული აიეტი.

სად უნდა იყოს ის ადგილი გეოგრაფიულად, სადაც კოლხებმა შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ ტერიტორიაზე პირველი ქალაქ-სახელმწიფო ააშენეს? ძველი ბერძენი მწერლის არიანეს ცნობის მიხედვით, რომელიც მიუთითებს, რომ **"ამ მხარეს ჩამოუდის მდინარე სახელად რიონი, რომლის ნაპირას კოლხებს ძველად აუგიათ ციხე, რომელიც შემდეგ ხანებში მათვე მეტწილად მიწასთან გაუსწორებიათ, რადგანაც ის დაბლობ ვაკეზე მდებარეობდა"** (ა. ურუშაძე, **"ძველი კოლხეთი არგონავტთა თქმულებაში"**. გვერდი 474).

სქილაქსის **"პერაპლუსის"** გადმოცემაში აღნიშნულია **"ფაზისის აღმა აყოლებით 180 სტადიონია დიდ ბარბაროსულ ქალაქამდე, საიდანაც იყო მედეა"** (ა. გელოვანი. თარგმანი **"არგონავტიკა"**. გვ. 230). თუ ამ ცნობებს ერთმანეთს შევადარებთ და შავი ზღვიდან რიონის აღმა აყოლებით გადავზომავთ 180 სტადიონს, ან მის ექვივალენტურ 36 კილომეტრს, მოვხვდებით სწორედ იმ დაბლობ და ვაკე ადგილზე, სადაც მდინარე ტეხური შეერთვის რიონს. ისე, როგორც არიანეს აქვს მითითებული, ეს ადგილი არის ვაკე მეტად დაბლობი და ჭაობიანი. აი, იმ ადგილზე უნდა ყოფილიყო ის დიდი ბარბაროსული ქალაქი, საიდანაც იყო მედეა. ამჟამად ამ ადგილზე მდებარეობს სამეგრელოში ერთ-ერთი უძველესი სოფელი, რომელსაც ისულა (ი-სუ-ლა) ეწოდება.

არის თუ არა ნამდვილად დღესდღეობით ხმარებული ეს სახელი მისი პირველყოფილი სახელი? როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ისულა გეოგრაფიულად ის ადგილია, რომელზედაც კოლხებს პირველი პოლისი აუგიათ რიონის პირად, მსგავსი, მათ მიერ კუნძულ ევბეაზე დატოვებული და მისთვის ბერძნების მიერ აგრესირებული პოლისის სახელი **"ია"** უწოდებიათ. მაგრამ იმის გამო, რომ ის მდებარეობდა ორი დიდი მდინარის ფაზისისა და ტეხურის ნაპირებზე **"სუ"** (წყალი) დაუმატებიათ და, როგორც ჩანს, მისი საბოლოო სახელი **"იასუ"** დაუმკვიდრებიათ, მაგრამ იმისათვის, რომ სიტყვას სმენისათვის კარგი ჟღერადობა ჰქონოდა, დროთა ვითარებაში ავტომატურად გადაკეთებულა და **"იასუ"**-მ საბოლოოდ ჩვენამდე ისულას სახელით მოაღწია, მსგავსად ამისა **"სუ"**-სთან დაკავშირებული სახელები იცვლებოდა და დღეისათვის მრავალი მათგანი შეცვლილია, მაგალითად ვახტანგ გორგასლის დროინდელი **თბილისუ** გამოითქმის ამჟამად **თბილისი**, **სუხუმი** გადაკეთდა **სოხუმად, სუნაკი – სენაკად** და ა.შ. ყველა ეს სახელი **"სუ"**-სთანაა დაკავშირებული და მასთან მიმდებარე ტერიტორიის შინაარსობრივი მიზნის ამსახველია. **"სუ"** არაბული წარმოშობის სიტყვაა, რაც წყალს ნიშნავს და, როგორც ირკვევა, ძველ ქართულში და მეგრულ დიალექტში მიღებული ყოფილა წყლის შესატყვისად. ესე იგი, იქ, სადაც წყალი უნდა გამოეთქვათ, გამოთქვამდნენ **"სუ"**-ს.

**ამბროსი კილასონია**

*(გაგრძელება იქნება)*

# გაზზე მჯდარნი და სასიკვდილოდ განწირულნი მოგესალმებიან, კეისარო!

***(ახალი საფრთხე თბილისისთვის - გაზგაყვანილობის მილები იხვრიტება და ცეცხლში იწვის)***

თბილისის მოსახლეობას წურბელასავით კისერზე მიმჯდარმა **"ყაზტრანსგაზმა"**, ბუნებრივი აირის დატაცების პრაქტიკა რომ დაემარცხებინა, გაზის მრიცხველების გატანა კორპუსების სადარბაზოებში დაიწყო. სადაც არ უნდა შეხვიდეთ, ყველა სადარბაზოს კედლებზე დრეკადი მილები ყოველგვარი დამცავი საფარის გარეშეა დამაგრებული. ამათ ოღონდ მერიის მიერ უსაშველოდ გაბერილი ხარჯი ამოიღონ ხალხისაგან და ადამიანები თუნდაც ერთიანად წაუღია წყალსა და მეწყერს!

იმის შიშით, რომ ვინმემ აირი არ მოიპაროსო, გაზის მრიცხველები სადარბაზოებში პლასტმასის მილებით გამოიტანეს. პლასტიკური მასისაგან ჩამოსხმული ყვითელი მილები კი ადვილად იწვის, იხვრიტება და მისი თუნდაც სამზარეულოს დანით გადაჭრაც არა არის ძნელი. გარდა ამისა, გაზის მილები სადარბაზოს კიბეებთან ძალიან ახლოს გადის. ცნობისმოყვარე ბავშვს არავითარი ნიშანი არ აუწყებს, რომ გაყვანილობა სახიფათოა. ხოლო ხანძრის შემთხვევაში, მოსალოდნელ დიდ უბედურებაზე, არაფერს ვამბობთ.

ყოველგვარი სავალალო შედეგის იგნორირებით გაყვანილი გაზის დაუცველი მილები ტერორიზმის წაქეზების საფრთხესაც შეიცავს. ის შეიძლება მავანმა ცხელ გულზე ანგარიშსწორებისთვისაც გამოიყენოს.

რამდენად გამართლებულია სადარბაზოებში პლასტმასის მილებით ბუნებრივი აირის შეყვანა და დაზღვეულია თუ არა თბილისის მოსახლეობა გაუთვალისწინებელი შედეგებისგან? ჟურნალისტები **"ყაზტრანსგაზის"** პრესსამსახურის ხელმძღვანელს, ეკა სარიას დაუკავშირდნენ.

**"სისულელეა ამ საშიშროებებზე საუბარი. ეს სამფენიანი საიზოლაციო მილებია და მათგან გაზის გაჟონვა წარმოუდგენელია. ეს მილები ყველანაირი სტანდარტით გამართლებულია. მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში სადარბაზოებში მრიცხველები რკინის მილებით არ გააქვთ. უსაფრთხო რომ არ იყოს, გიჟი არავინ არაა, რომ ასეთი რამ გარისკოს. რაც შეეხება იმას, რომ თურმე იხვრიტება, ბურღით თუ მიადგა ვინმე, რა თქმა უნდა გახვრეტს, მაგრამ ეს უკვე დანაშაული იქნება",** – განაცხადა ეკა სარიამ.

**"ყაზტრანსგაზის"** პრესსამსახურის ხელმძღვანელმა ხაზგასმით მიანიშნა, რომ ნებისმიერი კრიმინალი სხვა სამსახურების საქმეა. სწორედ ამას ჰქვია: **"ხელი დაიბანა პილატესავითო"**!

შეიძლება ეკა სარიას კომენტარმა მავანი დაამშვიდოს, მაგრამ ამ ფოტოსადმი გულგრილად დარჩენაც ძნელია. მით უფრო, რომ თბილისს უკვე დიდი ხანია ადარებენ **„გაზის კამერას"**, სადაც კვირა არ გავა, არასწორად დამონტაჟებული გაზის გამათბობლისგან რამდენიმე ადამიანი ან მთლიანად ოჯახი არ დაიღუპოს. ასე რომ, ბუნებრივ აირთან დაკავშირებულ საფრთხეებს კიდევ ერთი მიემატა.

გაიხსენეთ კოლიზეუმის არენაზე გამოსულ გლადიატორთა მისალმება კეისრისადმი: **"სასიკვდილოდ მიმავალნი, მოგესალმებიან შენ, კეისარო!"**

დაახლოებით ასე უნდა ჟღერდეს თბილისელთა ძილისპირული ლოცვა, მიმართული ქალაქის მერიისა და **"ყანსტრანსგაზის"** მესვეურებისადმი: **"სასიკვდილო საფრთხეში მყოფნი, დაძინების წინ, გემშვიდობებით თქვენ, ქალაქის კეისრებო!"**

საკ. კორესპ.

**P.S.** *ძვირფასო მკითხველებო! უკვე მივეჩვიეთ იმას, რომ 1991 წლის 6 იანვრიდან საქართველოს ყველა უბედურება თბილისიდან მოედინება. ამრიგად, მზად იყავით საიმისოდ, რომ მალე საქართველოს იმ ქალაქების მცხოვრებლები, სადაც "ყანტრანსგაზი" შეძვრება, თბილისელებივით "გაზის" ბომბებზე იქნებიან შემომსხდარნი.*

*მშვიდობას გისურვებთ!*



# ჯონ ბასი: ჩვენ რომელიმე კონკრეტულ კანდიდატს ან პარტიას არ ვემხრობით

აშშ-ის ელჩმა საქართველოში ჯონ ბასმა ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ვიდეომიმართვა გაავრცელა, რომელშიც ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით საქართველოს მიერ გარკვეული პროგრესის მიღწევაზე საუბრობს, თუმცა აქვე აღნიშნავს, რომ კანონის წინაშე თანასწორობის გაძლიერება, პრესის თავისუფლება და სხვა სფეროები კვლავ საჭიროებს პროგრესს.

**„წელს საქართველოს რამდენიმე მნიშვნელოვანი მიღწევა ჰქონდა ადამიანის უფლებების სფეროში პროგრესის კუთხით – ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შემოღება, ქალებზე ეროვნული სამოქმედო გეგმის შემუშავება და იმ კანონმდებლობის მიღება, რომელიც მოსახლეობის უმცირესობის რელიგიური აღმსარებლობების სამართლებრივ სტატუსს გააუმჯობესებს. ზოგიერთი ეს ნაბიჯი უფრო ადვილი ან ნაკლებად სადავო იყო, ვიდრე სხვები, თუმცა ყველა მათგანი მნიშვნელოვანი და საჭირო გახლდათ.**

**არის სხვა სფეროები, რომლებშიც მეტი პროგრესი მნიშვნელოვანი იქნება საქართველოში უნივერსალური უფლებების დასაცავად, მათ შორის კანონის წინაშე თანასწორობის გაძლიერება, ძირითადი შრომითი უფლებები, შეკრებისა და პრესის თავისუფლება და ოჯახური ძალადობის შემცირება",** – აცხადებს ბასი.

მისივე თქმით, საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებისას საქართველოს მოქალაქეებს მნიშვნელოვანი შესაძლებლობა ექნებათ, უფრო დემოკრატიული და პლურალისტური ქვეყნის მშენებლობაში ჩაერთონ.

**„ჩვენ რომელიმე კონკრეტულ კანდიდატს ან პარტიას არ ვემხრობით მომავალ საპარლამენტო ან საპრეზიდენტო არჩევნებზე საქართველოში. ჩვენ მხარს ვუჭერთ და განვაგრძობთ მუშაობას ამ ქვეყნის ხალხთან ამ თავისუფლებების მისაღწევად",** – აღნიშნა ელჩმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჯერ გაარკვიეთ ვინ ხართ და მერე უხელმძღვანელეთ მსოფლიოს!

**მის აღმატებულებას, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს, ბატონ პან გი მუნს.**

**თქვენო აღმატებულებავ, ბატონო გენერალურო მდივანო!**

როგორც პლანეტის ერთ-ერთ მოქალაქეს, თქვენი წევრი ქვეყნის ერთ-ერთ მოქალაქეს, მაქვს პატივი, მოგმართოთ თქვენ, პლანეტის ლიდერი ორგანიზაციის ლიდერს და მოგახსენოთ ჩემი მოსაზრებები პლანეტარულ პრობლემებზე, ცხადია, უმოკლესად, თქვენი დროის დასაზოგავად, რომლის ყოველი წამი, წუთი, წესით, მთელ პლანეტას უნდა ეკუთვნოდეს.

უპირველეს ყოვლისა, საჭიროდ მიმაჩნია, რომ თქვენი ორგანიზაცია, სრულად თუ არა, ნაწილობრივ მაინც მოვიდეს შესაბამისობაში თავის სახელწოდებასთან, ან სრულად შეიცვალოს მისი წესდება. გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, ჯერ ერთი, არასოდეს ყოფილა და **არც ახლა არის ერების ორგანიზაცია**, ის ყოველთვის იყო და არის სახელმწიფოების ორგანიზაცია, გაცილებით სჯობდა კი, რომ ერების ორგანიზაცია ყოფილიყო, მეტიც – ხალხების, ეთნოსების, ეს ბევრად უფრო დემოკრატიული იქნებოდა. ასე რომ, სრულიად გაუგებარია, რატომ გქვიათ ერების ორგანიზაცია, როცა ასეთი არა ხართ, ერებისა არა ხართ!

მეორეც, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია მთელი თავისი არსებობის განმავლობაში არასოდეს და არაფერში არ ყოფილა და არც ახლა არის, თუნდაც ეპიზოდურად, გაერთიანებული რაღაც ერთი მიზნის გარშემო, რაღაც ერთი მიზნით! ამის ფონზე, ისევ და ისევ, გაუგებარია თქვენი სახელწოდება! თქვენ მსოფლიო კი არა, თქვენი ორგანიზაცია ვერ გააერთიანეთ. ამიტომ, მიზანშეწონილი იქნებოდა გრქმეოდათ ის სახელი, რასაც წარმოადგენთ: **"გაერთიანებული სახელმწიფოების პანამერიკული ორგანიზაცია"**. ეს უფრო უპრიანია, რადგან მასში ასახულია **აშშ**-ს გავლენა და როლიც თქვენს ორგანიზაციაზე. იქნებ ერთხელ მაინც ჩაგეხედათ საკუთარ წესდებაში, სადაც წერია, რომ თქვენ მშვიდობის დამამყარებელი, დამამკვიდრებელი, დამცველი ორგანიზაცია ხართ, რეალობაში კი ყოველთვის საპირისპირო იყავით, სინამდვილე, ისტორია სულ სხვა რამეს ღაღადებს. თქვენ ომის ინსტრუმენტად გადაიქეცით ლამის დაარსების დღიდან! თუნდაც ის ფაქტი რად ღირს, რომ 1950 წელს თქვენი მშობლიური კორეის ომი გაეროს მანდატით გაჩაღდა, რომელსაც, ცხადია, **აშშ** აწარმოებდა. ასეა დღესაც – **აშშ**-ს ნება-სურვილს გამაიურიდებელ-გამაფორმებელი, დამკანონებელი და მეტიც, აღმასრულებელი ორგანიზაცია ხართ, მისი ხელშემწყობი ორგანო და არა ორგანიზაცია. თქვენ კონფლიქტების მოგვარებაზე უფრო მისი კონსერვაცია და ამ სახით მუდმივად შენარჩუნება გაძლევთ ხელს. გასაგებია, რომ, თუ ყველა კონფლიქტი მოგვარდება, მაშინ თქვენი ორგანიზაციის ყოფნა-არყოფნის საკითხი დადგება დღის წესრიგში. საკუთარი სამსახურის გაუქმებით კი, ბუნებრივია, არავინ იქნება დაინტერესებული, თანაც ისეთი საპატიო-საპენსიო სამსახურისა, როგორიც დღეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაა. არავითარი ინიციატივა, არავითარი პასუხისმგებლობა კოლოსალური ფინანსური ანაზღაურებით, წარმოუდგენლად მაღალი ხელფასებით, ასევე კორუფციის მაღალი დონით, რომელშიც თქვენივე აღიარებით ყელამდე ხართ ჩაფლული...

მაინც რას ვიღებთ თქვენგან სახელმწიფოებისაგან მიღებული უზარმაზარი საწევრო თანხების მიღების სანაცვლოდ? შეშფოთებას, აღშფოთებას, რეკომენდაციების მიცემას აგრესიული ზესახელმწიფოებისადმი, რაც ხშირად კედელზე ცერცვის შეყრის ტოლფასია. თქვენი გადაწყვეტილებებიდან არავითარი სიბრძნე არ გამოსჭვივის, არც ხალხური, არც კლასიკური...

ბუნებრივია, ისმის საკითხი – რა შედეგს ვიღებთ თქვენი არსებობიდან?

პასუხია: არავითარი შედეგი, ყოველივეს გაუარესება!

სწორედ თქვენი უმოქმედობა კიდევ ამწვავებს სიტუაციას მსოფლიოში, ახდენთ დაძაბულობის ესკალაციას, ახალისებთ და ეხმარებით აგრესორს, ცეცხლზე ნავთს ასხამთ!

ამრიგად, სწორედ თქვენ ბრძანდებით კონფლიქტების ესკალატორი!

ასე რომ, თქვენს არსებობას კაცობრიობისთვის ჯერ არავითარი სიკეთე არ მოუტანია და საზიანოც კი ხართ. უბრალო ადამიანები გაეროს უკვე დიდი ხანია პანაშვიდის მუსიკას ეძახიან, რომელსაც არ შეუძლია მიცვალებულის აღდგინება. მაშ, რაში იხარჯება კოლოსალური თანხები, რომელიც ჩვენი ჯიბიდან ამოაქვს ჩვენს ხელისუფლებებს?

თურმე იმიტომ გიხდით ამხელა თანხებს, რომ ჩვენვე დაგვზარალდეთ!

თქვენ კი ხელს უწყობთ მხოლოდ მხოლოდ კონფლიქტების წარმოქმნას და შემდეგ ოლიმპიური სიმშვიდით აკვირდებით, თუ როგორ იღუპებიან სახელმწიფოები, ადამიანები...

განა თქვენს მიერ გახარჯული ქაღალდი უფრო არ გიღირთ ბევრად ძვირად, რაზედაც ჩემი ბედკრული სამშობლოს **"მხარდასაჭერი"** რეზოლუციებისათვის გახარჯეთ, ვიდრე ჩემს სამშობლოში **"გლობალისტური"** მასონური ძალების მიერ მოწყობილი გენოციდი, რამაც ათიათასობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, ნახევარი მილიონი ადამიანი კი დევნილად აქცია თავისივე სამშობლოში? სწორედ ჩემი დაკარგული აფხაზეთი და სამაჩაბლო მალაპარაკებს ასე მწარედ! ამიტომ, და კიდევ ბევრ სხვა რეგიონში, თუნდაც კოსოვოში შფოთისა და არეულობის შემდეგ, რაც ამერიკის მიერ მართლმადიდებლობისათვის გამოცხადებული, თქვენს მიერ მხარდაჭერილი ომის ლოგიკური შედეგი გახლდათ. სწორედ კოსოვოს დამოუკიდებლობის გამოცხადების პირველივე თვეებში დაინგრა იქ სამასზე მეტი მართლმადიდებლური ეკლესია და დაიღუპნენ მართლმადიდებლები!

სწორედ ამიტომ უნდა აღიაროთ თქვენ უნიათობა და თავი გაანებოთ თვალებში ნაცრის შეყრას!

შეეშვით ამერიკული ოცნების განხორციელებას, რადგან ამას გარდა თვით ამერიკისა, არავისათვის მოუტანია სიკეთე. მსოფლიოს გადაარჩენს არა თქვენნაირი გაერთიანებული **"ერების"** ორგანიზაცია, არამედ გაერთიანებული გონების, გაერთიანებული გულების ორგანიზაცია. ამისათვის კი საჭიროა ბიბლიური, პლანეტარული, ღვთიურ-ადამიანური აზროვნება და არა მასონური წიაღსვლები! სწორედ ბიბლია უნდა იქცეს კაცობრიობის კონსტიტუციად და არა მეტამატერიალიზმი, მეტამერკანტილიზმი, პანათეიზმი.

მხოლოდ ეს გახლავთ კაცობრიობის გადარჩენის ერთადერთი გზა!

**მერაბ ხუბუა,**
**პოეტი, ფილოსოფოსი,**
**სენაკის რაიონი, სოფელი**
**უშაფათი.**

# ბატონი რეზო ჩხეიძე 85 წლის გამხდარა



ლეგენდარულ ქართველ კინორეჟისორს, მსოფლიო კინოს დიდოსტატს – ბატონ რეზო ჩხეიძეს დაბადებიდან 85 წელი შეუსრულდა.

ბატონო რეზო, გულითადად გილოცავთ დაბადების დღეს!

კარგად მახსოვს, ოცდათხუთმეტი წლის წინ, პუბლიცისტურ ნარკვევს რომ ვწერდი თქვენს შემოქმედებაზე. გასაკვირი არ გახლდათ ჩემი, როგორც ავტორის კრთომა, სრულიად ახალგაზრდა, საზოგადოებისათვის უცნობი დამწყები პუბლიცისტი სერიოზულ მონოგრაფიას რომ ვქმნიდი მსოფლიოში სახელგანთქმულ კინოშემოქმედზე. თქვენ მამშვიდებდით მაშინ და ყოველნაირად მეხმარებოდით, რომ ღირსეულად წარმსდგარვიყავი თქვენი ფილმების მნახველი და ჩემი ნაწარმოების მკითხველი საზოგადოების წინაშე.

ახლა ვაცნობიერებ, რომ ჩემი მაშინდელი შემოქმედებითი გამარჯვება თქვენი დიდი შემოქმედებითი გამარჯვებით იყო განპირობებული!

მართლაც როგორი ახალგაზრდები ვიყავით მაშინ, ენერგიულები, თვითდაჯერებულები, მომავლის იმედითა და ახალი გეგმებით გაჟღენთილები!

მაშინ ვინ წარმოიდგენდა, რომ ასეთი უიღბლო და უსასო სიბერე გვექნებოდა და თქვენს **"ჯარისკაცის მამას"** ჰიტლერზე უფრო დიდი მტერი გამოუჩნდებოდა საქართველოში, რომლებიც დაუნანებლად, ვანდალურად აფეთქებენ მახარაშვილის თანამებრძოლთა ძეგლებს, ფეხქვეშ თელავენ დიდი სამამულო ომის ვეტერანთა ღირსებას, უაზროდ მოიხსენიებენ მათ მიერ (მათ შორის – მამაჩემის) დაღვრილ სისხლს და ლამის სამშობლოს მოღალატეებად შერაცხონ ისინი.

და ამას აკეთებენ იმ მართლაც მხდალთა მოღალატეთა შთამომავლები, რომლებიც ჩვენი გულადი წინაპრებისაგან განსხვავებით, ცოლების კალთებს ამოფარებულები საწოლქვეშ იმალებოდნენ, მუხლებს იხვრეტდნენ, რათა დაკოჭლებულიყვნენ, ან საპონს სჭამდნენ, რათა დიზენტერიით დაავადებულიყვნენ, რომ, ამ გზით დახეიბრებულები, ფრონტის მოწინავე ხაზზე არ მოხვედრილიყვნენ!

ასეთ შემთხვევაში, ჩვენი წინაპრებიც მეცოდებიან, ბატონო რეზო, და თქვენც მეცოდებით, რომელმაც ამდენი ნიჭი და ენერგია შეალიეთ დიდ სამამულო ომში გმირულად დაღუპულ, ხატად ქცეულ წინაპართა სახეების შარავანდედით შემოსვის საქმეს!

სწორედ ეს გახლავთ თქვენი გმირობა, მართლაც განუმეორებელი, რომელიც ამ უჯიშოებს არ კი დაესიზმრებათ!

თქვენ, პიროვნებას, რომელსაც მამა 37-ში დაუხვრიტეს და მძიმე ბავშვობა არგუნეს, სრული უფლება გქონდათ, რომ დამდურებოდით საბჭოთა სისტემას. მაგრამ საბჭოთა კავშირი თქვენი სამშობლო იყო, კეთილსინდისიერი ადამიანები კი თუნდაც მათდამი გამოჩენილი უმადურობისათვის, არასოდეს დაემდურებიან სამშობლოს. პირიქით, ისინი თავაუღებელი შრომით ცდილობენ დაუმტკიცონ სამშობლოს თავიანთი ერთგულება და სიყვარული. თქვენ, ბატონო რეზო, თქვენი უანგარო შრომითა და განუმეორებელი ქმნილებებით დაუმტკიცეთ მთელ მსოფლიოს, რომ თქვენი მშობლების ღირსეული შვილი ხართ, რომ საქართველომ უნდა იამაყოს თქვენით, რომ საზოგადოება მუდამ მადლიერი უნდა იყოს თქვენი შემოქმედებისა, რომელიც ადამიანური მორალის კულმინაციას წარმოადგენს და ბიბლიის სიმაღლემდე აჰყავს საზოგადოების სულიერი ფასეულობები!

მახსენდება თქვენი შეხვედრები ესპანეთის ბასკებთან, როცა იქ **"დონ-კიხოტის"** გადაღებებზე ვიმყოფებოდით და აცრემლებულები ვესაუბრებოდით მათ ჩვენს სულიერ და ხორციელ ნათესაობებზე!

დიდ კინოგმირებს მხოლოდ გენიალური შემოქმედები ქმნიან. უკვე რამდენიმე ათეული წელია რაც ისტორიას ჩაბარდა კომუნისტური საზოგადოება, მოვიდა ახალი თაობა, რომელსაც ელემენტარული წარმოდგენაც კი არა აქვს იმაზე, თუ ვინ იყვნენ რაიკომის მდივნები, მაგრამ განა ფაქტი არ არის, რომ უნივერსიტეტის სტუდენტებთან შეხვედრაზე ახალგაზრდებმა გთხოვეს რომ მათთვის სწორედ თქვენი ფილმი **"რაიკომის მდივანი"** გეჩვენებინათ.

ძნელად ასახსნელი აქ არაფერია – თქვენი თორელი არის არა კომუნისტურ კასტურ სივრცეში ჩაკეტილი ფუნქციონერი, არამედ საკუთარი სამშობლოს ბედზე მოფიქრალი კაცი, რომლისთვის საზოგადოებრივი უფრო ძვირფასია, ვიდრე პირადული. როგორ არ აწყენდათ ამ ფილმის დღეში ერთხელ მაინც ნახვა მიხეილ სააკაშვილსა და მის ნაციონალურ გარემოცვას, რომელთა მთავარ საზრუნავს მხოლოდ პირად კეთილდღეობაზე ზრუნვა წარმოადგენს და რომლებიც ამას აღწევენ მხოლოდ საკუთარი ხალხის ძარცვის ხარჯზე. თუმცა, ისიც საკითხავია: არის კი ქართველი ხალხი **"საკუთარი"** სომეხი სააკაშვილისა და მისი არაქართული გარემოცვისათვის!

შეუდარებელია თქვენი კინოგმირი ლუკა, რომელიც მსხლის **"ნერგის"** საძებრად მზად არის რომ მთელი დედამიწა შემოიაროს. იმ მსხლის ნერგისათვის, რომელიც მას ნაყოფს ველარ მოუსწრებს, მაგრამ მომავალ თაობას უამრავ სიკეთეს მოუტანს.

მართლაც შეუდარებლები არიან თქვენი **"ღიმილის ბიჭები"**, რომელნიც სიკვდილის რეალურ საფრთხეს აშკარად დასცინიან და ერთმანეთს ენაცვლებიან შეწყვეტილი სატელეფონო კავშირის აღსადგენად. სწორედ მათი უდრეკი ნების გამო დღესაც ბრუნავს ის ბედის ბორბალი, რომელიც ღიმილის ბიჭებმა სასიკვდილო პოლიგონზე უკანასკნელად გასვლის წინ დაატრიალეს!

ცრემლი და აღტაცება ენაცვლება ერთმანეთს, როცა თქვენი ნატიფი მარჯვენითა და ცინცხალი გონებით შექმნილ კინოგმირებს ვიხსენებთ ხოლმე!

ხელოვნების უკვდავება მის სილამაზეშია დავანებული, ხელოვნების სილამაზეს კი დამაჯერებელს სწორედ შემოქმედის მიერ ჩამოქნილი გმირები და ხასიათები ქმნიან.

ყველა თქვენს გმირზე რომ რამდენიმე სიტყვა ვთქვათ, ალბათ კიდევ ერთი წიგნის შექმნა იქნება საჭირო.

ამიტომ, ამჯერად მხოლოდ ამ მცირე ფორმატის დეპეშა-წერილით დავკმაყოფილდები!

რა არის თქვენი ასაკი იმ დღეგრძელობასთან შედარებით, რასაც თქვენს მიერ შექმნილი გმირები გადასწვდებიან! როგორც ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა ბრძანა: **„თქვენი შემოქმედება არასოდეს დაბერდება"**.

ყველაზე ლაკონიურად კი უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ ბრძანა თქვენზე: **"ადამიანი რომ გენიოსად დაიბადება, ის ყველაფერში გენიალურია!"**

ჩემთვის დიდი პატივია, დაბადების დღე მივულოცო შემოქმედს, რომლის შედევრებითაც ჩემს ქვეყანას არაერთხელ გაუხარია და უამაყია იმით, რომ მთელი მსოფლიო აალაპარაკა ქართველი კაცის ნიჭიერებამ.

გისურვებთ მხნეობასა და დიდხანს სიცოცხლეს, რადგან თქვენი ნატიფი ხელით შექმნილი გმირების პატრიოტიზმი, მამულიშვილური სულისკვეთება, მორალი და ზნეობა სწორედ თქვენგან გადმოედინება!

მჯერა, ბატონო რეზო, თქვენი შემოქმედება არასოდეს დაბერდება!

**როლანდ ჯალაღანია,**
**"აიას" და "ფაზისის" აკადემიების**
**ნამდვილი წევრი, ხელოვნებათმცოდნე**



ეროვნული ბიბლიოთეკა

# რა ენაზე დაიწერა დედანში "ბიბლიური დაბადება"?

**(მოხსენება აკადემიის სამეცნიერო სხდომაზე განსახილველად)**

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს, ბ-ნ თამაზ გამყრელიძეს აქვს ჩემი წიგნი **„ძველკოლხური ენის საიდუმლოებანი"**. თავიდან მის ობიექტურ შეფასებასაც დამპირდა ბ-ნი პრეზიდენტი, მაგრამ მასზე გაცნობის შემდეგ სიტყვა გატეხა და ნახევარი წელიწადი მემალებოდა. შემდეგ კი, როგორც იქნა მოვახერხე მასთან შეხვედრა, მაგრამ დაჩიავდა და ენის ბორძიკით იცრუა: მე, მე, მე მეგრული არ ვიციო და მირჩია ენათმეცნიერების ინსტიტუტისათვის მიმემართა. იქ, თითქმის ყველა გაეცნო ჩემს ნაშრომს, არც არავის უარუყვია; პირიქით, ვერავინ შეგედავებაო მითხრეს, მაგრამ კულისებში, ხოლო ოფიციალურ შეფასებაზე რაღა მოგახსენოთო.

კვლევის ის მეთოდი, რასაც მე ვიყენებ უძველესი ძირისეული ფორმების მნიშვნელობათა დასადგენად, ენათმეცნიერებაში ახალი და უცნობია, ამდენად მისი ჭეშმარიტება დადგენილი არ არის. ამ საბაბით აკადემიურ მეცნიერულ შეფასებას ვერ მოგცემთო მიპასუხეს, ხოლო ჩემი მიგნებების ჭეშმარიტების დასადგენად საჭირო მოხსენებებისათვის და დისკუსიებისათვის ყოველგვარი გზა ჩამიკეტეს.

მოგეხსენებათ, რომ უშეცდომო არავინაა, ყველა ავტორს მხოლოდ თავისი აზრი ჰგონია ჭეშმარიტება და სხვისი აზრის სიღრმეში წვდომა უძნელდება. ამიტომ ჭეშმარიტებაში ჩასაწვდომად დიდი დრო სჭირდება. ამიტომაცაა საჭირო თქვენი შეფასება და ზედმეტიც არ იქნება იცოდეთ სერიოზულ მკლევართან გაქვთ საქმე, თუ მოჩვენებითი ილუზიებით ხიბლში ჩავარდნილ ადამიანთან.

რა თქმა უნდა, ვინმე ნასომხარი თუ მოისმენს ჩემს მოხსენებას. ის წინასწარ დაპროგრამირებულია და, თუნდაც, აბსოლუტურ ჭეშმარიტებადაც, რომ მოეჩვენოს, მის შეფასებაზე თავს შეიკავებს, ხოლო ის რაც მე ჭეშმარიტებად მიმაჩნია, მცდარი აღმოჩნდება, სამარადისოდ გამანიავებს. და სწორიც იქნება, რადგან საზოგადოებისათვის ჭეშმარიტების რანგში ცრუ აზრის მიწოდება დიდად მავნებელია. ძალიან გაუძნელდება ჭეშმარიტების სიღრმეში წვდომა ქართველებსაც, რადგან საუკუნეების განმავლობაში უნერგავდნენ აზრს, რომ მეგრული ენა მდაბიოთა უმწერლობო ენაა და მასში რაიმე ღირებულებების არსებობა გამორიცხულიაო.

ვინც იცის იბერიული (ე.წ. მეგრული) ენა, დამეთანხმება, რომ არსებობს ერთეული თანხმოვნით გამოხატული სიტყვები ბ, (ბმულია), გ, (გავს), ზ, (ზილა), ძ, (ძევს, დევს) და ა.შ. ესენი ის სიტყვებია, რომლებიც ინტენსიურად იხმარება დღემდე ე.წ. მეგრულ მეტყველებაში. ამან დამაფიქრა და დამაინტერესა: აქ ჩამოთვლილი სიტყვები გამონაკლისია, თუ ოდესღაც იბერიულ ენაში არსებობდა ყველა ოცდაათივე თანხმოვნით გამოხატული სიტყვები? კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ არსებობს არათუ ოცდაათივე თანხმოვნით გამოხატული სიტყვები, არამედ თითოეულ მათგანს გააჩნია რამოდენიმე სინონიმი, ანუ არსებობს ფორმით, ე.ი. ბგერითი შემადგენლობით სხვადასხვა, მაგრამ მნიშვნელობით ერთნაირი სიტყვები. მაგ., ქართულ ენაში მეგრულ ბ,-ს შეესატყვისება ხუთი სხვადასხვა სიტყვა, რომელთა არსი აზრობრივად ერთი და იგივეა; გ, - ს გააჩნია თხუთმეტი ომონიმი, ზ,-ს აქვს სამი ომონიმი, ანუ სამი სხვადასხვა მნიშვნელობა და ა.შ.

უთუოდ საინტერესოა, როგორ მიიღეს ერთეულთანხმოვნიანმა სიტყვებმა ე.წ. მეგრულში სრული სიტყვის მნიშვნელობა, როდესაც ლიგნვისტიკაში საყოველთაოდ აღიარებულია და ურყევ დოგმადაა მიჩნეული, რომ ცალცალკე და დამოუკიდებლად ბგერები არავითარი მნიშვნელობების მატარებელნი არ არიან.

განვიხილოთ რამდენიმე მაგალითი, თუ როგორ წარმოიშვნენ ერთეულთანხმოვნიანი სიტყვები და როგორ მიიღეს მათ ესა თუ ის მნიშვნელობა:

ბ, ბგერათა კომპლექსს გავიგონებთ, როცა ბაწარს სწრაფად გავქაჩავთ, ან ზევით დაბმული ბაწრით დაეკიდება ჩამოგდებული ტვირთი, ანუ ორ საგანს შორის განხორციელდება ჭეშმარიტი ბმა, კავშირი. ასევე, ბ, , , მილევად ბგერათა კომპლექსს გავიგონებთ, თუ თითს ჩამოვკრავთ მუსიკალური ინსტრუმენტის გაჭიმულ სიმს, ე.ი. მაშინ, როცა განხორციელებულ ბმას ხელოვნურად შევაშფოთებთ. მეგრულად იტყვიან: **„გუდა ჯას მუკო-ბ,"** (გუდა ხეზე ჰ-კიდია); **„მიმინოქ კუჩხით ქიმკი – ბ,"** (მიმინო ფეხით ჩამო-ეკიდა); **„ჩხოუ ბოსელიც ბ,"** (ძროხა ბოსელში ბმულია). ამ მაგალითებში ბ, კიდიასაც ნიშნავს, ეკიდასაც და ბმულიასაც. ბ, ბგერათა კომპლექსმა ეს მნიშვნელობები იმიტომ მიიღეს, რომ სამივე შემთხვევაში განხორციელებულია (გუდასა და ხეს შორის, მიმინოსა და ხის ტოტს შორის, ბოსლის კედელსა და ძროხას შორის) ბმა, კავშირი.

მყუდრო გარემოში, თოვლის ფიფქთა თავზე და მხრებზე დაცემისას გავიგონებთ ბგერათა კომპლექსს თ, - თ, - თ, და ა.შ. უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენ ვერ წარმოვთქვამთ ვერცერთ თანხმოვან ბგერას, , ბგერის თანხლების გარეშე, აბსოლუტურად წმინდად. მას ყოველთვის თან ახლავს ემფატიკური , ბგერა და ამიტომაც ქმნის ნებისმიერი თანხმოვანი მის თანმხლებ , ბგერასთან ერთად სრულყოფილ სიტყვას. როცა წარმოვთქვამთ , ბგერას მეტი ემფაზიით, ანუ სახმოსნო ორგანოების დაძაბვით, რეალობას მეტი დამაჯერებლობა ენიჭება. მაგ., თუ წარმოვთქვამთ ბ, - ს ნაცვლად ბ , , - ს, ან თ, -ს ნაცვლად თ, , -ს, ეს რეალობები უფრო დამაჯერებლად იქნება წარმოდგენილი. ამიტომ მამანტი ძაძამია , ბგერას **დასტურ ბგერას** უწოდებს.

თ, , ასე აფიქსირებენ თოვლის მოსვლას დღესაც წალენჯიხასა და ჩხოროწყუს რაიონებში; ვფიქრობთ, აქედან წარმოიშვა სიტყვა თოვლი (თ, , + რეთ, ,რე თოურე -თოულე თოული თოვლი). თ, , ბგერათა კომპლექსზე სიტყვის **რე** (არის) დამატება თოვლის მოსვლის რეალობას კიდევ უფრო მეტ დამაჯერებლობას ანიჭებს, ხოლო **რ** ბგერის რელაქსაცია, ანუ დარბილება **ლ**-თი და **უ** ბგერის დავიწროება **ვ**-თი ჩვეულებრივი ფონეტიკური მოვლენაა. რადგან , ბგერას აქვს მიდრეკილება გახმოვანებისაკენ, სიტყვაში თ, , პირველი , გახმოვანდა **ო** – თი, მეორე კი **უ**-თი, შემდეგ კი მოხდა **უ**-ს დავიწროება **ვ**-თი და მივიღეთ სიტყვა **თოვლი**.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ თოვლი ნათელის, სიწმინდისა და სისპეტაკის სიმბოლოდაა მიჩნეული. ნათელის ქვეშ ხშირად მოიაზრება ყოვლისმცოდნე შემოქმედი; ბრძენ, სულიერად და ზნეობრივად ამაღლებულ პიროვნებაზე იტყვიან: ნათელი გონებისააო. ამიტომ თ, , ბგერათა კომპლექსით გამოიხატებოდა, არქაულ ხანაში თოვლი და ნათელი.

როგორ წარმოიშვა სიტყვა ნათელი?

სიღრმისეულმა კვლევა-ძიებამ გვიჩვენა, რომ ეს სიტყვა ჩასახულია იმ ხანად, როდესაც მეტყველებაში, ჯერ კიდევ არ იყო შემოსული ხმოვანი ბგერები, არ არსებობდა საგრამატიზაციო საშუალებები, ანუ ყველა სიტყვა ფუძე იყო (ამაზე უკეთ ვიტყვით ქვემოთ). ამ სიტყვამ ჩამოყალიბებამდე შემდეგი ფონეტიკური ცვლილებები გამოიარა: **ნ, თ, რ, - ნ, თ, რე ნათერე-ნათელე ნათელი**

აქ ნ, ›ნიშნავს წყალს. მაგ., ქართულში გვაქვს სიტყვა **მდინარე**, რომელიც ნაწარმოებია იბერიულ-ქართული წინადადებიდან **მდინადი ნა რე** (მდინადი წყალი არის); ე.წ. მეგრულში გვაქვს ქართული სიტყვა მდინარის შესატყვისი **მალნარე** (მავალი წყალი არის); თ, ნიშნავს თოვლს; რ, კი რე (არის)-ს. მაშინ, თუ არქაული ხანის სიტყვებს თანამედროვე მნიშვნელობებით წარმოვადგენთ და გრამატიკულად გავმართავთ, მივიღებთ: **წყალი თოვლად არის**, ხოლო **ბნელი** ‖ ბ, ნ, რ, ( -ბ, ნ, რე ბნერე ბნელე ბნელი) კი – **სხმული წყალი არის**. ცხადია, თოვლად ქცეულ წყალზე ნათელი ფიზიკურ რეალობაში არაფერი არსებობს დედამიწაზე, ხოლო სხმული წყალი ბნელია, 3-4 მეტრის სიღრმეში ვერაფერს დავინახავთ და, თანაც, ძალზე მუქი და ბნელია. ბ, ›სხმასაც, რომ ნიშნავს, ადასტურებს მეგრულში არსებული სიტყვები: **„გეგნა-ბ,"** (გადა-ასხა), ქიგნი – ბ," (გადა-ისხა), ე.ი. ბ, ჯნიშნავს **ასხა**-საც და **ისხა**-საც, ზოგადად **სხმა** – ს.

რ, რ, რ, რ, რ, ... გამბულ ბგერათა კომპლექსს გამოსცემს ჩვენს ირგვლივ არსებული ნივთიერება (ჰაერი) გარკვეული სიჩქარით მოძრაობისას, რომელიც თვითონ არ ჩანს, მაგრამ ვხედავთ ან ვგრძნობთ მის მოქმედებას. იგივე გაბმულ ბგერათა კომპლექსს გავიგონებთ აგრეთვე, მშვიდ გარემოში, როცა დიდი სიჩქარით დავატრიალებთ რაიმე ფრთებიან, პროპელერის მსგავს საგანს და ა.შ.

ცნობილია, რომ გერმანელი მეცნიერი ლაიბნიცი **რ** ბგერას ძლიერი მოძრაობის გამომხატველ ბგერად მიიჩნევდა, **ლ**-ს კი სუსტი მოძრაობის გამომხატველ ბგერად.

ვფიქრობთ, როცა პირველყოფილი ადამიანი, ჯერ კიდევ, დანაწევრებული მეტყველების არმქონე, ღრმა გამოქვაბულიდან დაინახავდა რა მოქანავე ხეებს, ფაფარაშლილ ცხენს, ბუმბულაქოჩრილ ფრინველს და ა.შ., ამ სურათების გამომწვევ რეალობას თვალით ვერ ხედავდა, მაგრამ მისი (ქარის, ანუ ჰაერის) დიდი სიჩქარით მოძრაობის ასოციაცია ექმნებოდა და სხვებს, გამოქვაბულში უფრო ღრმად მყოფთ ამცნობდა ამ რეალობის არსებობას ბგერათა კომპლექსის გაღებით: **რ, რ, რ,** ! ან ემფაზიის გარეშე: **ე, რ,** ! რადგანაც **რ,** (**, ჯ გახმოვანების შემდეგ რე)** ბგერათა კომპლექსის გამომწვევი რეალობა უხილავია, მაგრამ მისი არსებობა ფაქტია, ვფიქრობთ, ამ განსაკუთრებულობის გამო დაეკისრა აღნიშნულ ბგერათა კომპლექსს სხვა რეალობათა არსებობის დადასტურების ფაქტია.

ზემოთ განხილული ერთთანხმოვნიანი სიტყვების წარმოშობისა და მნიშვნელობის მიღების წარმოდგენილ დონეზე შესწავლილი გვაქვს დანარჩენ ოცდაშვიდივე თანხმოვანზე არსებული სიტყვების წარმოშობა და მნიშვნელობის მიღების საფუძველი.

ამან და სხვა არგუმენტებმა მომცა საფუძველი დამედგინა ჩვენი დამწერლობების – მხედრულისა და ასომთავრულის, მეცნიერებაში გაბატონებული აზრის საწინააღმდეგო, ეროვნულ ნიადაგზე წარმოშობა და უპირველესობა.

იმას გარდა, რომ უცხოური წყაროები ბევრს ლაპარაკობენ უძველესი დროიდან იბერიული დამწერლობის არსებობაზე, უფრო ძლიერი წყაროც იძებნება, რომელიც ამ ჭეშმარიტების მტკიცებულებას კიდევ უფრო აძლიერებს.

ამჯერად მოვიშველიებთ ბიბლიას, რომელიც ამაზე, ჩვენი აზრით, საკმაოდ დამაჯერებელ ცნობებს იძლევა.

გადმოცემის თანახმად, ბიბლიური დაბადება პირველად არამეულიდან ფინიკიურ ენაზე ითარგმნა, ფინიკურიდან ბერძნულზე, ბერძნულიდან კიდევ, ყველა სხვა ენაზე, მაგრამ დედანში დაბადება არც ფინიკიელებს უნახავს და არც ბერძნებს და გაურკვეველია რომელ ენაზე დაიწერა იგი დედანში.

დაბადების ტექსტის ეპიზოდები მოსემდე, თითქმის, ძვ. წ.აღ. 2500 წლის წინათ დაწერილი **„გილგამეშის"** ტექსტის ეპიზოდების თანხვედრილია, რაც დასტურია იმისა, რომ დაბადება ერთერთი ყველაზე უძველესია დედამიწაზე, თუ ერთადერთი არა.

იქნებ თვით დაბადების ტექსტშია ის საიდუმლო, რომელიც იტყვის რომელ ენაზე დაიწერა ეს უძველესი თხზულება დედანში.

სანამ ამის გარკვევას შევუდგებოდეთ, გავერკვეთ **ადამი**–ა უფრო სწორი, თუ – **ჵადამი**. მარიამ დედოფლისეულ ნუსხაში **„ქართლის ცხოვრება"** წერია: **„იქმნა ადამ მეფე მღურდელ, წინასწარმეტყუელ, მუნ დასვა ღმერთმან საყდარსა პატივითა... და რქუა მას „ჵადამ, აჰა ესე რა გყავ შენ მღუდელ, წინასწარმეტყუელ და მთავარ და გამგებელ და ყოველნი დაბადებულნი დაგემორჩილნეს შენ, რათა მარტოოსა დაგემორჩილნეს და მოგცე ხელმწიფება ყოვლისა, რომელიც დავბადე"** (იხ, მარიამ დედოფლისეული **„ქართლის ცხოვრება"**, გვ.789). გარდა ამისა, ე.წ. მეგრულში ზოგ რაიონში სიტყვებს იტყვიან (ალბათ, ქართულის გავლენით) საწყისი **ჵ** ბგერა მოკვეცილად. მაგ., **ათენა** (აი ეს), **ომური** (ტყემალი), **ოთამა** (გასროლა), **ოფედას** (ყოფილიყოს) და ა.შ. ხოლო ამავე სიტყვებს წალენჯიხასა და ჩხოროწყუს რაიონებში იტყვიან თანხმ+ხმ+თანმხ+ხმ+... პრინციპის დაცვით: **ჵათენა, ჵომური, ჵოთამა, ჵოფედას და ა.შ.**

როგორც საენათმეცნიერო ლიტერატურიდან ცნობილია, იბერიული ენისა და მისი მოდგმის ენების ფონეტიკური კანონზომიერებების საფუძველზე ამ ენათა ლექსიკა იქმნებოდა პრინციპით თანხმ+ხმ+თანხმ+ხმ+... ასეთი პრინციპის საფუძველი ის არის, რომ თანხმოვანი ბგერა არ არსებობს, აბსოლუტურად დამოუკიდებლად ირაციონალური , ბგერის თანხლების გარეშე და ამიტომაც თითოეული თანხმოვანი ე.წ. მეგრულში (იბერიულში) სრულ სიტყვას ქმნის. ამ ირაციონალურ ხმოვანს, როგორც აღვნიშნეთ, ახასიათებს მიდრეკილება სრულად გახმოვანებისაკენ და ამიტომ იქმნებოდა სიტყვები ზემოხსენებული პრინციპის შესაბამისად. მაშასადამე, დაბადებაში დაფიქსირებულ სახელებში, რომლებიც სხვადასხვა ენაზე გადათარგმნის შემდეგ ხმოვანი ბგერით იწყება, თავდაპირველად დედანში ამ ხმოვნების წინ **ჵ(„)** ბგერა უნდა მდგარიყო, **ჵადამი, ჵევა, ჵაბელი, ჵენოში და ა.შ.** ამავე პრინციპის თანახმად, ნოეს მაგივრად უნდა ყოფილიყო **ნოჵე** და ა.შ. (ჵ და „ ასონიშნების ერთიდაიგივეობის შესახებ იხ. ჩემი **„ძველკოლხური ენის საიდუმლოებანი"**, 2004 გვ. 163). ასე, რომ ჩემი კვლევა ცარიელ და უსაფუძვლო ნიადაგზე არ წარმოებულა და, ტ. ფუტკარაძის, თ. გვანცელაძისა და მათი თანამოაზრეთა მსგავსად, საკუთარი ჭიის მასაზრდოებელ სურვილზე არ არის დამყარებული. გავაანალიზოთ დაბადების რამდენიმე მუხლი:

**„შექმნა ღმერთმა კაცი, თავის ხატად შექმნა იგი, მამაკაცად და დედაკაცად შექმნა ისინი. აკურთხა ღმერთმა ისინი და უთხრა: ინაყოფიერეთ და იმრავლეთ, აავსეთ დედამიწა, დაეუფლეთ მას. ეპატრონეთ ზღვაში თევზს, ცაში ფრინველს, ყოველ ცხოველს, რაც კი დედამიწაზე დახოხავს" (დაბ. 1-27-28). „გამოსახა უფალმა ღმერთმა მიწისაგან ველის ყველა ცხოველი და ცის ყველა ფრინველი და მიჰგვარა ადამს, რომ ენახა რას დაარქმევდა. რომელ სულდგმულს რას დაარქმევდა ადამი, მისი სახელიც ის იქნებოდა. დაარქვა ადამმა სახელი ყველა პირუტყვს, ცის ფრინველს და ველის ყველა ცხოველს"** (დაბ. 2-19-20).

თუ გავეცნობით იბერიული (იგივე ე.წ. მეგრული) ენის უზარმაზარ ლექსიკურ ფონდს (იხ. მ. ძაძამია,... შვიდტომეული), დავინახავთ, რომ მისი ძირისეული ფორმების 75%-ზე მეტი და სამეტყველო ბგერების 100%, ყველა სხვა ენებისაგან განსხვავებით, წარმოშობილია ბუნებაში არსებულ ხმებზე მიბაძვით. ნადირ-ფრინველთა უდიდეს უმრავლესობას ყველა ენებისაგან განსხვავებით, ე.წ. მეგრულ(იბერიულ) ენაზე მათ მიერ გაღებულ ხმებზე მიბაძვით შერქმეული სახელები ჰქვია. ეს ფაქტი მრავლისმეტყველია და იმას მოწმობს, რომ იბერიული ენა ადამის ენაა და კაცობრიობის დასაბამიდან მოდის.

**„უფალმა ღმერთმა ბაღი გააშენა ედემში, აღმოსავლეთში და დასვა იქ ადამი, რომელიც გამოსახა"** (დაბ. 2-8).

ცნობილია, რომ დედანში დაწერილ არქაული ფორმის სიტყვებს სხვადასხვა ენაზე სხვადასხვა ხმოვნებით ახმოვანებდნენ. ასე, რომ, შეიძლება დაბადების დედანში ჵადამი

და ჵედემი ორივე ჵ, დ, მ, ფორმით ყოფილიყო დაწერილი.

ასევე ცნობილია, რომ **„აფიქსთა უმეტესობა ისეთ დროს არის წარმოქმნილი, რომ ისტორიული, დოკუმენტალური ძიება მათ ვერ წვდება. ამის მიუხედავად, გაბატონებულია აზრი, რომ აფიქსები დამოუკიდებელი სიტყვებისაგან მომდინარეობენ; თუ ამჟამად აფიქსები ეწოდება სიტყვის ისეთ ნაწილს, რომელიც თავისთავად არაფერს ნიშნავს და მხოლოდ ფუძეს დართული გარკვეულ როლს ასრულებს, წინეთ იგიც მნიშვნელობის მქონე იყო. სხვანაირად, რომ ვთქვათ, ის დაპირისპირება, რომელიც ამჟამად არსებობს ფუძესა და აფიქსს შორის, წინეთ არ არსებობდა, მაშინ, თუ შეიძლება ითქვას, ყველა ფუძე იყო"** (არნ. ჩიქობავა, ზოგადი ენათმეცნიერებს, პროპედეკეტიკული ნაწილი, 1935, გვ. 71). ე.ი. საგრამატიზაციო საშუალებები, რაც დღეს საკმაოდ უხვად გაგვაჩნია, ძველად არ იყო, ამიტომ, შესაძლებელია, დაბადების ავტორი, მრავალჯერადი თარგმნა – გადმოთარგმნის შემდეგ შეეცვალა აზრი ტექსტს, თორემ **„ღმერთმა გააშენა ბაღი ედემში"**-ს ნაცვლად, დედანში გულისხმობდა ასეთ აზრს: **„ღმერთმა გააშენა ბაღი ჵადამისათვის"** (იბერიულად ჵადამიშო ჵ, დ, მ, შ, ) იგივე ჵ, დ, მ, შ, ფორმით დაიწერებოდა **ჵედემიში.** როგორც აღვნიშნეთ, ჵ, **(„ ,)** ნიშნავს ქმნას, **ჰყოს**–ს; **დ, დოს, დასვას**; **ნ,** წყალს, წყაროს სიცოცხლისა, მეტაფორულად ღმერთს); შ, კიდევ, **ახსოვს**, ზოგადად, **ხსოვნას**; ვ, - **ვაებას, ტანჯვას, უსიამოვნებას**. მაშინ ჵ, დ, მ, (-ჵადამი -ადამი) ნიშნავს ქმნილი, დასმული მე (შეად. დაბ. 2-8.).

ე.ი. დედნისეული ტექსტი ასეთი შინაარსის უნდა ყოფილიყო: „უფალმა ღმერთმა ბაღი გააშენა ჵადამისათვის (ჵადამიშო) და დასვა იქ ადამი, რომელიც გამოსახა.

3. [ღმერთმა] „დედაკაცს უთხრა: სატანჯველს გაგიმრავლებ და გაგიძნელებ ორსულობას, ტანჯვით შობ შვილებს. ქმრისკენ გექნება ლტოლვა ის კი იბატონებს შენზე" (დაბ.3-16). ე.ი. ყველა დედაქალი გამოდის ტანჯვისათვის ქმნილი, ანუ ღვთისგან აქვს დაბედებული ტანჯვა. ჵ, ვ, (ჵევა ევა) ნიშნავს: ქმნილი ტანჯვისთვის (შეად. დაბ. 3-16).

4. შვა ცილამაც თუბალ – კაენი, რვალისა და რკინის საჭურველთა მჭედელი" (დაბ. 4.22).

იბერიული მოდგმის ენებში სიტყვათწარმოქმნის კანონზომიერების თანახმად, სახელში კაენი **ა** და **ე** ბგერებს შორის თანხმოვანი ბგერა უნდა მჯდარიყო და ეს ბგერა, უეჭველია, ჵ(„ ) ბგერა უნდა ყოფილიყო. დაიკარგა იმის გამო, რომ ფინიკიურ და ბერძნულ ენებს, რომლებზეც ითარგმნა დაბადების ტექსტი, ჵ („) ბგერა არა აქვთ და არც ჰქონდათ. დედანში **კ, ჵ, ნ,** უნდა ყოფილიყო. **კ,** ნიშანვს **კვერა, აწრთო, ჭედა**-ს; **თუბალი ‖ თუბარი‖ თ, ბ, რ,** (ნათელი, კავშირი, არის) ნიშნავს [უზენაეს] ნათელთან კავშირში არის, ანუ უზენაესთან კავშირის მქონეს, ჵ, და ნ, მნიშვნელობები ცნობილია. მაშინ **თუბალ – კაენი** ნიშნავს: **უზენაეს ნათელთან კავშირის მქონე მჭედელი ქმნილი უფლისაგან [კ, ჵ, ნ, კაჵენი კაენი**). მჭედელი ქმნილი უფლისგან] (შეად. დაბ. 4-22);

**კუკური ფიფია,**
**"ფაზისის" აკადემიის აკადემიკოსი**
**(გაგრძელება იქნება)**

# ნაპოლეონის ბედისწერა



***ნაპოლეონის წარმომავლობის კოლხურ ფესვებზე საინტერესო მოსაზრებები ჰქონდა წარმოდგენილი ცნობილ ქართველ მეცნიერს ვლადიმერ ალფენიძეს, ხოლო ცნობილი მეცნიერის, ისტორიკოს ბატონ კლიმენტი შელიას ვერსიები ახლახან გამოვაქვეყნებთ ჩვენი გაზეთის გვერდებზე. მეცნიერები ამტკიცებენ, რომ ნაპოლეონ ბონაპარტემ კარგად იცოდა თავისი კოლხურ-ბასკური წარმომავლობა, თორემ თავის დაცვის უფროსად არ დანიშნავდა ტყვედაყვანილ ქართველ ოფიცერს, ყოფილ მამლუქ როსტომ რაზმაძეს. შემთხვევით არც ის იყო, რომ ნაპოლეონს ახლო ურთიერთობა ჰქონდა სამეგრელოს თავად დადიანების ოჯახთან, დადიანების ყოფილ საგვარეულო მუზეუმში ახლაც ინახება ნაპოლეონის მიერ ნაჩუქარი ჭადრაკი. როცა ის მოკლეს, მას აუღეს სახის ორი ნიღაბი, რომელთაგან ერთი პარიზში ინახება, მეორე კი ზუგდიდში, დადიანების საგვარეულო მუზეუმში. ისიც ცნობილია, რომ აშილ მიურატი დადიანების სიძე იყო, სალომე დადიანის მეუღლე. ასევე, ნაპოლეონი დიდ პატივს სცემდა პეტრე ბაგრატიონს, რუსეთის ჯარის უნიჭიერს ქართველ გენერალს. როდესაც ნაპოლეონს ბაგრატიონის დაღუპვის ამბავი უთხრეს, მან გლოვის დუმილის წუთი გამოაცხადა და მუხლმოდრეკილმა პატივი სცა ბრძოლებში ტოლდაუდებელი გენერლის ხსოვნას.***

***ვითვალისწინებთ რა ჩვენი მკითხველი აუდიტორიის ინტერესებს ამ გენიალური და იდუმალებით მოსილი პიროვნების მიმართ, ვაქვეყნებთ მისი გარდაცვალების ერთ-ერთ ვერსიას.***

წმინდა ელენეს პირქუში და ცივი კუნძული, რომელიც ატლანტის ოკეანის სამხრეთით მდებარეობს, გადასახლებული ნაპოლეონისთვის საბოლოო ნავსაყუდელი აღმოჩნდა. სწორედ აქ გარდაიცვალა 51 წლის ნაპოლეონი 1821 წლის მაისში. ცნობაში მითითებულია, რომ იმპერატორი კუჭის სიმსივნით გარდაიცვალა, მაგრამ მას ამ დაავადების არც ერთი კლასიკური სიმპტომი არ გამომჟღავნებია. თანამედროვე მეცნიერები ფიქრობენ, რომ ნაპოლეონი მოწამლეს. თუ ასეა, ვინ იყო მკვლელი, რა გამოიყენა საწამლავად და როგორ?

ნაპოლეონი 1815 წლის ივნისში, ვატერლოოს ბრძოლაში დამარცხების შემდეგ გადაასახლეს წმინდა ელენეს კუნძულზე. ყოფილ იმპერატორს კაეშანმა დარია ხელი და მხოლოდ ცხენით ჯირითი თუ შველოდა. ნაპოლეონს ახლა საკუთარი თავის გარდა არაფერი აინტერესებდა. ინგლისელთა ფრეგატზე ყოფნისას თვითმკვლელობაზეც კი ფიქრობდა.

მას ყველგან თან დაჰყვებოდა ინგლისელი ჯარისკაცების ფხიზელი თვალი, რაც უფრო მძაფრად აგრძნობინებდა თავისი მდგომარეობის სიმძიმეს. თუმცა ზედამხედველები ყველაფერს აკეთებდნენ, რომ თავი კომფორტულად ეგრძნო. ლონგვუდ-ჰაუსიდან, სადაც ნაპოლეონი დააბინავეს, ზღვისა და მთების მშვენიერი ხედი იშლებოდა. გარდა ამისა, მას ჰქონდა სააბაზანო, წიგნებითა და რუკებით სავსე ოთახი და დიდი საძინებელი. ნაპოლეონს ნება მისცეს, ჰყოლოდა ოცი მსახური. კარგადაც კვებავდნენ, მზარეული საუცხოო ნუგბარს – შაქრის ტრიუმფალურ თაღებსა და ქარვისფერ სასახლეებს უმზადებდა. საჭმელს ფაიფურისა და ვერცხლის თეფშებიდან შეექცეოდა. ასე რომ, უკანასკნელ დღემდე არაფერი აკლდა. ნაპოლეონ ბონაპარტი 1821 წლის 5 მაისს, 51 წლისა გარდაიცვალა.

ნაპოლეონი მაშინ საკმაოდ მსუქანი იყო და ეს არავის უკვირდა. დასკვნაში სიკვდილის მიზეზად მითითებული იყო კუჭის სიმსივნე. სიმსივნე ავადმყოფის კახექსიას, დაუძლურებას იწვევს. იმპერატორი კი, პირიქით, სუქდებოდა. მას შემდეგ ისტორიკოსები და მეცნიერები ცდილობდნენ იმპერატორის გარდაცვალებისთვის ახსნა მოეძებნათ და ნამდვილი მიზეზი ახლახან გახდა ცნობილი, როცა ნაპოლეონის ცხოვრების მკვლევარმა კანადელმა ბენ უაიდერმა და შვედმა ტოქსიკოლოგმა სტენ ფორშუფვუდმა ნაპოლეონის თმის კულულის ტესტირება ჩაატარეს.

თმა ნაპოლეონს გარდაცვალების მეორე დღეს შეჭრეს და საგანგებოდ შეინახეს. უკანასკნელ პერიოდის დნმ-ის ანალიზმა ცხადყო, რომ თმა ნამდვილად მას ეკუთვნოდა. დეტალური შესწავლის შემდეგ ბენ უაიდერმა და სტენ ფორშუფვუდმა დაადგინეს იმპერატორის გარდაცვალების მიზეზი: თმაში აღმოჩნდა დარიშხანის მაღალი კონცენტრაცია – ნორმაზე 38-ჯერ მეტი, თანაც თმის სხვადასხვა ნაწილზე სხვადასხვა კონცენტრაციის, რაც იმას ნიშნავს, რომ იმპერატორს სიკვდილამდე ყოველდღე დარიშხანის სხვადასხვა დოზას აძლევდნენ.

ანალიზის სიზუსტე აშშ-ის გამოძიების ფედერალური ბიუროს საწამლავების დეპარტამენტმა დაადასტურა და ვერც ერთმა ექსპერტმა ვერ შეძლო მისი გაბათილება.

ნაპოლეონი შეიძლებოდა მოწამლულიყო სასმელი წყლით, თმის კრემით, შპალერის სუნის შესუნთქვით. მოწამვლა შეიძლება წინასწარაც იყო დაგეგმილი. ამის დამადასტურებელი სამხილები ჰქონდათ იმ პირებს, ვინც წმინდა ელენეს კუნძულზე ნაპოლეონს თან ახლდნენ. განსაკუთრებით ლუი მარშანს – ნაპოლეონის ერთგულ მსახურს, ჭკვიანსა და დაკვირვებულ კაცს. მარშანის ჩანაწერებისთვის, რომელშიც დარიშხანით ნაპოლეონის მოწამვლის დამახასიათებელი სიმპტომებია აღწერილი, დიდხანს ყურადღება არავის მიუქცევია, სანამ თმის ანალიზი არ ჩაატარეს. ანალიზისა და მარშანის ჩანაწერების შედარებამ ცხადყო, რომ ის დღეები, როცა ნაპოლეონი იმ სიმპტომებით იტანჯებოდა, რაც დარიშხანით მოწამვლაზე მიუთითებს, ზუსტად ემთხვეოდა დარიშხანის მიღების დღეებს. შეჯერებულმა მტკიცებულებებმა აჩვენა, რომ ნაპოლეონი მოკლეს.

ყოფილი იმპერატორი მხოლოდ დარიშხანს არ მოუკლავს. მას ორ ეტაპად უღებდნენ ბოლოს: პირველად დარიშხანი არა უგვიანეს 1816 წლის ივნისში მისცეს (ვატერლოოს ბრძოლიდან ერთი წლის შემდეგ), ხოლო სიცოცხლის უკანასკნელ დღეებში დოზას თანდათან უმცირებდნენ, რათა შთაბეჭდილება შეექმნათ, თითქოს ნაპოლეონი ბუნებრივი სიკვდილით გარდაიცვალა. ბოლო ეტაპი 1821 წლის მარტის ბოლოს დაიწყო, როცა ფრანჩესკო ანტომარკიმ, ყოფილი იმპერატორის პირადმა ექიმმა, სიკვდილის პირას მყოფ ნაპოლეონს სასაქმებელი დაალევინა. სასაქმებელს ნაპოლეონს დროდადრო ასმევდნენ, რამაც პირღებინების რეფლექსი დაუქვეითა. ასეთ დროს გაწმენდილი კუჭი საწამლავს უფრო იოლად შეიწოვს და აღარ ძალუძს მისი გამოდევნა. ნაპოლეონი მართალი იყო, როცა თავს არიდებდა მის მიღებას. ბოლოს, 1821 წლის 21 მარტს, ნაპოლეონი დათანხმდა სასაქმებლის მიღებას მას შემდეგ, რაც ანტომარკიმ დაჟინებით მოსთხოვა. ექიმს მხარი აუბა ნაპოლეონის კამერგერმა გრაფმა შარლ დე მონტოლონმა. იმპერატორს ორი დოზა მისცეს და ლუი მარშანმა დღიურში ჩაწერა: **„ძალად გამოწვეული ღებინების დროს მხოლოდ მცირე ნერწყვი ამოანთხია!“**

**ერთი თვის შემდეგ ნაპოლეონს ორშადი – ფორთოხლის ყვავილისა და მწარე ნუშის გამაგრილებელი სასმელი დაალევინეს და დაარწმუნეს, წყურვილს მოგიკლავთო. გაძლიერებული წყურვილი დარიშხანით მოწამვლის კიდევ ერთი, დამატებითი სიმპტომი იყო. ნაპოლეონს სულ უფრო უძლიერდებოდა წყურვილი და სულ უფრო მეტ ორშადს სვამდა. ექიმმა ანტომარკიმ უთხრა, ეს ლიმონათიაო. "ლიმონათი! – თქვა ნაპოლეონმა, – რა საშინელი დასალევია".**

**მარტო ორშადი არ ყოფილა ნაპოლეონის სიკვდილის მიზეზი. ლუი მარშანმა დამტკბარ წყალში გახსნილი კალომელი (ვერცხლისწყლის ქლორიდი) დაალევინა, რითაც სურდა ნაპოლეონისთვის ყაბზობა შეემსუბუქებინა. ყაბზობაც ერთ-ერთი სიმპტომია დარიშხანით მოწამვლისა. კალომელის სამკურნალო დოზა მარცვლის 1/4-ს შეადგენდა, ნაპოლეონს კი 10 მარცვალი გაუხსნეს დამტკბარ წყალში. რით შეიძლება აიხსნას ასეთი მაღალი დოზის მიღება?**

**იმ დღეს დე მონტოლონმა ექიმ ანტომარკის ნაპოლეონის ავადმყოფობის სიმპტომების დაწვრილებითი ჩამონათვალი მოსთხოვა.**

**ამ დროს მასთან ერთად იყვნენ კუნძულის გუბერნატორი სერ ჰადსონ ლოუ და ორი ინგლისელი ექიმი – შორტი და მიჩელი. ავადმყოფს ინგლისელმა ექიმებმა გამოუწერეს 10 მარცვალი კალომელი, რაც ანტომარკიმ გააპროტესტა – იმპერატორი ძალზე დასუსტებულია და ასეთ დიდ დოზას ვერ გაუძლებსო. დე მონტოლონი, ამ "კონსილიუმის" მოთავე, ინგლისელებს დაეთანხმა. ლუი მარშანმა იმ დღეს დღიურში ჩაწერა: "ბოლოს დავთანხმდი, კალომელი ცოტაოდენ შაქრიან წყალში გამერია... როცა იმპერატორმა მთხოვა, რამე დამალევინეო, ის დამტკბარი წყალი მივუტანე. მან გაჭირვებით კი გადაყლაპა, მაგრამ სცადა, უკან გადმოენთხია".**

**ორგზის მიცემული კალომელი და ორშადი ავადმყოფის კუჭში მომაკვდინებელ საწამლავად – ვერცხლის ციანიდად იქცა. იმ საღამოსვე კრიზისი დაიწყო. უკანასკნელ საათებში ნაპოლეონს აუტანელი ტკივილი ტანჯავდა, სიკვდილამდე სამი კვირით ადრე კი ჯერ კიდევ ხუმრობდა და იტალიურ სიმღერებს მღეროდა. ნაპოლეონს ოფლიანობა დაეწყო და მალე გონიც დაკარგა.**

**ნაპოლეონ ბონაპარტე 1821 წლის 5 მაისს გარდაიცვალა. ექიმმა ანტომარკიმ აუტოფსია ჩაატარა. იმპერატორს კუჭის გარსი საშინლად დაზიანებული ჰქონდა – ექიმის დასკვნით, ნაპოლეონი კუჭის სიმსივნით გარდაიცვალა. ექიმმა ერთი უცნაურობაც შენიშნა – მას სხეულზე თითქმის აღარ ჰქონდა თმის საფარი. ეტყობა, ანტომარკიმ არ იცოდა, რომ ესეც დარიშხანით მოწამვლის უტყუარი ნიშანი იყო.**

**სავსებით ცხადია, ნაპოლეონი წინასწარი განზრახვით მოკლეს, მაგრამ ვინ მოკლა? ბუნებრივია, დაახლოებულმა პირმა, ვინც მასთან ერთად წმინდა ელენეს კუნძულზე იყო. ალბათ, ისიც ლონგვუდ-ჰაუსში ცხოვრობდა და არა მარტო იმპერატორის უკანასკნელ დღეებს შეესწრო, არამედ თვეებისა და წლების განმავლობაში მის გვერდით ტრიალებდა. ამგვარად, ეჭვმიტანილთა სია სულ უფრო ვიწროვდება და მხოლოდ ორი ადამიანი შეიძლება დასახელდეს: ლუი მარშანი და დე მონტოლონი. ისეთ თავდადებულსა და ერთგულ მეგობარს, როგორიც ლუი მარშანი იყო, საეჭვოა, ნაპოლეონისთვის ეღალატა. აი, მონტოლონი კი შეიძლება რაღაცით უკმაყოფილო ყოფილიყო და ჯავრი ეყარა. მის წინააღმდეგ ხუთი სამხილი მეტყველებს:**

**– ნაპოლეონი იმავე კერძებს შეექცეოდა, რომელთაც მასთან ერთად სუფრასთან მსხდომნი, მაგრამ მხოლოდ ის სვამდა ღვინო "კონსტანციას", რომელიც საგანგებოდ მისთვის ჩამოიტანეს სამხრეთ აფრიკიდან. 1818 წლის თებერვლიდან იმპერატორს მხოლოდ დე მონტოლონი ამარაგებდა ამ ღვინით.**

**– როგორც სერ ჰადსონ ლოუს დაახლოებულმა ერთ-ერთმა პირმა განაცხადა, სწორედ დე მონტოლონმა ჩაამატებინა ორშადში მწარე ნუში, რომელიც საწამლავთან რეაქციაში შედის.**

**– ნაპოლეონის სიკვდილამდე ორი დღით ადრე ანტომარკისა და ინლისელი ექიმების კამათში დე მონტოლონმა ამ უკანასკნელთ დაუჭირა მხარი, როცა დაიჟინეს ავადმყოფისათვის ათი მარცვალი კალომელის (ვერცხლისწყლის ქლორიდი) მიცემა.**

**– ერთადერთი საბუთი, რომელშიც ნათქვამია, რომ იმპერატორი დაუძლურებით გარდაიცვალა, დე მონტოლონის მემუარებია, რომელიც 1848 წლით თარიღდება. ყველა სხვა ჟურნალსა და ჩანაწერში მითითებულია, რომ იმპერატორი სიკვდილის წინ ძალზე გასუქებული იყო. ნუთუ დე მონტოლონმა ყალბი ჩანაწერი გააკეთა, რათა გაემყარებინა აზრი ნაპოლეონის სიმსივნით სიკვდილზე?**

**– დასასრულ, ნაპოლეონის ანდერძის მიხედვით, სწორედ დე მონტოლონს ერგო მისი ქონების დიდი ნაწილი – იმ დროისათვის უზარმაზარი თანხა – 2,2 მლნ ფრანკი.**

**ყველა ეს სამხილი მეტ-ნაკლებად სარწმუნოა. არ არსებობს სხვა რაიმე მინიშნება ან ჩანაწერი, რომელიც დაადასტურებდა, რომ ნაპოლეონის ღვინო მოწამლული იყო. სამართლებრივი თვალსაზრისით შეიძლებოდა დე მონტოლონზე ეჭვი გასჩენოდათ, მაგრამ ისტორიკოსებს არსებული სამხილები არ აკმაყოფილებდათ. ფაქტია, რომ ვიღაცამ მართლაც მოკლა ნაპოლეონი და შესაძლებელია, ეს სწორედ გრაფი დე მონტოლონი იყო.**

**თუ გრაფი მართლაც მოგზავნილი მკვლელი იყო, ხომ არ ასრულებდა ის საფრანგეთის ხელისუფლების დავალებას? ხომ არ იყო იგი ინგლისის მთავრობისა და საფრანგეთის მეფე ლუი XVIII-ის აგენტი? ერთხელ ნაპოლეონმა თურმე თვალებში გამომცდელად ჩახედა სერ ჰადსონ ლოუს და მკაცრე ხმით უთხრა: "სიმართლე გითხრათ, სერ? დიახ, გითხრათ სიმართლე? ვიცი, რომ ჩემი მოკვლა დაგავალეს. დიახ, ჩემი მოკვლა".**

**სწორედ სერ ჰადსონ ლოუ იყო, დე მონტოლონს მწარე ნუში რომ გადასცა. ნაპოლეონ ბონაპატრეს ადიუტანტის, გენერალ გასპარ გურგოს დღიურის მიხედვით, ლოუმ აიძულა ექიმები, "შეეცვალათ აუტოფსიის დასკვნა და არ ჩაეწერათ მის ღვიძლში აღმოჩენილი ცვლილებები". ლოუ ის კაცი არ იყო, დამოუკიდებლად გაეცა ეს განკარგულება. ალბათ, ის კონკრეტულ მითითებებს ინგლისის მთავრობისგან იღებდა, რასაც საფრანგეთის მეფეც ეთანხმებოდა. ბურბონებსა და ინგლისელებს საკმაო მიზეზი ჰქონდათ ნაპოლეონ ბონაპარტეს პოლიტიკური ავანსცენიდან გასაქრობად. სამწუხაროდ, ერთი რამ ცხადზე ცხადია: ამ საიდუმლოს ფარდა არასოდეს არ აეხდება.**



ნაპოლეონის ნიღაბი, რომელიც მას საეჭვო ვითარებაში გარდაცვალების შემდეგ აუღეს

# “ვალმოხდილი აღმსარებელი ამბროსი”

**საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ამბროსის ცხოვრება და მოღვაწეობა. პუბლიკაცია ხორციელდება საქართველოს საპატრიარქოს ჭყონდიდის ეპარქიის მთავარეპისკოპოსის მეუფე პეტრეს თანადგომით. მიძღვნილი პატრიარქ ამბროსის დაბადების 150 წლისთავისადმი.**

*„1995 წლის 18-19 სექტემბერს სვეტიცხოვლის საპატრიარქოს ტაძარში შედგა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის გაფართოებული საეკლესიო კრება, რომელიც გახსნა უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ. პატრიარქმა კრების მონაწილეებს ამცნო საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდის ისტორიული გადაწყვეტილება ერისა და ეკლესიის წინაშე დამსახურებისათვის უწმიდესი და უნეტარესი ამბროსი შერაცხილ იქნა წმინდანთა დასში “ამბროსი აღმსარებლის” სახელით და მისი ხსენების დღედ დაწესდა 16 (29) მარტი“.*



აი, ამ პრინციპს ამკვიდრებდა არქიმანდრიტი. მისი აზრი და გონება ერის საგანძურის დაცვას დასტრიალებდა. იგი რეაგირების გარეშე არ ტოვებდა მცირე შესაძლებლობას, თუმცა სამშობლოდან მოკვეთილს უძნელდებოდა ბრძოლა და მაინც ცდილობდა.

ამბროსი ხელაიამ იცოდა და ხმამაღლა არერთხელ უთქვამს და დაუწერია, რომ მოსახლეობაში ურწმუნოების დანერგვა, კუთხეების ერთმანეთისთვის წაკიდების პოლიტიკა ქართველთა დასუსტებას, გახლეჩვა და საბოლოო ჯამში მათ დამორჩილებას გულისხმობდა.

არანაკლები საშიშროება ემუქრებოდა საქართველოს მოსახლეობის გამუსულმანებით.

მიუხედავად იმისა, რომ მამა ამბროსი შორს იმყოფებოდა საქართველოდან, იგი ყურადღებით ადევნებდა თვალს სამშობლოში მიმდინარე პროცესებს და ცდილობდა მიეღო მონაწილეობა მათ მოგვარებაში. თუმცა ავი ენები მას მუდმივად აბრალებდნენ, რომ თითქოს არქიმანდრიტი იმიტომ გაეცალა საქართველოს მოკალათდა თბილად და იპოვა სიმშვიდე და კეთილდღეობა.

არაკეთილმოსურნეთა საპასუხოდ მამა ამბროსიმ შეადგინა წერილი **„ჩემნი ექსორიანი“** და გამოუგზავნა გაზეთ **„საქართველოს“,** სადაც ჩამოაყალიბა საკუთარი შეხედულებანი, რომ ადამიანისთვის სამშობლოში ცხოვრება და მოღვაწეობა ბედნიერებაა.

* * *

**„ჩემნი ექსორიანი“**

„1908 წლის დამლევს უწმ. სინოდის განკარგულებით სასტიკად ვიქენი დასჯილი: აღმეხადა მღვდელ-მსახურების უფლება და გაგზავნილ ვიქენი რიაზანის სამების მონასტერში, სადაც გავატარე ერთ წელიწადზე მეტი. 1910 წელს დამიბრუნეს მღვდელმსახურების უფლება და მომცეს წინამძღვრობის ადგილი. ჩემი გადმოსახლების შემდეგ გადის თითქმის რვა წელიწადი, მაგრამ ყოველ ჩემ თხოვნას სამშობლოში დაბრუნებაზე უწმ. სინოდი უყურადღებოდ სტოვებს: უკანასკნელ პირადადაც გამომიცხადეს, რომ ჩემზე ითვლება რაღაც ძველი ცოდვები, მაგრამ როდესაც მოვითხოვე ამ ცოდვების დასახელება, მითხრეს, რომ ამის თქმა უხერხულია და ვერც გაიგებ როდისმეო. სჩანს, მათ არა აქვთ კონკრეტული ფაქტები ჩემს წინააღმდეგ და მხოლოდ მათი პოლიტიკა უნდა თხოულობდეს ჩემი სამშობლოს გარე ყოფნას, როგორც მათის შეხედულებით, არასაიმედო პირისას. ამის გამო ახლაც, როდესაც სხვა გადმოსახლებულებს აჰხადეს არასაიმედო პირების სახელი, როდესაც, როგორც გაზეთებმაც გვამცნეს, მოხდა მათი რეაბილიტაცია, ჩემს მდგომარეობას არა ეშველა რა და ახლაც სიტყვიერად მაგებინებენ, რომ ჩემი მდგომარეობის გაუმჯობესება მოუხერხებელია, რადგან ძველი ცოდვები ამის წინააღმდეგს გვიკარნახებსო. მაგრამ მრწამს, რომ დრო მალე გამოიცვლება.

საზოგადოდ, მე ყოველთვის წინააღმდეგი ვიყავი და ვიქნები იმისა, რომ ქართველმა კაცმა ნებით მიატოვოს თავისი სამშობლო მხარე, თუნდაც სხვაგან მას მოელოდეს პირადი წარმატება და ბედნიერება, რადგან საქართველოს ჯერ ხანად არ ემეტება მოღვაწეები. ამის გამო, ვიმეორებთ, ჩემი აქ ყოფნა არა ნებითი, არამედ იძულებითია. ამნაირივე იძულებითი იყო ჩემი სამსაჯავრო დონის ოლქში 1904 და 1915 წლის განმავლობაში.

ზოგიერთნი მთვლიან მე ბედნიერად, რომ მოვშორდი საქართველოს და ვითომ მატერიალურად კარგად მოვეწყვე. ამ წერილების დამწერთ ალბათ ჯერ არ გამოუცდიათ მარტოობა სულისა, – არ გამოუცდიათ იგი სიმწვავე, რასაც განიცდის სამშობლოდან გადახვეწილი, თუ კი ის გადაგვარების გზაზე არ არის დამდგარი და გული შესტკივა სამშობლოს მგომარეობაზე. ამნაირებზე შეიძლება იქონიოს გავლენა იმ აზრმა, რომ არქიმანდრიტი ამბროსი ვითომ თავის ნებით გადმოსულიყოს ჩრდილოეთისაკენ და კმაყოფილიც იყოს, და ამან აუშალოს მათ სურვილი სამშობლო მხარის მიტოვებისა. ერთმა სამშობლოდან გამოქცეულმა, ვითომ ქართველმა, ბეჭდვითი სიტყვის საშუალებით კიდევაც ამცნო საზოგადოებას, რომ მე ვითომ კმაყოფილი ვიყავი ჩემი რუსეთში გადმოსახლებით. ეს იყო 1905 წელს, მაშინ როდესაც მე პირველად იძულებით ვიყავი გადაყვანილი დონის ოლქში. ამ რენეგატმა მაშინ მიიღო ღირსეული პასუხი.

ვგზავნი ამ წერილს გაზეთში „საქართველო“, რათა ეს ვითარება ნათელვყო საზოგადოებისთვის.

1915 წ. მარიამობისთვე.

ქ. სტარაია რუსა.

* * *

1914 წლის მაისში მეუფე კირიონმა იპერატორს ნიკოლოზ მეორეს წერილი გაუგზავნა მეთვალყურეობიდან განთავისუფლებისა და სამშობლოში დაბრუნების თხოვნით. ეს თხოვნა უწმინდეს სინოდს გაუგზავნა განსახილველად. სინოდმა მიზანეშეწონილად ჩათვალა ეპისკოპოსობის აღდგენა, მაგრამ სამშობლოში დაბრუნებაზე უარი ეთქვა.

მალე იგი პოლოცკისა და ვიტებსკის ეპარქიას ჩაუყენეს სათავეში. სადაც მან ჩვეული ენერგია და ნიჭიერება გამოავლინა! თანაც აგრძელებდა მეცნიერულ საქმიანობას. 1915 წლის სექტემბერში მოხდა შეუსაბამო რამ, მრავალი წლის დევნილი და საღვთომსახურებას მოწყვეტილი კირიონი იმპერატორის ბრძანებით წმინდა ანას პირველი ხარისხის ორდენით დააჯილდოვეს.

ამან გული ვერ მოულბო ქართველ ეპისკოპოს. ჯილდო ხალისით არ მიუღია.

როგორც ამბროსი, კირიონიც სიცოცხლის ბოლომდე სათაყვანებელი სამშობლოსადმი გამორჩეულად ერთგული დარჩა.

სამშობლო და სარწმუნოება.

ღმერთი, ეკლესია და მამული.

აი, წმინდა ხატი, რომლისთვისაც ისინი ლოცულობდნენ და ირჯებოდნენ.

ვინც პირველი მიულოცა კირიონს ეპისკოპოსობის აღდგენა ამბროსი ხელაია იყო. ისინი პეტერბურგში შეხვდნენ ერთმანეთს და ფიცისმაგვარი სიტყვები უთხრეს ერთურთს.

**„უნდა დავბრუნდეთ სამშობლოში, ჩვენ მას ვჭირდებით“**. პოლიტიკური მდგომარეობა რუსეთში თანდათან იძაბებოდა. ომმა მთლიანად გააჩანაგა ქვეყანა. ხალხის აქტიურობა დახმარებოდა ფრონტს, მებრძოლებს, არ შველოდა საქმეს, თუმცა გარკვეული საბრძოლო წარმატებები ჰქონდა რუსეთის ჯარს.

ამ პერიოდში საზოგადოება და მათ შორის სამღვდელოება კვლავ აქტიურად მოქმედებდა ავტოკეფალიის აღდგენისათვის.

გაზეთის ფურცლებზე სისტემატიურად ქვეყნდებოდა მასალები ავტოკეფალიისა და საქართველოს სხვა საჭირბოროტო საკითხებზე, იგრძნობოდა რა ახალი სიოს მოახლოება!

მამა ამბროსი მოუთმენლად ელოდა მოვლენების ცვლილებებს და ენატროდა. ქვეყნისა და ერის საკეთილდღეოდ შემობრუნებულიყო ისინი. მანამდე კი იქნება გამოეყენებინა პიტომირის კეთილი დამოკიდებულება საქართველოსადმი და კვლავ წერილობით თხოვნით მიმართავს მას. იქნებ ამ ცდას მოჰყვეს სასურველი შედეგი.

სამი თვე ამაოდ ელოდა პასუხს. როგორც ადრე ახლაც მისი თხოვნა ურეაგიროდ დარჩა.

მაშინ პირადად ეწვია მიტროპოლიტ პიტომირს. მუდამ ბაგეღიმილიანმა მღვდელმსახურმა თბილად მიიღო არქიმანდრიტი.

– ვგრძნობ რისთვისაც გარჯილხართ მამაო.

– იმედი მქონდა თქვენი უწმინდესობავ, რომ სინოდი ამჯერად მაინც გაითვალისწინებდა ჩემს თხოვნას, რადგან არა ერთგზის მივმართე ნოვგოროდის ეპისკოპოსს ჩემს განთავისუფლებასა და საქართველოში გადაყვანაზე დახმარება აღმოეჩინა, მაგრამ მუდამ გაუგებარი მოტივებით მაფერხებენ.

პიტომირი ჩახვდა, უტეხი არქიმანდრიტი კავკასიურ პირდაპირობას იჩენდა და უსიამოვნო დიალოგი სხვა თემაზე გადაიყვანა. დასვა შეკითხვები სტარაია-რუსაში მღვდელმსახურების მდგომარეობაზე.

გაზეთები საქართველოდან იტყობინებოდნენ რომ, ახალმა ეგზარქოსმა პლატონმა შეხვედრა მოუწყო კიევის სასულიერო აკადემიის კურსდამთავრებულებს, სადაც თავად ინსპექტორად მუშაობდა. შეხვედრის მიზანი იყო, თავი შეეხსენებინა ყოველი სტუდენტისათვის, რომლებიც საქართველოში მოღვაწეობდნენ, რომ მომავალში მათი ურთიერთობა პატივისცემაზე დამყარებულიყო.

## ავტოკეფალიის აღდგენა

სამოქალაქო და სამხედრო ძალებმა რუსეთში 1917 წლის თებერვალში დაამხო მეფის ხელისუფლება და გზა გაუხსნა ხალხის წარმომადგენლობას.

საქართველოში მოვლენები სწრაფად განვითარდა. რუსეთის ახალმა მთავრობამ კავკასიის მეფისნაცვალი ნ. რომანოვი რუსეთის შეიარაღებული ძალების მთავარსარდლად დანიშნა. კავკასიის მთავარ-გამგეობა განსაკუთრებულ კომიტეტს ჩააბარა. კომიტეტის თავმჯდომარე გახდა კიტა აბაშიძე, მაგრამ იგი მალე გარდაიცვალა და მისი ადგილი დაიჭირა მე-4 სათათბიროს წევრმა აკაკი ჩხენკელმა, ხოლო ქალაქის თვითმართველობას სათავეში ჩაუდგა ნოე ჟორდანია.

თებერვლის რევოლუციას რუსეთში გარეგნულად მშვიდად შეხვდა სინოდი. მან 6 მარტს მოისმინა ინფორმაცია ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით და დაადგინა **„ყველა ტაძარში – ქალაქად და სოფლად გადაიხადონ პარაკლისი მშვიდობისათვის და რუსეთის სადიდებლად“.**

12 მარტს მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძარში უნდა გადაეხადათ პარაკლისი რათა თებერვლის რევოლუციის შემდეგ ვებერთელა რუსეთის იმპერიაში აშლილი მდგომარეობის დამშვიდება ეთხოვათ ღმერთისთვის. მცხეთაში იმყოფებოდა გურია-ოდიშის ეპისკოპოსი ლეონიდე, პიროს ოქროპირიძე, დეკანოზი კალისტრატე ცინცაძე ეპისკოპოსი ანტონ გიორგაძე, მაზრის უფროსები, ქართველი ინტელიგენციის წამომადგენლები.

წინასწარ იგრძნობოდა, რომ ეს არ გავდა ჩვეულებრივი პარაკლისის ჩატარებას. საეკლესიო რიტუალის შესრულების შემდეგ ეპისკოპოსმა ლეონიდემ გაშალა ეტრატი და წაიკითხა ა. გიორგაძის მიერ მომზადებული ტექსტი. ლეონიდემ ხმამაღლა განაცხადა.

**„დღეიდან, 12 მარტიდან კვლავ გრძელდება საქართველოს მართმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალია“.**

იქვე გადაწყდა, რომ

ა) კათალიკოს–პატრიარქის ამომრჩევამდე ეკლესიის გამგედ დროებით დაინიშნოს გურია-ოდიშის ეპისკოპოსი ლეონიდე;

ბ) საქართველოს ეკლესიის მართველობა დაევალოს აღმასრულებელ კომიტეტს, რომელშიც შევლენ როგორც საერო და სასულიერო პირები. ჩამოითვალა მათი გვარები.

გ) ამიერიდან სიონის ტაძარში ღვთისმსახურება ქართულ ენაზე შესრულდეს.

დარბაზში გაისმა ოვაცია. ყველანი ერთმანეთს ულოცავდნენ ბრწყინვალე მოვლენას.

ცრიატმა დღემ გადაიარა და გამოჩნდა მზე. ღმერთმა ინება პარაკლისი საერთო ზეიმში გადაზრდილიყო.

სვეტიცხოველში მყოფნი დარწმუნდნენ, რომ ისინი ფრიად მნიშვნელოავანი მოვლენის მოწმენი გახდნენ.

ამ დროს მეორე სასიხარულო ცნობა მიიღო მამა ამბროსიმ საფრანგეთიდან ნინო და ანა წერდნენ **„თამარი იზრდება, უკვე გამართულად საუბრობს და ლექსებსაც იმახსოვრებს, ადგილობრივი გარემოს გავლენის გამო ფრანგული ეხერხება, მაგრამ ქართულს ვასწავლით“.**

არქიმანდრიტმა თვალცრემლიანმა გადაიკითხა წერილი. მოენატრა ჰო, როგორ მოენატრა ქალიშვილები. თუმცა გულს იმით იიმედებდა, რომ დები ერთად იყვნენ, ერთურთს ჭირსა და ლხინში თანაუგრძნობდნენ.

თბილისში მოვლენები ყოველდღიურად იცვლებოდა. საეკლესიო მოღვაწენი არ აპირებდნენ უკან დახევას.

12 მარტის გადაწყვეტილებას წინააღმდეგობრივად შეხვდა რუსეთის საერო და სასულიერო ხელისუფლება. **„არამც და არამც“** ასეთი იყო მათი ვერდიქტი. თუმცა შემდგომ იძულებულნი შეიქმნენ ტერიტორიული ავტოკეფალია შეეცვალათ ეროვნული ავტოკეფალიით, რომლის თანახმად რუსული და ბერძნული ეკლესიები კვლავ რუსეთის სინოდს დაემორჩილებოდა. ამ მიზნით თბილისში მოავლინეს პროფესორი ვლ. ბენეშევიჩი.

საქმე მიდგა რუსეთის დროებით მთავრობაზე. მას უნდა გადეწყვიტა საკითხი საბოლოოდ. ამ მხრივ კეთილი როლი უნდა ეთამაშა მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს თავჯდომარეს კარლო ჩხეიძეს.

რუსეთის სინოდი არაკანონიკურად თვლიდა 12 მარტის გადაწყვეტილებას. თბილისში მოვიდა, დროებით მთავრობის **„სარწმუნოების ამხანაგობის“** ხელმძღვანელის დეპეშა, რომ საქართველოს სამღვდელოების მოქმედება უკანონოა.

თბილისში მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი ეზრუნათ თუ რამდენ ეპარქიად დაეყოთ საქართველო, ნიადაგი მოემზადებინათ მომავალი საეკლესიო პირველი კრებისთვის, სრულიად საქართველოს კათოლიკოსს-პატრიარქის არჩევისთვის. შემუშავდა ეკლესიის მართვა-გამგეობის დებულება: თუმცა მნიშვნელოვანი იყო რუსეთის სინოდის დამოკიდებულების გარდატეხა. ამ საკითხზე მაისის ბოლოს პეტერბურგში მოვლინებულ იქნა დეკანოზი კალისტრატე ცინცაძე, ხოლო სტარაია-რუსაში დეპეშით აცნობეს მიტორპოლიტ ამბროსის ეზრუნა დროებით მთავრობასთან და სინოდთან ერთად საქართველოს ეკლესიის საკითხის მოგვარებისთვის.

ეს იყო საპასუხისმგებლო მისია ერისა და ღვთის წინაშე, მოქალაქოებრივი და საზოგადოებრივი მოვალეობის შესრულება.

გრძნობდა ამას მამა ამბროსი. ამიტომ დაუყოვნებლივ გაემგზავრა ნოვგოროდში. ეპისკოპოსს მოახსენა შექმნილი მდგომარეობა.

ისტორიის დოქტორი, მოსკოვის აკადემიის მეორე რექტორი, მთავარეპისკოპოსი არსენ სტანიცკი კეთილად შეხვდა მამა ამბროსის თხოვნას.

საღად მოაზროვნე, მოწინავე იდეების მატარებელი არსენი იმ მცირერიცხოვან ჯგუფს ეკუთვნოდა, რომლებიც იზიარებდნენ საქართველოს ავტოკეფალიის აღდგენის გარდუვალობას.

– ივერიის ატოკეფალიის აღდგენა ნამდვილად დიდი საქმეა. მომილოცავს მიმართა არსენმა.

– უნდა შევუერთდე ჯგუფს, რომელიც იმუშავებს სინოდთან და დროებით მთავრობასთან. მართალი გითხრათ, ძალიან ვღელავ – ამბროსის თვალები უხურდა.

– განთავისუფლების განცხადების დაწერას ნუ იჩქარებთ. თქვენ შვებულება გეკუთვნით. წადით, თქვენს ქვეყანას გამოადექით, მანამდე კი ლეონიდეს სთხოვენ, რომ წერილობით, მიმართოს თქვენს გადაყვანაზე. მე რასაკვირველია დავეთანხმები.

– გმადლობთ მეუფეო!

– ეს იქნება კანონიერად მართებული.

– დიახ, ასეც მოვიქცევი.

–სულითა და გულით გისურვებთ წარმატებას.

ისევ სტარაი-რუსიაში მიბრუნდა ამბროსი. მცირე სამზადისის შემდეგ პეტერბურგს გაემგზავრა.

**ბორის დავითაია**

**სენაკი**

**(გაგრძელება შემდეგ ნომერში)**

ილორი

# საქართველოში საწვავი უფრო ძვირია, ვიდრე ევროპაში: ერთ ლიტრ ბენზინში გვძარცვავენ 40 თეთრით, რაც თვეში 24 მილიონს შეადგენს

საქართველოში ნავთობპროდუქტების ბაზარზე – უსამართლოდ მაღალი ფასებია, რაც განპირობებულია უამრავი ფაქტორით, რომლის ანალიზს საქინფორმის მკითხველს სთავაზობს არასამთავრობო ორგანიზაციის **„სოლიდარობა ეროვნული ინტერესებისათვის“** ხელმძღვანელი **ბექა კემულარია.**

მიხეილ სააკაშვილი გაპრეზიდენტების შემდეგ, 2004 წლის მარტში, პრეზიდენტის რანგში პირველად ეწვია აზერბაიჯანს. პრეზიდენტ ალიევთან დახურულ კარს მიღმა გაიმართა შეხვედრა. სერიოზულ ეჭვს ბადებს, რომ ორ პრეზიდენტს შორის საუბრის ნაწილი ეხებოდა საწვავის მაფიას და **„შავი ოქროთი“** საკუთარი ჯიბეების გასქელებას. 2 წელიწადში დაიკეტა აზერბაიჯანიდან საწვავის იმპორტი, რომელსაც ახორციელებდა სხვადასხვა მცირე და შედარებით დიდი ნავთობიმპორტიორი კომპანია, ხოლო აზერბაიჯანიდან საწვავის იმპორტის ექსკლუზიური უფლება გადაეცა 2006 წლის 17 აგვისტოს რეგისტირებულ შპს **„სოკარ ენერჯი ჯორჯიას“**, რომლის 24,5%-იანი წილის მფლობელია საქართველოს ეკონომიკის ყოფილი მინისტრი ვანო ჩხარტიშვილი, 24,5% ეკუთვნის კომპანია **„პეტრო ტრანსს“**, ხოლო 51%-იანი წილის მფლობელია **„აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფო ნავთობის კომპანია“**. მიმდინარე წლის ივლისში ვანო ჩხარტიშვილმა თავისი წილი 5 მილიონ დოლარად მიჰყიდა **„პეტრო ტრანსს“,** ხოლო ნოემბერში **„პეტრო ტრანსმა“** თავისი 49%-იანი წილიდან 24,5% გაყიდა 5 მილიონ დოლარად, ხოლო მეორე – 24,5% – 245 ათას დოლარად. დაარსებიდან ერთ წელიწადში კომპანია **„სოკარი“** ჩაერთო საცალო რეალიზაციის ბაზარში, რაც დიდად გასაკვირია, რადგან **„სოკარი“** არის ნავთობისა და გაზის მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი კომპანია, ხოლო აზერბაიჯანში საწვავის რეალიზაციას ახორციელებს მისი შვილობილი კომპანია **„აზპეტროლი“,** მაგრამ, რატომღაც, საქართველოს საწვავის ბაზრით თავად აზერბაიჯანის სახელმწიფო კომპანია **„სოკარი“** დაინტერესდა და მას უჭირავს საქართველოს საწვავის ბაზრის 80%. საწვავის ბაზრის მონოპოლისტად მოგვევლინა აზერბაიჯანის სახელმწიფო კომპანია **„სოკარი“,** რასაც ხელი შეუწყო უშუალოდ საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა.

რაც შეეხება საწვავის საცალო რეალიზაციის ბაზარს, წლების განმავლობაში ბაზარზე წარმოდგენილი იყო 5 კომპანია: **„ვისოლი“, „ლუკოილი“, „სოკარი“, „ეკო“, „რომპეტროლი“** და **„სენტა“**. მიმდინარე წელს ბაზარზე გამოჩნდა ახალი კომპანია **„გალფი“**, რომელმაც, რაოდენ გასაკვირის უნდა იყოს, შეიძინა **„სენტა“** და **„ეკო“**. **„გალფის“** გამოჩენამდე წლების განმავლობაში ლიდერობას ინარჩუნებდა კომპანია **„ვისოლი“** და მას ბაზრის 35% ეკავა, ხოლო 65%-ს ინაწილებდა დანარჩენი 4 კომპანია. ბაზარზე **„გალფის“** გამოჩენის შემდეგ ისედაც საშინელი სიტუაცია კიდევ უფრო გაუარესდა. მაგალითად, **„გალფის“** გამოჩენამდე მსოფლიო ბაზარზე საწვავის შემცირება რამდენიმე თვეში თუ აისახებოდა ჩვენს ბაზარზე, ამჟამად შემცირების ნაცვლად ზრდიან ფასს და შემდეგ რამდენიმე თვეში ამ მომატებულით შეამცირებენ. რეალურად, როცა მსოფლიოში საწვავის ფასები მცირდება, ჩვენთან უცვლელი რჩება, ხოლო როდესაც იმატებს, ჩვენთან იმ დღესვე არ დააყოვნებენ და აძვირებენ.

ასევე, მოგახსენებთ, რომ ბაზარზე არსებული ოლიგოპოლია იყო ზემოთ ნახსენებ 5 კომპანიას შორის კარტელური შეთანხმების შედეგად, რაც გამოიხატებოდა საერთო საფასო პოლიტიკით და ერთდროული ფასების მანიპულირებით, რომელსაც უმეტეს შემთხვევაში წუთებშიც ამთხვევდნენ. **„გალფის“** გამოჩენის შემდეგ ამ მხრივაც შეიცვალა სიტუაცია და 5-10 თეთრით განასხვავეს ფასები. ყველაზე ნაკლები ფასი აქვს კომპანია **„გალფს“,** ხოლო ყველაზე მეტი – კომპანია **„ვისოლს“,** რაც კიდევ ერთი ანომალიაა. ყველაზე ნაკლები ფასი უნდა ჰქონდეს კომპანია **„სოკარს“,** რადგან სხვა დანარჩენი კომპანიები საწვავის ძირითად ნაწილს მისგან ყიდულობენ. როგორ შეიძლება, **„სოკარისგან“** ნაყიდ საწვავს **„გალფი“** ყიდდეს უფრო იაფად? – ამას შეიძლება მოეძებნოს ერთადერთი ახსნა: **„გალფის“** მხრიდან მიმდინარეობს საწვავის საცალო რეალიზაციის ბაზრის მონოპოლიზება, რასაც ხელისუფლება დანაშაულებრივად უწყობს ხელს.

### ბენზინის ფასის კალკულაცია

საწვავის უსამართლოდ მაღალი ფასები შეგვიძლია დავადასტუროთ ჩვენ მიერ ჩატარებული სხვადასხვა კვლევით. მაგალითად, წარმოგიდგენთ რეგულარის ტიპის ბენზინის ფასის კალკულაციას, რადგან გასაიდუმლოებულია, თუ რა ფასად ყიდის საწვავს აზერბაიჯანის სახელმწიფო ნავთობკომპანია **„სოკარი“** მის მიერ საქართველოში დაფუძნებულ კომპანია **„სოკარზე“**. მაგრამ ფაქტია – ბევრად იაფად, ვიდრე საწვავის საერთაშორისო ფასებია, რადგან მაგალითისთვის **„ევრო 5“** სტანდარტის საწვავთან შედარებით, რომელსაც იყენებს ევროპის ქვეყნები, **„ევრო 1“**-ის სტანდარტსაც არ აკმაყოფილებს აზერბაიჯანული ბენზინი, ანუ 50-ჯერ უფრო მაღალია გოგირდის შემცველობა აზერბაიჯანულ საწვავში (**„ევრო 5“** სტანდარტის მიხედვით, გოგირდის შემცველობა არ აღემატება 10პპმ-ს, **„ევრო 1“**-ის სტანდარტის მიხედვით – 500პპმ-ს), შესაბამისად, 50-ჯერ უფრო მეტად აბინძურებს ჰაერს დააზიანებს გარემოს. ამიტომ, რა თქმა უნდა, ალოგიკურია, ევროპული საწვავის შესასყიდი ფასი და აზერბაიჯანული დაბალი ხარისხის საწვავის ფასი ერთნაირი იყოს, რომლის რეალიზაცია აზერბაიჯანისა და საქართველოს გარდა სხვა ქვეყანაში არ ხორციელდება, რადგან ევროკავშირის ქვეყნები 2009 წლიდან მხოლოდ **„ევრო 5“**-ის სტანდარტის საწვავს მოიხმარს.

რაკი საწვავზე ფასის კალკულაცია გვინდა, იყოს მყარად არგუმენტირებული, და რეალობასთან მიახლოებული, ამიტომ შესასყიდ ფასად (Platt's) აღებულია საერთაშორისო ფასი, რომელიც დღეის მდგომარეობით შეადგენს 880 დოლარს (1460 ლარი), ამას დავუმატოთ ტრანსპორტირების ღირებულება – 40 ლარი, აქციზის გადასახადი – 250 ლარი, ხარჯი (მსოფლიოში დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით, არ აღემატება თვითღირებულების 10%-ს, რაც არის 150 ლარი, ხოლო მოგება – თვითღირებულების 5% – 75 ლარი). ასევე, ფასის კალკულაციაში გასათვალისწინებელია დღგ, ანუ ზემოთ ჩამოთვლილი თანხების ჯამი, რომელიც ტოლია 1975 ლარის – 18%-ის, რაც არის 355 ლარი. არსებული თანხების ჯამი არის 2330 ლარი, ანუ ერთი ტონა ბენზინის სარეალიზაციო ფასი.

საწვავის მოცულობა ცვალებადია ტემპერატურის მიხედვით. ამისათვის საბითუმო რეალიზაცია ხორციელდება წონის მიხედვით, ხოლო უკვე ავტოგასამართ სადგურებში რეალიზაციას ახორციელებენ მოცულობის მიხედვით. ამიტომ გადავიყვანოთ ლიტრებში: 1 ტონა, ანუ 1000 კგ ბენზინი, შეადგენს 1370 ლიტრ ბენზინს. 1 ლიტრის სარეალიზაციო ფასი რომ გავიგოთ, ამისათვის მიღებული 1 ტონა საწვავის ფასი – 2330 ლარი გავყოთ 1370 ლარზე, რაც უდრის 1.70 ლარს. ბენზინს, რომელსაც 2,10 ლარად ყიდიან, საერთაშორისო ფასის მიხედვით, უნდა ღირდეს 40 თეთრით უფრო იაფი. მოსახლეობას თითოეულ ლიტრზე ჯიბიდან აცლიან 40 თეთრს, რაც თვეში შეადგენს ათეულობით მილიონ ლარს. უფრო რომ დავაზუსტოთ, საქართველოს მოსახლეობა თვეში მოიხმარს დაახლოებით 60 მილიონ ლიტრ საწვავს, ანუ ხელისუფლების მიერ წახალისებული მონოპოლისტები ყოველთვიურად 24 მილიონი ლარით გვძარცვავენ!

### ევროკავშირის ქვეყნების ფასებთან შედარება

თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ მსოფლიოში საწვავი ყველაზე ძვირი ღირს საქართველოში (ნავთობის მომპოვებელი ქვეყნების გამოკლებით). მკითხველს შეიძლება დაებადოს კითხვა – ევროკავშირის ქვეყნებში საკმაოდ ძვირი ღირს საწვავი და ჩვენთან როგორ უნდა ღირდეს უფრო ძვირი?

ევროპის ქვეყნებში არსებული მაღალი ფასი გამოწვეულია მაღალი გადასახადებით, ასევე, მაღალი ხელფასებით და, შესაბამისად, საქართველოსთან შედარებით, ბევრად მეტი ხარჯი აქვთ იქ არსებულ კომპანიებს, რაც იწვევს ასეთ მაღალ ფასებს, მაგრამ ეს იქ მცხოვრებ მოსახლეობაზე მძიმე ტვირთად არ აისახება, რადგანაც, ასევე, მაღალი შემოსავლები აქვთ და, შესამაბისად, მათთვის არ არის ძვირი. ასევე, მათ კარგად იციან, რომ ასეთი მაღალი ფასები ელიტური კორუფციის შედეგი კი არა, მაღალი გადასახადების გამოა, რითაც აფინანსებენ სახელმწიფოს და მათ მიერ დაქირავებულ ჩინოვნიკებს.

სხვა ხარჯები რომ არ გავითვალისწინოთ და მხოლოდ აქციზი და დღგ-ის გადასახადი გამოვაკლოთ სარეალიზაციო ფასს, მაინც საკმაო სხვაობას მივიღებთ, რაც, ასევე, ადასტურებს საქართველოში საწვავზე არსებულ უსამართლოდ მაღალ ფასს, კარტელურ შეთანხმებას და ბაზარზე არსებულ ოლიგოპოლიას. ეს ადასტურებს საქართველოს ხელისუფლების მძიმე დანაშაულსაც, რომელიც გამოიხატება მონოპოლისტთა დანაშაულის დაფარვაში, რადგან კარტელური შეთანხმება არის სისხლის სამართლის დანაშაული და გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსის 195-ე მუხლში.

ავიღოთ პრემიუმის ხარისხის საწვავის ფასი. საქართველოში და სხვა ქვეყნებში გამოვაკლოთ აქციზისა და დღგ-ის გადასახადი, რის შედეგადაც ნათელი გახდება, რომ ჩვენთან მართლაც ყველაზე ძვირი ღირს საწვავი. მაგალითისთვის: პრემიუმის სარეალიზაციო ფასს, რომელიც შეადგენს 2.25 ლარს, რომელსაც დღგ-ის 18% და აქციზის გადასახადი 250 ლარი რომ გამოვაკლოთ, მივიღებთ 1,66 ლარს. გერმანიაში პრემიუმის სარეალიზაციო ფასია 3,46 ლარის ეკვივალენტი, ხოლო აქციზისა და დღგ-ის გადასახადის გამოკლებით, რომელიც ფასის 61%-ს შეადგენს – 1,35 ლარს, ანუ ჩვენთან, გერმანიასთან შედარებით, 31 თეთრით უფრო ძვირი ღირს საწვავი. ფინეთში სარეალიზაციო ფასი 3.48 ლარია, ხოლო აქციზისა და დღგ-ის გარეშე – 1,36 ლარი; შვედეთში სარეალიზაციო – 3,44 ლარი, ხოლო, ასევე, აქციზისა და დღგ-ის გარეშე – 1,31 ლარი; დიდ ბრიტანეთში – 3,58 ლარი და 1,43 ლარი, საფრანგეთში – 3,56 ლარი და 1,42 ლარი, იტალიაში – 3,57 ლარი და 1,43 ლარი, ბელგიაში – 3,54 ლარი და 1,45 ლარი; პოლონეთში – 2,75 ლარი და 1,24 ლარი.

ანუ საქართველოში, გერმანიასთან შედარებით, მხოლოდ აქციზისა და დღგ-ის გადასახადის გათვალისწინებით საწვავი 31 თეთრით ძვირი ღირს, ფინეთთან შედარებით – 30 თეთრით ძვირი, შვედეთთან – 35 თეთრით, დიდ ბრიტანეთთან – 23 თეთრით, საფრანგეთთან – 24 თეთრით, იტალიასთან – 23 თეთრით, ბელგიასთან – 21 თეთრით, პოლონეთთან – 42 თეთრით ძვირი. (როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ევროპაში აზერბაიჯანული დაბალი ხარისხის საწვავის რეალიზება არ ხდება, რომელსაც, აგრეთვე, დაბალი ფასი აქვს, რაც ასევე უხეშად ლახავს მომხმარებელთა ინტერესს).




# გამოკითხულთა 52,8% მიიჩნევს, რომ ბიძინა ივანიშვილი ქვეყანაში ვითარებას უკეთესობისკენ შეცვლის

**„სოციალური კვლევისა და ანალიზის“** ინსტიტუტის მიერ ჩატარებული სოციოლოგიური გამოკითხვის თანახმად, არსებული ხელისუფლების მხოლოდ არჩევნების გზით შეცვლა გამოკითხულთა 75,7%-ს რეალურად მიაჩნია.

ამ ეტაპზე ხელისუფლების არანაირი გზით ცვლილებას არ ელის რესპონდენტთა 12,2%. ხელისუფლების მიერ არჩევნების გაყალბების შემთხვევაში, მისი რევოლუციის გზით შეცვლას რეალურად მიიჩნევს 3,6%; ხოლო 3,2%-ის აზრით, არჩევნებამდე რევოლუციის გზით ხელისუფლების შეცვლა რეალურია. კითხვაზე, როგორია თქვენი პოზიცია ხელისუფლების შეცვლის გზებთან დაკავშირებით, გამოკითხულთს 5,3%-ს პასუხის გაცემა უჭირს.

კითხვას, რა მოლოდინებს უკავშირებთ პოლიტიკაში ბიძინა ივანიშვილის გამოჩენას ქვეყნის მომავალი განვითარებისთვის, 52,8% პასუხობს – ივანიშვილის სახით პოლიტიკაში მოვა ახალი ძალა, რომელიც ქვეყანაში ვითარებას უკეთესობისკენ შეცვლის. 16,1%-ის აზრით, ივანიშვილის პოლიტიკაში მოსვლით ქვეყანაში არსებული ვითარება არ შეიცვლება, 8%-ს მიაჩნია, რომ ივანიშვილის პოლიტიკაში მოსვლით ქვეყანაში არსებული ვითარება გაუარესდება, 23%-ს კი კითხვაზე პასუხის გაცემა უჭირს.

კიდევ ერთი კითხვა, რომელიც რესპოდენტებს დაუსვეს, ასეთია – რამდენად მოსალოდნელია, რომ მმართველი პარტია, თუ ის ხელისუფლებაში დარჩა, შეძლებს იმ პრობლემების გადაჭრას, რომლებიც თქვენი აზრით, მოუგვარებელია. 29%-სთვის ეს უფრო მოსალოდნელია, ვიდრე – არა; 24%-თვის საერთოდ არ არის მოსალოდნელი; 21%-სთვის უფრო არ არის მოსალოდნელი, ვიდრე – კი, 16%-სთვის ეს სავსებით მოსალოდნელია, ხოლო 10%-ს კითხვაზე პასუხის გაცემა უჭირს.

ბოლო კითხვა, რომელიც რესპოდენტებს დაუსვეს, ასეთია – რამდენად მოსალოდნელია, რომ ბიძინა ივანიშვილის პარტია, თუ ის ხელისუფლებაში მოვიდა, შეძლებს იმ პრობლემების გადაჭრას, რომლებიც თქვენი აზრით, მოუგვარებელია; 31% პასუხობს, რომ უფრო მოსალოდნელია, ვიდრე – არა; 26%-ის აზრით, ეს სავსებით მოსალოდნელია; 23%-ს პასუხის გაცემა უჭირს; 14% ფიქრობს, რომ უფრო არ არის მოსალოდნელი, ვიდრე – კი. 6%-ის აზრით კი, ეს საერთოდ არ არის მოსალოდნელი.

გამოკითხვა **„სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტმა“** საქართველოს განვითარების კვლევითი ინსტიტუტის დაკვეთით 2011 წლის 11–22 ნოემბერს ჩაატარა.

კვლევა საარჩევნო ასაკის მოსახლეობის პოლიტიკური განწყობებისა და ქვეყანაში მიმდინარე პროცესების მიმართ ამომრჩეველთა დამოკიდებულების შესწავლას ეხებოდა. სულ გამოიკითხა დაახლოებით 3.000 რესპოდენტი საქართველოს 11 რეგიონში, თბილისის ჩათვლით. რესპოდენტთა შერჩევა მოხდა ოჯახებში, შემთხვევითი შერჩევის პრინციპის დაცვით. გამოკითხვა ჩატარდა პირისპირ ინტერვიუს მეთოდით. კვლევამ უზრუნველყო რესპოდენტთა ანონიმურობის მაქსიმალური დაცვა. ინსტიტუტის ხელმძღვანელია პროფესორი იაგო კაჭკაჭიშვილი.

საქართველოს განვითარების კვლევითმა ინსტიტუტმა კვლევის სრული შედეგები საზოგადოებას **„თბილისი მარიოტში“** წარუდგინა ღონისძიებაზე, რომელსაც დაესწრნენ პოლიტიკური პარტიების, დიპლომატიური კორპუსის, საერთაშორისო ორგანიზაციების, არასამთავრობო ორგანიზაციების და მედიის წარმომადგენლები.

**საქ. ინფ.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სიმწარე სიმართლისა!



გული კვნესის, გული დუღს, გული წუხს, როცა ქვეყნად ამდენ უბედურებას ვხედავ და ვისმენ. ნეტა რა ეშველებოდა ნამდვილად **„გიჟვრაცუა“** ქართველებს, რომ საქართველოში სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლები არ ცხოვრობდნენ, ან ჩვენს გვერდით სხვა სახელმწიფოები არ არსებობდნენ? ვის დავაბრალებდით ჩვენს უმეცრებას, ქარაფშუტობას, უმწეობას და უსუსურობას, გაუმაძღრობას, ერთმანეთის მიმართ შურისა და მტრობის გამო. **„ჩვენს თვალებში დირეს ვერ ვამჩნევთ, ხოლო სხვისაში ბეწვსაც კი ვხედავთ. რატომ ვერ ვამჩნევთ რომ ყველა ეს უბედურება ჩვენ დავიმსახურეთ იმით, რომ განვარისხეთ უფალი ჩვენი და ღვთისმშობელი, მას შემდეგ, რაც განუდექით ღვთის მიერ ადამიანისათვის დადგენილი ზნეობრივი და მორალური კანონების განუხრელად დაცვას და მხოლოდ საკუთარი სტომაქის ამოვსებაზე ვფიქრობთ. არ აქვს მნიშვნელობა პატიოსანი შრომით თუ სხვისი უბედურების ხარჯზე ვაკეთებთ ამას. ნუთუ არ უნდა გავაცნობიეროთ, რომ ყოველივე ამის გამო ჩვენ გათითოკაცებული, ურთიერთ ნდობა დაკარგული, გაზარმაცებულ-გასპეკულიანტებული — სხვისი ხელის შემყურენი, ერთი უკიდურესობიდან მეორეში გადავარდნილი და წონასწორობადაკარგული ერი გავხდით, და ამ უბედურების მიზეზს ჩვენს ქმედებაში კი არა, სხვისაში ვეძებთ და დამნაშავე ყოველთვის სხვაა. ამიტომ ყოველივე სხვის წინააღმდეგ მიმართული ჩვენვე გვიბრუნდება. ნუთუ არ უნდა ჩაუღრმავდეთ ჩვენს ჟამთააღმწერელთა ბრძნულ შეგონებას, რომ „ერთი უკიდურესობიდან მეორეში გადავარდნილი, გათითოკაცებული და წონასწორობა დაკარგული ქვეყანა ამოტრიალებულ ზღვას ემსგავსება, ჭუჭყი და ლექი ზედაპირზე მოექცევა, არ ახანებს ღვთის რისხვა; შინაური და გარეშე მტრები დროს იხელთებენ; არ აყოვნებს არც სტიქიური უბედურებები“.** აი, ჭეშმარიტება და მას ვერსად გავექცევით თუ გონიერებას დროზე არ მოუხმეთ. ამას წინათ გაზეთში წავიკითხე თუ ტელეეთერიდან მოვისმინე, რომელიც დაახლოებით ასე ჟღერდა: **„მე სომეხი კაცი ვარ და რომ გაიძახით სომხები ამას გვიშვება იმას გვიშვებაო, დავუშვათ პრეზიდენტი სომეხია, მაგრამ მთავრობაში ხომ უმრავლესობა ქართველები ხართ და არა ყველა გვარსახელგამოცვლილი სომხები. მაშ, რატომ იღებენ ისინი საქართველოს და ქართველი ერის ინტერესების საზიანოდ გადაწყვეტილებებს და კანონებს, თუ ყველა ისინი სომხებისაგან ფულს, ქრთამს და სხვა სიმდიდრეს იღებენ?“**

მე არ ვიცი ამ აზრის მომწოდებელი ნამდვილად სომეხი არის თუ არა, მაგრამ მან ხომ უდაო ჭეშმარიტება განაცხადა.

აგვიხსნან ამის ჭეშმარიტება **“ქართველებმა”** — გიგი წერეთელმა, დავით ბაქრაძემ, გია ბარამიძემ, მიშა მაჭავარიანმა, სხვებმა და სხვებმა, რაშია საქმე? ის, რაც გონიერმა **„სომეხმა კაცმა“** გვამცნო, ამის დადასტურება არ არის 5 ივლისს, პარლამენტში შეყრილი ცხოველთა მოქმედება? ქრთამი და ჯანდაბა არ არის რომ ე.წ. პარლამენტის წევრები და სახელმწიფოს ყველა ჩინოვნიკი ჩვეულებრივზე სამ და ხუთჯერ მეტი ხელფასს რომ იღებენ? და რისთვის, უსაქმურობისთვის და მიშას სურვილის შესრულებისათვის. სად არის თქვენი ადამიანობა, სინდისი, ზნეობა, ეს ხომ ის წყეული ქრთამია, რომელიც ძმრად კი არა ენით აღუწერელ უბედურებად წარმოსდინდება თქვენს შვლებს, შვილიშვილებს და მთელ თქვენს შთამომავლობას? გონს მოეგეთ თქვე მართლა უბედურებო, თუ მართლა ცხოველები არა ხართ.

ყველა ის, ვინც ეთნიკური წარმომავლობის ნიადაგზე ლანძღავს და აგინებს სომეხს, აზერბაიჯანელებს, ოსებს, რუსებს თუ სხვას, მსუბუქად რომ ვთქვათ, ტროცკის ნაძირალები და მექრთამეები არიან, რითაც მტრის წისქვილზე ასხამენ წყალს. მექრთამეები და ზნედაცემულები რომ არ იყოთ, მიშა ვერ გაბედავდა იმას, რასაც ბედავს. მიშა რომ მართლაც **“მაგარია”**, ადასტურებს ისიც, რომ მან პირველი გამანადგურებელი გასროლა ინტელიგენციის მიმართ მოახდინა, რადგან ჭეშმარიტი ინტელიგენცია ერისა და ქვეყნის საყრდენია. მიშამ ზუსტად ათიანში მოარტყა და როცა დაინახა, რომ ის მხოლოდ ინტელიგენციის ფიტული ყოფილა, დაიწყო მეცნიერების, განათლების, კულტურის, სარწმუნოებისა და სახალხო მეურნეობის ყველა დარგების ნგრევა და ყოველივე ეროვნულის განადგურება.

რატომ ვაბრალებთ ყველა უბედურებას სომხებს, რუსებს და ამერიკელებს, სად იყო ჩვენი ინტელიგენცია, დღეს რომ ერის მამებივით გვმოძღვრავენ, მაშინ, როცა ჯერ კიდევ 1965 წლიდან ალენ დალესის პროგრამით შეიარაღებული ე. შევარდნაძე შენიღბული გულმოდგინებით, ულმობლად ანგრევდა საქართველოს სახელმწიფოებრიობის საძირკვლებს პროფესიონალი, ეროვნული კადრების დევნით, შემდგომ სახალხო მეურნეობის ყველა დარგის ნგრევით, იქ ანგარებიანი, არაპროფესიონალი კადრების დანიშვნით, უპასუხისმგებლობის სინდრომის გამეფებით, უხარისხო და ფალსიფიცირებული პროდუქციის გამოშვებით, საქართველოსათვის სახელის გატეხვით, ამისათვის ჩინმენდლების მიღებით და საკავშირო ხელმძღვანელობის უმაღლეს ეშელონებში შეღწევით, 1972 წლიდან 2003 წლამდე ნამდვილი მეორედ მოსვლის მსგავსი ცოდვების დატრიალებით, კანონიერი ხელისუფლების, გარეშე ძალების დახმარებით დამხობით; კანონიერი პრეზიდენტის ვერაგული მოკვდინებით, სამოქალაქო ძმათამკვლელო ომის გაჩაღებით, წინასწარ წასაგებად შეთანხმებული აფხაზეთისა და სამაჩაბლოს რეგიონებში ომის გაჩაღებით, რომ ეს რეგიონები სხვებისთვის გადაეცა, ათეულათასობით მშვიდობიანი მოსახლეობისა და ქართული გენოფონდის განადგურებით. ქართველებს არ ენდობოდა და სოხუმი, სადაც იგი უსაფრთხოდ გრძნობდა თავს მანამ არ დატოვა, სანამ იგი უშუალოდ ქართველთაგან მისივე მოწოდებით დაცარიელებული, მოწინააღმდეგეს არ ჩააბარა. მხოლოდ ამის შემდეგ უსაფრთხოდ დაბრუნდა თბილისში. მისი მოწოდებით აფხაზეთიდან წამოსულ ხალხს ზუგდიდში შემოსასვლელი მოკლე გზა გადაუკეტა და შორეულ თოვლიანყინულიან გოლგოთის გზას გაუყენა, სადაც უამრავი ქალი, ბავშვი და მოხუცი საშინელი კრიმინალებისა და კლიმატის მსხვერპლი გახდა და როცა გაუბედურებული ქვეყანა და ხალხი დანმაშავის დაძებნას და დასჯას მოითხოვდა, უტიფრად განაცხადა: **„დამნაშავე ჩვენ ყველა ვართ, მაგრამ ეხლა დამნაშავის ძებნის დრო არ გვაქვს, ჩვენ ყველა ზომები უნდა მივიღოთ, რომ ერთ წელიწადში ღირსეულად შევიდეთ და დავიბრუნოთ აფხაზეთი“**-ო. ამით კიდევ ერთხელ შეაყარა ნაცარი თვალებში **„გიჟვრაცუა“** ქართველებს. მოიხსნა პასუხისმგებლობა თვითონ და ეპატია ყოველივე მის მიერ დადაწინაურებულ ჩინოვნიკებს, რომლებმაც იმერეთის, სამეგრელოს, აფხაზეთის, სამაჩაბლოს რეგიონებში დატრიალებული უბედურებებისა და ქართველი, აფხაზი და ოსი ხალხის გაუბედურებისა და ძარცვის ხარჯზე მილიონები დააგროვეს. ამის შემდეგ, ნაცვლად იმისა, რომ მიეღო ზომები გაუბედურებული საქართველოს სახელმწიფოს საგარეო-საშინაო პოლიტიკისა და სახალხო მეურნეობის წამყვანი დარგების აღორძინებისათვის (როგორც ეს ბატონმა ალექსანდრე ჭაჭიამ ჩამოაყალიბა თავის შესანიშნავ ნაშრომში **“საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივ განვითარების სტრატეგია და ეროვნული იდეა”** და რომელიც კატეგორიულად იქნა იგნორირებული შევარდნაძისა და მისი სახელისუფლებო ხროვის მიერ), შევარდნაძემ საქართველო აქცია ჯართის შეგროვების, ხე-ტყის მასალების უკონტროლოდ დამზადებისა და სხვა ნედლეულის კაპიკებად უცხოეთში გატანის პოლიგონად, რითაც აუნაზღაურებელი ზარალი მიაყენა საქართველოს ისედაც დაქცეულ ეკონომიკას. შევარდნაძემ დანაშაულებრივად ზურგი შეაქცია ისეთი მიმდინარე და პერსპექტიული კომპლექსური გეგმების შემუშავების საქმეს, რომელიც საქართველოს სახელმწიფო სუვერენიტეტის გათვალისწინებით, ერთნაირად ხელსაყრელი და მისაღები იქნებოდა ყველა მეზობელი თუ შორეული, დაინტერესებული, დიდი თუ პატარა სახელმწიფოებისთვისაც კი, რომლის ამოსავალი წერტილი, ქვაკუთხედი და უცილობელი პირობა იქნებოდა ის, რომ საქართველოს სახელმწიფო გაეროს, ევროსაბჭოს და სხვა მეგობარი ქვეყნების მხარდაჭერით არ დაუშვებდა საქართველოს ტერიტორიაზე უცხო ქვეყნის სამხედრო ძალებს, რომ საქართველოს ტერიტორია არ იქნებოდა გამოყენებული უცხო ქვეყნების მიერ სხვა ქვეყნების საზიანოდ და, რომ თვით საქართველო არ შეუქმნიდა რაიმე საფრთხეს სხვა ქვეყნებს და ყველასთან განახორციელებდა მშვიდობიან, კეთილმეზობლურ, თანასწორ-უფლებიან, ურთიერთხელსაყრელ ყოვლის მომცველ პოლიტიკას.

მაგრამ მან, არა როგორც **„მსოფლიო დონის ვითომ პოლიტიკოსმა“,** არამედ, როგორც ერისა და ქვეყნის დაუძინებელმა მტერმა საქართველოს მოსახლეობის, ქართველი ხალხის დამონებისა და უკეთ მართვის მიზნით ეკონომიკურად, მორალურად და სულიერად გააღატაკა ხალხი, პირველ რიგში, შემნახველი სალაროებიდან წლების განმავლობაში პატიოსანი შრომით და ოფლით ნაგროვები ფულადი სახსრების ვითომ სესხის სახით მიტაცებით, ესეც არ იკმარა, მოუწოდა ხალხს გაეყიდათ ყველაფერი და ფული ისევ სალაროებში შეეტანათ, საიდანაც ორმაგად დაუბრუნდებოდათ რამდენიმე თვეში, აქაც გააბრიყვა ხალხი და თაღლითური გზით წაართვა მას ათეულობით მილიარდი მანეთი, მაშინ, როცა მანეთი დოლარზე ძვირი იყო. მან ეს თანხები მიითვისა და სახელმწიფო სალარო და ბიუჯეტი გააძარცვინა თავის დანაშაულებრივ ბანდას.

მე ვეკითხები ყველას, სად იყო მაშინ **„ჩვენი სახელოვანი ინტელიგენცია“**, აკადემიკოსები, ვითომ მსოფლიო დონის მეცნიერები, ვითომ **„ერის გულშემატკივარი, ტანჯულები“**, როცა ამ უბედურობებთან ერთად შევარდნაძემ უპრეცენდენტო დანაშაული ჩაიდინა მიწის პრივატიზაციით, სასიცოცხლოდ აუცილებელი სახალხო მეურნეობის არა ცალკეული სტრატეგიული ობიექტების, არამედ მთლიანი დარგების გაყიდვა-გასხვისებით, ფაბრიკა-ქარხნების ძარცვით, ნგრევით, სოფლის მეურნეობის გაპარტახებით, ძვირადღირებული დაზგადანადგარების, რკინიგზის შემადგენლობების, სარწყავი სისტემის დაშლით, ძარცვით, ჯართად ქცევისა და საზღვარგარეთ გატანით, როცა 1972 წლიდან 1985 წლამდე მართლმადიდებლურ ეკლესიებში პარტიული და კომკავშირული **„აქტივის“** ჩასაფრებით ებრძოდა მრევლს და მართლმადიდებლობას. ბატონებო! თუმცა ასე მიმართვაც არ მემეტება მათთვის, ან რატომ უნდა მივმართავდეთ პატიოსან მშრომელ ადამიანებს და გარეწარ, ერის მოღალატე, ყველა სახის დანმაშავეებს ერთნაირად **“ბატონობით”**? კი ბატონო, მესმის ქართული კულტურული მიმართვის ფორმააო, მაგრამ კულტურა ვინ მისცა მათ, ვინც იმ დროს ე.წ. **„ცეკას“** ნომენკლატურული სიამტკბილობით ძუძუს გოჭებივით თვალებდახუჭული, გაყუჩებულნი იყვნენ და როცა **„მაღალმა“** მათ ეს **„ძუძუ“** გამოგლიჯათ პირიდან, მას შემდეგ ღმუიან, ყეფენ, წივწივებენ, ყმუიან და დორბლმორეულნი ლანძღავენ, აგინებენ, სომეხმა მიშამ ქვეყანა დაგვიქციაო, გვარსახელ შეცვლილი სომხებია ხელისუფლებაშიო და არ უნდათ დანახვა ქვეყნის ნამდვილი დამაქცევარისა, რომლის გაკვლეულ გზას **„მაღალი“** შესაშური ენერგიით მიუყვება, რადგან იგი ჯერ კიდევ გმირ ქართველ მამულიშვილთა წმინდა სისხლით გაჟღენთილ მიწას ბილწავს და იქედან კვლავ ხელმძღვანელობს ქვეყნის საბოლოოდ განადგურების საქმეს. ნახეთ ალბათ რა გაახმოვანა კავკასიის საქმეთა ექსპერტის მამუკა არეშიძის პირით და როგორი კომენტარი გაუკეთა მის წინადადებას აფხაზეთისა და **„სამხრეთ ოსეთის“** დამოუკიდებლობის აღიარების თაობაზე. ის არ მოისვენებს სანამ საქართველოს ბოლომდე არ დაშლის და დამარხავს. ამაში მის მიერ მოსყიდული ზნედაცემული საერო თუ სასულიერო მრავალი პირიც არის ჩაბმული. აბა როგორ გაბედავდა სააკაშვილი ეკლესიისა და პატრიარქის მიმართ ასეთ მომაკვდინებელ მოქმედებას, როცა აქ, თბილისში, კრწანისში გვიზის **„მსოფლიო დონის პოლიტიკოსი“,** რომლის დამსახურებაზე თავადვე ზღაპრებს ავრცელებს.

მე ვეკითხები ყველას, რას ვიზამდით, ქართული ენა რომ ასე დაემახინჯებიათ ან ბილწსიტყვაობით აევსო სომეხს, რომ ასე შეურაცხეყოთ რუსთაველის უკვდავი ქმნილება, ილია ჭავჭავაძე, თამარი, დავითი, და სხვა ქართველი გმირი მამულიშვილები, ქართული სუფრა და ადათ-წესები, როგორც ამას ჩვენი **„მსოფლიო მნიშვნელობის გენიოსები“** და სწავლულები სჩადიან და დღემდე თავს დაუსჯელად გრძნობენ, სხვას რატომ ვავალდებულებთ, რომ შეურაცხყოფა არ მოგვაყენონ?

ისევ იმ სომეხის აზრი არ მასვენებს, რომელმაც ჭეშმარიტება ასე უბრალოდ და გასაგებად გაგვიცხადა: ჩვენ ჭეშმარიტად დიდი და გამორჩეული ერი ვართ სხვა ეროვნებებისა და ტრადიციულ რელიგიათა მიმართ შემწყნარებლობით, პატივისცემითა და მეგობრული დამოკიდებულებითო! აქედან გამომდინარე, ქართველებს რომ ჭეშმარიტი მეცნიერები და ინტელიგენციის სხვა წარმომადგენლები გვყოლოდა და გვყავდეს, დღემდე უამრავჯერ ვიქნებოდით დაჯილდოვებული **„ნობელის პრემიით“**, თუ **„მსოფლიო ხალხთა შორის მეგობრობის“** უმაღლესი ორდენითო. ქართველებს ხომ უამრავი მეგობარი გვყავს ქვეყნის შიგნით თუ მის გარეთ მცხოვრებ სხვა ეროვნების წარმომადგენლებს შორის, უფრო მეტი თუ არა, არანაკლები ადგილობრივ და მეზობელ სომხებსაც შორის, რომლებთანაც ურთიერთმეგობრობა და პატივისცემა გვაკავშირებს. ჩვენ მივესალმებით ყველა პატიოსან მშრომელ სომეხ, ებრაელ, რუს, აზებაიჯანელ, ოს და სხვა ერის წარმომადგენლების ქართველ ხალხთან საუკუნეობრივ ურთიერთ ხელსაყრელ მეგობრობას.

ასევე წყევლას ვუგზავნით ქართველის ერის მოღალატე, გაუმაძღარ, ენატლიკინა ქართველებს და სხვისი ისტორიის, კულტურის, მიწაწყლის, სიმდიდრისა და ქონების თაღლითობით, ფალსიფიცირებით, ქურდობითა და ავაზაკობით მიტაცების ყველა ერისა და ეროვნების წარმომადგენლებს.

მსურს, მივაქციო სომხების ყურადღება იმას, რომ ჩვენთან დავითისა და თამარის, მათი წინაპრების, შემდგომ ერეკლე მეორის მიერ საქართველოში ჩამოსახლებულ ხელოსნებს და ვაჭარ სომხებს ისევე, როგორც ებრაელებს, აზერბაიჯანელებს, ოსებს, ქურთებს და სხვებს ქართველთა სიყვარული და პატივისცემა არ დაკლებიათ. ქართველები ხომ სტუმრებს უფრო მეტ პატივს ვცემდით და ვცემთ დღესაც! მაშ რას გვერჩიან, რა დავუშავეთ სამცხე-ჯავახეთში მცხოვრებ სომხებს, ნუთუ მათთვის ასე იოლი დასავიწყებელია მილიონობით პატიოსანი მშრომელი უდანაშაულო სომხების გენოციდი და გადარჩენილთა მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში მიმოფანტვა? მართალია, თქვენმა რეაქციონერებმა **„დიდი არმენია“** ვერ შეგიქმნათ და ის არც არასდროს შეიქმნება, მაგრამ რეაქციონერები დღესაც ებღაუჭებიან ამ ილუზიას და განხეთქილება შეაქვთ მოძმე ხალხთა ურთიერთობებში, რაც დაუშვებელია!

ჩვენ კი ისე, როგორც თბილისში, კახეთში თუ ქართლში დასახლებულ სომხებს გაგებით მოგეკიდეთ, რაც შეგვიძლია პატივს გცემთ, არ გაყვედრით, მაგრამ სხვა გარეშე მტრების წაქეზებით არ ისვენებს დაშნაკცუტუნები თუ ავანტიურისტი სომეხი ქურდბაცაცები და გვედავებით ჩვენს მიწაწყალს, ისტორიას, კულტურას, ფულით გინდათ იყიდოთ ყველაფერი და შექმნათ არასდროს არსებული **„ველიკაია არმენია“** ამისათვის ჯღაბნით ყალბ რუკებს, ავრცელებთ ცრუ ინფორმაციას მსოფლიოს მოსატყუებლად, უსინდისოდ ითვისებთ ყოველივე ლამაზ ქართულს: დაწყებული სიმღერებით და დამთავრებული ჩურჩხელით!

ნუ დაგავიწყდებათ, რომ ჩვენ ობოლი ერები ვართ, მსოფლიოში არ გაგვაჩნია ნათესავები, ისევე, როგორც სლავებს, ლათინებს, მონღოლოიდური რასის წარმომადგენლებს და ამიტომ, გასაჭირის ჟამს, სწორედ ჩვენ უნდა ამოვუდგეთ გვერდში ერთმანეთს. განსაცდელი კი შორს არ არის, რადგან ამერიკელი მასონების მიერ, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, მიმდინარეობს მსოფლიოს გადანაწილების დაუნდობელი პროცესი, და, სამწუხაროდ, ეს პროცესები ვითარდება სწორედ პოსტსაბჭოურ სივრცეში.

და ბოლოს, არ შეიძლება, აქვე, არ მივმართო ქართველ ერს!

თუკი ჩვენ ჯერ კიდევ შემოგვრჩა მაღალკვალიფიციური იურისტები და ისტორიკოსები, იქნებ აგვიხსნათ:

1) ნუთუ არსებობს იმაზე საშიში ჯაშუშური ქმედება, რასაც ქართველების ზურგს უკან ახორციელებენ ავადსახსენებელი შევარდნაძე, სააკაშვილი, მერაბიშვილი, ადეიშვილი, ბოკერია, ლომაია და მათი ცნობილი თანამზრახველები?

2) ნუთუ არსებობენ ქვეყნისათვის უფრო საშიში მოღალატენი ვიდრე ზემოთ დასახელებული ელემენტები, მათი აქტიური თანამდგომები: კუბლაშვილები, გაბაშვილები, ნოდია, პაიჭაძე, პაჭკორია, თევზაძე, თარგამაძეები და სხვა მრავალი ცნობილი **“პოლიტიკოსები”**.

3) ჯეროვან შეფასებას მოითხოვს ბურჯანაძის მოქმედება, რომელმაც ხალხს დაუმალა სრულიად საქართველოს დიდი სახალხო კრების მიზანი, იდეა, მისი განხორციელების მშვიდობიანი გზები, მოახდინა კრების დისკრედიტაცია და გაიმეორა გაპონზე უარესი საქციელი, რადგან მან ხელკეტებით, ნიღბებით, შეიარაღებით და სხვა პროვოკაციული გამოხდომებით, ხელისუფლების დამხობის მუქარით, ჯერ გააღიზიანა ხელისუფლება და მერე მიიყვანა გაბრიყვებული ხალხი სასაკლაოზე, რასაც მრავალი უდანაშაულო ადამიანთა სიცოცხლე, ჯანმრთელობა და თავისუფლება შეეწირა. თვითონ კი დროულად და მშვიდობიანად გაეცალა იქაურობას.

როგორც იტყვიან, სიტყვა გამიგრძელდა, შეკითხვები მართლაც უამრავია, მასზე პასუხის გამცემი კი, სამწუხაროდ, ჯერ არ ჩანს, მაგრამ იმედია, რომ იგი მალე გამოჩნდება!

**რევაზ კიბორძალიძე,**
**შრომისა და სამხედრო ძალების ვეტერანი, გადამდგარი პოლკოვნიკი, იურისტი**

# 2012 წელი

## იანვარი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ორ. | | 2 | 9 | 16 | 23 | 30 |
| სამ. | | 3 | 10 | 17 | 24 | 31 |
| ოთხ. | | 4 | 11 | 18 | 25 | |
| ხუთ. | | 5 | 12 | 19 | 26 | |
| პარ. | | 6 | 13 | 20 | 27 | |
| შაბ. | | 7 | 14 | 21 | 28 | |
| კვ. | 1 | 8 | 15 | 22 | 29 | |

## თებერვალი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ორ. | | 6 | 13 | 20 | 27 |
| სამ. | | 7 | 14 | 21 | 28 |
| ოთხ. | 1 | 8 | 15 | 22 | 29 |
| ხუთ. | 2 | 9 | 16 | 23 | |
| პარ. | 3 | 10 | 17 | 24 | |
| შაბ. | 4 | 11 | 18 | 25 | |
| კვ. | 5 | 12 | 19 | 26 | |

## მარტი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ორ. | | 5 | 12 | 19 | 26 |
| სამ. | | 6 | 13 | 20 | 27 |
| ოთხ. | | 7 | 14 | 21 | 28 |
| ხუთ. | 1 | 8 | 15 | 22 | 29 |
| პარ. | 2 | 9 | 16 | 23 | 30 |
| შაბ. | 3 | 10 | 17 | 24 | 31 |
| კვ. | 4 | 11 | 18 | 25 | |

## აპრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ორ. | | 2 | 9 | 16 | 23 | 30 |
| სამ. | | 3 | 10 | 17 | 24 | |
| ოთხ. | | 4 | 11 | 18 | 25 | |
| ხუთ. | | 5 | 12 | 19 | 26 | |
| პარ. | | 6 | 13 | 20 | 27 | |
| შაბ. | | 7 | 14 | 21 | 28 | |
| კვ. | 1 | 8 | 15 | 22 | 29 | |

## მაისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ორ. | | 7 | 14 | 21 | 28 |
| სამ. | 1 | 8 | 15 | 22 | 29 |
| ოთხ. | 2 | 9 | 16 | 23 | 30 |
| ხუთ. | 3 | 10 | 17 | 24 | 31 |
| პარ. | 4 | 11 | 18 | 25 | |
| შაბ. | 5 | 12 | 19 | 26 | |
| კვ. | 6 | 13 | 20 | 27 | |

## ივნისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ორ. | | 4 | 11 | 18 | 25 |
| სამ. | | 5 | 12 | 19 | 26 |
| ოთხ. | | 6 | 13 | 20 | 27 |
| ხუთ. | | 7 | 14 | 21 | 28 |
| პარ. | 1 | 8 | 15 | 22 | 29 |
| შაბ. | 2 | 9 | 16 | 23 | 30 |
| კვ. | 3 | 10 | 17 | 24 | |

## ივლისი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ორ. | | 2 | 9 | 16 | 23 | 30 |
| სამ. | | 3 | 10 | 17 | 24 | 31 |
| ოთხ. | | 4 | 11 | 18 | 25 | |
| ხუთ. | | 5 | 12 | 19 | 26 | |
| პარ. | | 6 | 13 | 20 | 27 | |
| შაბ. | | 7 | 14 | 21 | 28 | |
| კვ. | 1 | 8 | 15 | 22 | 29 | |

## აგვისტო

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ორ. | | 6 | 13 | 20 | 27 |
| სამ. | | 7 | 14 | 21 | 28 |
| ოთხ. | 1 | 8 | 15 | 22 | 29 |
| ხუთ. | 2 | 9 | 16 | 23 | 30 |
| პარ. | 3 | 10 | 17 | 24 | 31 |
| შაბ. | 4 | 11 | 18 | 25 | |
| კვ. | 5 | 12 | 19 | 26 | |

## სექტემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ორ. | | 3 | 10 | 17 | 24 |
| სამ. | | 4 | 11 | 18 | 25 |
| ოთხ. | | 5 | 12 | 19 | 26 |
| ხუთ. | | 6 | 13 | 20 | 27 |
| პარ. | | 7 | 14 | 21 | 28 |
| შაბ. | 1 | 8 | 15 | 22 | 29 |
| კვ. | 2 | 9 | 16 | 23 | 30 |

## ოქტომბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ორ. | 1 | 8 | 15 | 22 | 29 |
| სამ. | 2 | 9 | 16 | 23 | 30 |
| ოთხ. | 3 | 10 | 17 | 24 | |
| ხუთ. | 4 | 11 | 18 | 25 | |
| პარ. | 5 | 12 | 19 | 26 | |
| შაბ. | 6 | 13 | 20 | 27 | |
| კვ. | 7 | 14 | 21 | 28 | |

## ნოემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ორ. | | 6 | 13 | 20 | 27 |
| სამ. | | 7 | 14 | 21 | 28 |
| ოთხ. | 1 | 8 | 15 | 22 | 29 |
| ხუთ. | 2 | 9 | 16 | 23 | 30 |
| პარ. | 3 | 10 | 17 | 24 | |
| შაბ. | 4 | 11 | 18 | 25 | |
| კვ. | 5 | 12 | 19 | 26 | |

## დეკემბერი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ორ. | | 3 | 10 | 17 | 24 | 31 |
| სამ. | | 4 | 11 | 18 | 25 | |
| ოთხ. | | 5 | 12 | 19 | 26 | |
| ხუთ. | | 6 | 13 | 20 | 27 | |
| პარ. | | 7 | 14 | 21 | 28 | |
| შაბ. | 1 | 8 | 15 | 22 | 29 | |
| კვ. | 2 | 9 | 16 | 23 | 30 | |

ISSN 1987-8966 ილორი
9771987896009
ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე

რედაქციის მისამართი: თბილისი, ბაქრაძის ქუჩა №6 მე-4 სართული
სარეგ. №01018002930
234-32-95

მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანია
სარედაქციო საბჭო: ზაურ გახარია, თემურ ქორიძე, თენგიზ კუბლაშვილი, კლიმენტი შელია, გივი სომხიშვილი, ანზორ შონია, გიორგი სიჭინავა, ნუგზარ სალაყაია (გალი)
ტექნიკური რედაქტორი: მიხეილ ჩოდრიშვილი
გაზეთის მენეჯერი: ზურაბ ქობალია 599-34-37-27

გაზეთ "ილორის" გაცნობა შეგიძლიათ "საქინფორმის" ვებგვერდზე
WWW.saqinform.ge